პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ხორაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., ამოჭრა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—42, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 243 (1398)

დღიური

- 2 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირისა და ლატვია-ესტონეთის სარკინიგზო კონფერენცია.
- 21 ოქტომბერს მოსკოვში ჩავიდა ნორვეგიის პროფკავშირების დელეგაცია.
- ამხ. დორიო დროებით განთავისუფლეს ციხიდან.
- ომის შემდეგ წელს პირველათ გაიტანეს საფრანგეთში საბჭოთა პური.

„კომუნისტი"
დააჩქარეთ ხელის მოწერა ნოემბრისათვის

კოოპერაციის საორგანიზაციო საკითხები

საერთოდ, კერძოდ კი ამ ბოლო დროს, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კოოპერაციას. ეს ბუნებრივია: საქონლის დღევანდელ ნაკლებობასთან დაკავშირებით მეტად გაიზარდა სამომხმარებლო კოოპერატივის როლი, აგრეთვე სოფლის საწარმოო ძალების გაშლა, რომელიც ამჟამად ჩვენი მუშაობის ერთ უმთავრეს საგანს შეადგენს, უაღრეს მნიშვნელობას აკუთვნებს სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო კოოპერაციას. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ კოოპერაციის მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალ ნაკლს აქვს ადგილი, რაც ხელს უშლის მას პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

ჩვენ აქ გვინდა შევჩერდეთ კოოპერაციის საორგანიზაციო საკითხებზე, რომელთა მოუგვარებლობა მეტად აფერხებს მის ნაყოფიერ მუშაობას.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სუსტია კოოპერატიულ ცენტრების კავშირი ადგილებთან, მოიკოჭლებს პირველთა ხელმძღვანელობა უკანასკნელებზე. სოფლად მომზადებული კოოპერატორები ჩვენ ნაკლებად გვყავს, რის გამო ამ ხელმძღვანელობის გაძლიერებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. უნდა იქნას შესაფერ დონეზე დაყენებული საინსტრუქტორო მუშაობა, ინსტრუქტორთა კადრის შერჩევის საქმე; უნდა იქნან ამა თუ [illegible]ბული კოოპერატიული ცენტრის წევრები და პასუხისმგებელი თანამშრომელნი კანტროლის და ხელმძღვანელობის გასაწევად; უნდა ხდებოდეს ძირითადი კოოპერატივების წარმომადგენელთა პერიოდული გამოწვევა ცენტრში მოხსენებათა გასაკეთებლად, ინსტრუქციების მისაცემად და სხ.

ასეთი კავშირი და ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს, სხვათა შორის, ბრძოლას ე. წ. ცრუ-კოოპერატივებთან. ჩვენში ბოლო დროს თავი იჩინეს ასეთმა „კოოპერატივებმა". კოოპერატივის ნიღაბ ქვეშ აქა-იქ ამოფარებულია კერძო სავაჭრო დაწესებულება, რომელიც უხვად სარგებლობს კოოპერაციისათვის მინიჭებული შეღავათებით, მაგრამ თავის საქმიანობაში ოდნავადაც არ ატარებს კოოპერატიულ პრინციპებს: წევრები თითქმის არ ყავს, არც ცდილობს მათ შემოკრებას, საქონელს ძვირად ჰყიდის და სხ. ცხადია, ცრუ-კოოპერატივები სახელს უტეხენ ნამდვილ კოოპერაციას და ეს მახინჯი მოვლენა უნდა იქნას ძირ-ფესვიანად აღმოფხვრილი. უნდა იქნას საფუძვლიანად გამოკვლეული თვითეულ კოოპერატივის ნამდვილი სახე, წევრთა რაოდენობა და მათი სოციალური მდგომარეობა, მათი ნივთიერი და პირადი მონაწილეობა კოოპერატივში, ამა თუ იმ რაიონის ობიექტიური და სუბიექტიური საფუძვლები კოოპერატივის არსებობისათვის და სხ. ეს შეადგენს კოოპერატიული ცენტრების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

ამასთან სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს წევრთა მიზიდვას კოოპერაციაში. საქმე ის არის, რომ ბევრგან წევრთა რიცხვი ძალიან მცირეა. აგრეთვე საწევრო და საპაიო გამოსაღებიც არ შემოაქვთ რიგიანად. ამ მხრივ უნდა იქნას წარმოებული ფართო სააგიტაციო და საორგანიზაციო მუშაობა. კერძოდ აქ ერთგვარი მნიშვნელობა აქვს განსაზღვრული შეღავათების (საქონლის ფასზე პროცენტების დაკლება, მისი გაცემა რიგ გარეშე და სხ.) მინიჭებას წევრებისთვის, საწევრო წიგნაკების დროზე გაცემას, რაც ბევრგან არ არის მოგვარებული.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წევრთა დაინტერესებას კოოპერაციის საქმეებით, მათ აქტიურ ჩაბმას კოოპერაციაში. ეს მაშინ მოხერხდება, როცა გარდა ნივთიერი სარგებლობისა, რომელსაც წევრები მიიღებენ კოოპერატივიდან, სავსებით, იქნება უზრუნველყოფილი მათი უფლებები, როგორც ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის, ისე მათთვის კანტროლის გაწევის საქმეში. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს არჩევნები უნდა იყოს სავსებით თავისუფალი ყოველგვარი ზედმოქმედების გარეშე. გლეხობამ უნდა აირჩიოს ის, ვისაც ენდობა. კოოპერატივის გამგეობამ ხშირ-ხშირად უნდა მოიწვიოს საზოგადო კრებები, წარუდგინოს მას წარსული მუშაობის ანგარიში და მომავალი მოქმედების გეგმა. ამ მოხსენებათა გამო უნდა გაიმართოს აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა, საქმიანი კრიტიკა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სარევიზიო კომისიების მუშაობას, განსაკუთრებით ეხლა, როცა გახშირდა კოოპერატიული ქონების გაფლანგვა-მითვისება. სარევიზიო კომისიების შემადგენლობა უნდა იქნას სასტიკად შერჩეული და მათ უნდა გამოაცოცხლონ თავისი საქმიანობა.

ამ გაფლანგვასთან ბრძოლა შეადგენს ჩვენს უდიდეს ამოცანას. ამ მხრივ, სხვათა შორის, უნდა იქნეს გაძლიერებული კოოპერატიულ გამგეობათა პირადი და ნივთიერი პასუხისმგებლობა.

დღეს კოოპერაციის წინაშე მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას, რომელთა გადაჭრა მოითხოვს გამოცდილ და მომზადებულ კოოპერატორების კადრის ყოლას. ერთი მხრით საჭიროა ასეთი კოოპერატორების მომზადება კურსების და სპეციალურ სკოლების გახსნის გზით, მეორე მხრივ აუცილებელია აღმოფხვრილ იქნას პრაქტიკა ძველი კოპერატორების მუშაობიდან მოხსნისა, რაც ეხლა ხშირად ხდება, თუ, რა თქმა უნდა, ამას განსაკუთრებული პირობები არ იწვევენ. საერთოდ კი კოპერატივის გამგეობის წევრების გამოცვლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ საერთო კრებების ან რწმუნებულთა კრებების დადგენილებით.

აქ ჩვენ ბოლოს, გვინდა შევჩერდეთ ორ მოვლენაზე. ერთი შეეხება ანგარიშწარმოების დაყენებას კოოპერაციაში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს დარგი უნდა იყოს რიგიანად დაყენებული. ბუხჰალტერიაში უნდა ჰპოულობდეს სრულ გამოხატულებას კოოპერაციის ნივთიერი მდგომარეობა. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიქცეს სხვადასხვა ანგარიშების წარდგენის საქმეს ამა თუ იმ დაწესებულების წინაშე. აღსანიშნავია, რომ დღეს მეტად გართულებულია ანგარიშების წარდგენა. ამას თხოულობენ მრავალი ზევით მდგომი ორგანოები. ამაზე მიდის კოოპერატიული აპარატის მეტად დიდი დრო დაჰენერგია. აუცილებელია ამ ანგარიშიანობის გამარტივება, მისი ერთიანი ფორმების შედგენა და სათანადო მასალის თავმოყრა სტატისტიკის სამმართველოში, საიდანაც უნდა გამოითხოვონ იგი დაინტერესებულმა ორგანოებმა. ეს მეტად შეუწყობს ხელს კოოპერაციის ორგანიულ მუშაობას.

მეორე მოვლენა, რომელსაც ჩვენ გვინდა აქ შევეხოთ, ესაა ბრძოლის საჭიროება საქონლის გაძვირებასთან, მის დღევანდელ ნაკლებობასთან დაკავშირებით. საქონლის სიმცირე იწვევს მოგების სურვილს, სპეკულიაციას; ხდება საწვრიმალო ფასების მომატება. ამისაგან აქა-იქ კოოპერაციაც არ არის თავისუფალი. საჭიროა ფასების სასტიკი კალკულიაციის შემოღება და დაუნდობარი ბრძოლა აღნიშნულ სიმახინჯესთან. ამ საქმეში შეკავშირებული უნდა ჩაერიოს თვით მომხმარებელიც.

ეჭვი არ არის, რომ ზევით აღნიშნულ საკითხების მოგვარება მეტად შეუწყობს ხელს კოოპერაციის გაჯანსაღებას.

სოფლად პარტმუშაობის გაცხოველებისათვის

ამას წინეთ დამთავრებულ საქ. კ. პ. სამაზრო და საოლქო კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირზე გამოირკვა, რომ სოფლად პარტიული მუშაობა მოისუსტებს. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივათ ჩვენი კომუჯრედები ვერ სდგანან თავიანთი დანიშნულების სიმაღლეზე: სოფლად პარტიის გარშემო არ არის შექმნილი უპარტიო გლეხობის მტკიცე აქტივი, პარტამხანაგები ხშირათ არღვევენ დისციპლინას, სამაზრო კომიტეტებს არ აქვთ მჭიდრო კავშირი პარტიის ძირითად ორგანიზაციებთან და, დაბოლოს, მომზადება-განვითარების მხრივ ძლიერ მოიკოჭლებენ თვით კომუჯრედების მდივნები.

ცხადია, თუ ჩვენ ვერ გადავლახეთ ზემოღნიშნული დაბრკოლებანი, თუ სოფლად ვერ შევძელით პარტიული მუშაობის გაცხოველება—შორს ვერ წავალთ. სოფლად მუშაობაში პარტიული ხაზის გატარება, სოფლის კულტურულ-ეკონომიური განვითარება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი,—თუ სათანადოთ გადავჭრით ამ ამოცანას.

რა ზომებს უნდა მივმართოთ ამისათვის? უპირველეს ყოვლისა საჭიროა სოფლად პარტიის გარშემო უპარტიო გლეხობის აქტივის შექმნა. მოსკოვში სოფლის უჯრედების მდივნების თათბირზე ამხ. სტალინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციის ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია, რომ: „სოფლად პარტიული მუშაობის მთავარი ნაკლი მდგომარეობს უპარტიო გლეხობის აქტივის უყოლობაში, რომელიც უნდა აკავშირებდეს პარტიას ფართე მშრომელ მასებთან"-ო. ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება. ჩვენ უნდა შევქმნათ უპარტიო გლეხობის მტკიცე აქტივი. ამით ჩვენ დაუახლოვდებით და დაუკავშირდებით სოფელს არა მარტო სოფლის პარტიული უჯრედების არამედ უპარტიო გლეხების აქტივის საშუალებითაც.

როგორ შეიძლება ამ აქტივის შექმნა?—ადგილობრივ საბჭოების გამოცხოველებით და გლეხკაცობის უშუალო ჩაბმით ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. ხოლო ეს შესაძლებელია პარტიულთა და უპარტიოთა შორის ურთიერთ ნდობის დამყარებით, რომლებზედაც ყოველთვის მიგვითითებდა ამხ. ლენინი.

მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლის პარტუჯრედების მდივნების შერჩევის საქმესაც. სოფლის პარტუჯრედების მდივანი ადგილობრივად მომუშავე პარტამხანაგების ტონის მიმცემია. თუ მოისუსტებს უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი—ხშირად მოისუსტებს პარტმუშაობაც. ძნელი ხდება პარტიული ხაზის სწორად გატარებაც. იმისათვის, რომ ავსწიოთ ამ ამხანაგების კვალიფიკაცია, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აუცილებელია სისტემატიურათ ეწყობოდეს სოფლის უჯრედების მდივნების თათბირები, რომლებზედაც უნდა ირჩეოდეს ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, მაგ. უპარტიო მშრომელ მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარების ფორმების, კულტ-განმანათლებელ, კოოპერაციის, გლეხკომების, საბჭოების, საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ პრაქტიკულათ გადაჭრას. ამ თათბირებზე უჯრედების მდივნები ერთი მეორეს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რაც ხელს შეუწყობს ყველა იმ შეცდომების თავიდან აცილებას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დღემდე და ადგილი აქვს დღესაც. ამავე თათბირების საშუალებით ჩვენ მივაღწევთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ამა თუ იმ სოფლის სუსტი უჯრედები თავიანთი მდივნების თაოსნობით შეეცდებიან გაუთანასწორდენ უფრო ძლიერ უჯრედებს.

ახლა ორიოდე სიტყვა დისციპლინის და პარტიის ძირითად ორგანიზაციებთან კავშირის შესახებ.

გლეხი, საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას, აფასებს ადგილობრივი პარტიული ამხანაგების მიხედვით. ამიტომ პარტიის წევრი სამაგალითო უნდა გახდეს მასსისათვის. სოფლის კომუნისტებმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ ინტრიგანობის, ლოთობის, ბოროტმოქმედების, გაფლანგვის, არა კომუნისტური ყოფა-ცხოვრების და სხ. წინააღმდეგ, რაც ჩირქს სცხებს პარტიას და სცემს მის ავტორიტეტს უპარტიო მასების თვალში. სოფლის კომუნისტებმა მტკიცეთ უნდა შეითვისონ ის რკინისებური დისციპლინა, რომელიც ახასიათებს ჩვენს პარტიას.

უნდა გავაძლიეროთ სამაზრო კომიტეტებს, რაიკომებს და უჯრედებს შორის არსებული კავშირიც. ურთიერთ შორის ცირკულიარული და წერილობითი კავშირი სრულებით არაა საკმარისი. სოფლის პარტიულ ორგანიზაციების წინაშე წამოჭრილ ამოცანების გადასაჭრელათ აუცილებლათ საჭიროა ცოცხალი კავშირი, რომელზედაც მიგვითითებდა მე-14 პარტიული კონფერენცია.

შ. ა—ძე.

ფინანსიურ საზოგადოების დაარსება და მისი მიზანი

საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური ცხოვრება ჭსწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ. ახლო მომავალში მუშურ-გლეხური ქვეყნების მრეწველობა მიაღწევს იმ დონემდე, რომელზედაც ის იდგა მთელი კაცობრიობის სიმდიდრის განმანადგურებელ ომამდე. ამასთან ერთად თანდათან იზრდება რიცხვი იმ პროდუქტთა რაოდენობისა, რომელიც გამოაქვს ბაზარზე გასასაღებლათ ჩვენს გლეხკაცობას. ეს გარემოება ითავს მხრივ ხელს უწყობს ხალხის დიდი უმრავლესობის სყიდვითი უნარიანობის ამაღლებას. მომხმარებელთა ფართე მასა სულ ახალ და ახალ მოთხოვნილებას უყენებს მრეწველობას, რომლისგანაც მოითხოვს საქონლის დამზადების საშუალებების გაფართოებას. აქედან იბადება გადაუდებელი საკითხი სამრეწველო დარგის გაძლიერების და განვითარების შესახებ.

ამავე დროს ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგება მოითხოვს დიდ თანხებს სახელმწიფოსგან, რომელსაც ჯერ-ჯერობით არ შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ფართე მასის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი. მართალია, სახელმწიფო სათანადო ზომებს ღებულობს საწარმოო ძალების ასაყვავებლად, ის აძლევს გრძელვადიან სესხს მრეწველობას, თვალყურს ადევნებს მის განვითარების პროცესს და სხვა, მაგრამ ყველა ეს საკმარისი არ არის ომიანობის და ინტერვენციის დროს დანგრეული მეურნეობის აღსადგენათ.

აქედან იბადება საკითხი ისეთ ორგანოს შექმნისა რომელიც სპეციალურად იზრუნებს გრძელვადიან სესხის მიღებისათვის, ურომლისოდ შეუძლებელია საწარმოო ძალების აღდგენა. მეორეს მხრივ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ერთგვარი გეგმის შემუშავება, მრეწველობის სხვადასხვა დარგთა შორის თანხების განაწილების საკითხში.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხად უნდა ჩაითვალოს მრეწველობის გეოგრაფიული განაწილება მთელ საბჭოთა კავშირის სივრცეზე. საბჭოთა მრეწველობის მიზანს სრულიადაც არ შეიცავს ჩამორჩენილ კუთხეების გაძვალტყავება, როგორც ამას სჩადის ევროპის ბურჟუაზია თავის კოლონიების მიმართ. საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის დროს მრეწველობა მიზნათ ისახავს დააკმაყოფილოს მშრომელი მასა და ამავე დროს აწარმოოს მუშაობა წინასწარ შემუშავებულ გეგმის მიხედვით.

ამას გარდა მხედველობაში იქნება მიღებული ნედლი მასალის შეძენის პირობები, დამზადებულ საქონლის რეალიზაციის საშუალებანი და სხვა. ყველა ამისათვის საჭირო შეიქნა სპეციალური ორგანოს დაარსება, რომელმაც უნდა იზრუნოს სამრეწველო დარგზე, იმ საშუალებათა დაგროვებაზე, ურომლისოდაც შეუძლებელია საწარმოო ძალების აღდგენა.

ამ მიზნით შექმნილია უკვე ფინანსიური საზოგადოება, სახელმწიფო მრეწველობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. პროექტი საზოგადოების დაარსების შესახებ დამტკიცებულია საკავშირო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მიერ. საზოგადოებაში წევრებათ შედიან სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, საფინანსო კომისარიატი, სახელმწიფო ბანკი, სამრეწველო ბანკი და სხვა.

სამრეწველო დაწესებულებანი ვალდებული არიან განსაზღვრული პროცენტი წმინდა მოგებისა გადასცონ ერთგვარ ფონდის შესაქმნელად, რომელიც იქნება საზოგადოების განკარგულებაში. ამავე ფონდის გასაძლიერებლად სახელმწიფო ბიუჯეტი გაიღებს სპეციალურ თანხას, რასაც მოემატება სახელმწიფო ბანკის მიერ გადადებული თანხები გრძელვადიან სესხის სახით მრეწველობის გასაძლიერებლად.

ამრიგად არსდება ფონდი საწარმოო ძალთა განსავითარებლად, ურომლისოდ შეუძლებელია კომუნიზმის პრინციპების სავსებით გატარება ცხოვრებაში.

შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა მრეწველობა 1913 წელთან შედარებით წინ წაიწევს და მით მოუსპობს ჩვენს პოლიტიკურ მტრებს საშუალებას სოციალისტურ რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრების „დანგრევაზე" აშენონ კონტრ-რევოლიუციონური ტაქტიკა მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ.

ა. ერქომაიშვილი.

ლოკარნოს ხელშეკრულებათა შინაარსი

ინგლისმა კონფერენციაზე შესძლო საფრანგეთის ჩამოშორება პოლონეთ-ჩეხო-სლოვაკიისაგან
ლოკარნოში დადებული ხელშეკრულება არ არის სავალდებულო ინგლისის ახალშენებისათვის
ინგლისმა მოახერხა ლოკარნოში საფრანგეთის გავლენის შესუსტება

ბერლინი, 20 ოქტ. გამოქვეყნდა ლოკარნოს შეთანხმებათა ტექსტი, რომელიც შეიცავს საერთო შესავალ ხელშეკრულებას და მთელ რიგ ცალკე ხელშეკრულებებს.

საერთო შესავალი ხელშეკრულება

საერთო შესავალ ხელშეკრულებაში გერმანიის, ბელგიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენლები თანახმა არიან:

1) დაიდოს ხელშეკრულობა გერმანიას, ბელგიას, საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას შორის (ე. ი. სახელდობრ საგარანტიო ხელშეკრულება საფრანგეთ-გერმანიის და გერმანია-ბელგიის საზღვრების შესახებ);

2) დაიდოს საარბიტრაჟო შეთანხმება გერმანიისა და ბელგიის შორის;

3) გერმანიასა და საფრანგეთს შორის (საარბიტრაჟო შეთანხმება);

4) გერმანიასა და პოლონეთს შორის (საარბიტრაჟო შეთანხმება);

5) გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიას შორის (საარბიტრაჟო შეთანხმება);

ზემოდაღნიშნულ სახელმწიფოების წარმომადგენლები თანახმა არიან კვლავ შეხვდენ ერთმანეთს ლონდონში 1 დეკემბერს და ფორმალურად ხელი მოაწერონ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს, რომლებიც არ უნდა იქნენ შეცვლილი.

შესავალ ხელშეკრულების საბოლოო ნაწილი იმედს გამოსთქვამს, რომ ლოკარნოში მიღწეული შეთანხმებები მორალურად შეამსუბუქებენ ატმოსფერას, გადასჭრიან პოლიტიკურ და ეკონომიურ პრობლემებს და განამტკიცებენ მშვიდობიანობას.

უკანასკნელ მუხლში ნათქვამია, რომ დელეგატები ვალდებული არიან ყოველმხრივ ხელი შეუწყონ განიარაღების საკითხის პრაქტიკულად გადაჭრას.

საგარანტიო ხელშეკრულება

პირველი ხელშეკრულების (ე. ი. რეინის საგარანტიო ხელშეკრულების) პირველ მუხლში ნათქვამია, რომ მოლაპარაკეში მონაწილე მხარეები უზრუნველყოფენ, როგორც თვითეული ცალკე, ისე ყველანი ერთად, იმ ტერიტორიალურ „სტატუსქვოს" დაცვას, რომელსაც განსაზღვრავენ ეხლანდელი საზღვრები ერთის მხრით გერმანიასა და ბელგიას და მეორე მხრით გერმანიასა და საფრანგეთს შორის.

საგარანტიო ხელშეკრულების მე-2 მუხლი აღნიშნავს, რომ გერმანია და ბელგია, ისევე როგორც გერმანია და საფრანგეთი, პირობას აძლევენ ერთმანეთს არ დაუშვან არავითარი გამოსვლა, თავდასხმა და სამხედრო მოქმედება ერთი-მეორის წინააღმდეგ. მაგრამ ისინი დასძენენ შენიშვნას, რომ ეს დადგენილება არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია საკუთარი თავდაცვის უფლების განხორციელება, ე. ი. ვალდებულებათა დარღვევისათვის წინააღმდეგობის გაწევა, აგრეთვე როცა გამოსვლა ხდება ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლის ნიადაგზე და იმ შემთხვევაშიაც, როცა გამოსვლა ხდება ერთა ლიგის კრების ან ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ხელშეკრულების მე-3-ე მუხლი შეიცავს ბელგიის, ისევე როგორც გერმანიის და საფრანგეთის, ურთიერთვალდებულებას მოაგვაროს მშვიდობიანი გზით ყველა შესაძლებელი სადავო საკითხები, აგრეთვე ის საკითხებიც, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია ჩვეულებრივ დიპლომატიურ მოლაპარაკების გზით. დაცული უნდა იქნეს შემდეგი მეთოდი: ყველა საკითხები, რომლებშიაც მხარეები არ სცნობენ ერთიმეორის გარკვეულ უფლებებს, უნდა გადაეცეს განსახილველად მსაჯულებს, რომელთა დადგენილებას მხარეები ვალდებული არიან დაემორჩილონ.

ყოველივე სხვა საკითხი უნდა გადაეცეს სამედიატორო კომისიას. თუ კომისიის წინადადებას არ ეთანხმება ორივე მხარე, საკითხი გადაეცემა ერთა ლიგის საბჭოს.

მე-4-ე მუხლი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე დაინახავს, რომ ადგილი ჰქონდა ამ ხელშეკრულების მე-2-ე მუხლის დარღვევას, მას დაუყონებლივ გადააქვს საკითხი ერთა ლიგის საბჭოში.

ხელშეკრულების მე-5-ე მუხლი ითვალისწინებს შეთანხმებულ მხარეების მიერ ამ ხელშეკრულების მე-3-ე მუხლის უზრუნველყოფას იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლში აღნიშნულ სახელმწიფოებიდან (გერმანია, ბელგია, საფრანგეთი), რომელიმე უარს ამბობს მეგობრული შეთანხმებაზე, ან არ ემორჩილება სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ან არღვევს ამ ხელშეკრულების მე 2-ე მუხლს.

მე-6-ე მუხლი აღნიშნავს, რომ ეხლანდელი ხელშეკრულების პირობები ხელუხლებლად სტოვებენ ვერსალის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებს და ვალდებულებებს, აგრეთვე ამ ხელშეკრულების შემავსებელ ყოველ შეთანხმებებს. ლონდონში მიღწეულ შეთანხმების (დოუესის გეგმა) ჩათვლით.

მე-7-ე მუხლი აღნიშნავს, რომ დაუშვებელია ეხლანდელი ხელშეკრულების ისე გაგება, თითქოს ის ზღუდავს ერთა ლიგის ამოცანებს.

მე-8-ე მუხლი ითვალისწინებს ამ ხელშეკრულების რეგისტრაციას ერთა ლიგაში. ხელშეკრულება ძალაში რჩება მანამდე, სანამ ამ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა რომელიმე მხარის წინადადების მიხედვით, ერთა ლიგის საბჭო თავისი გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებული უნდა იქნეს ხმების არა ნაკლებ ორი მესამედის მიერ, არ აღნიშნავს, რომ ერთა ლიგას შეუძლია მისცეს ხელშეკრულების ყველა მონაწილეებს სათანადო საკმაო გარანტიები. რომელიმე შეთანხმებელი მხარის მიერ ასეთი წინადადების შეტანის შესახებ, ერთა ლიგის საბჭო ვალდებულია აცნობოს საგარანტიო ხელშეკრულების ყველა მონაწილეებს 3 თვით ადრე, ვინემ საბჭო შეუდგებოდეს საკითხის განხილვას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალას ჰკარგავს ერთი წლის შემდეგ დღიდან სათანადო გადაწყვეტილების მიღებისა.

მე-9-ე მუხლი აღნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულება არ აკისრებს არავითარ ვალდებულებას ინგლისის არც ერთ დომინიონს (ნახევრად კოლონიას) ან ინდოეთს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დომინიონის ან ინდოეთის მთავრობა თვითონ იკისრებს ამ ვალდებულებებს.

მე-10-ე მუხლში ნათქვამია, რომ დამტკიცებული სიგელები რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა გადაეცეს ერთა ლიგის არქივს ხელშეკრულება ძალაში შედის, როგორც კი დამტკიცებული სიგელები შეტანილი იქნება არქივში და გერმანია შევა ერთა ლიგის წევრთა რიცხვში.

ცალკე ხელშეკრულებები

საარბიტრაჟო ხელშეკრულება გერმანიასა და ბელგიას შორის.

ლოკარნოში დადებული მეორე ხელშეკრულება წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმებას გერმანიასა და ბელგიას შორის.

მუხლები 1—18 დაწვრილებით აღნიშნავენ იმ მუდმივ საერთაშორისო სამედიატორო კომისიის მუშაობას, რომელიც დაარსებული იქნება სამედიატორო ორგანოს სახით სადაო საკითხების მოსაგვარებლად.

მე-19 მუხლი აღნიშნავს, რომ სამედიატორო სასამართლო ან მუდმივი საერთაშორისო სასამართლო (ჰააგის ტრიბუნალი) საჭირო შემთხვევაში განკარგულებას გასცემს იმის შესახებ; თუ როგორი დროებითი ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო. დროებითი ღონისძიებების მიღების შესახებ განკარგულების გაცემის უფლება აქვს აგრეთვე ერთა ლიგის საბჭოსაც, თუ ის არჩევს ამ საკითხს, გერმანიის და ბელგიის მთავრობები ვალდებული არიან შეასრულონ ეს განკარგულებანი და თავი შეიკავონ ყოველგვარ ზომისაგან, რომელიც უარყოფით გავლენას იქონიებს სათანადო ინსტანციის გადაწყვეტილების განხორციელებაზე.

საარბიტრაჟო ხელშეკრულება გერმანიასა და საფრანგეთს შორის

მესამე ხელშეკრულება შეიცავს პროექტს საარბიტრაჟო შეთანხმებას გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რომელიც თავისი შინაარსით არაფრით განსხვავდება გერმანია-ბელგიის შეთანხმებისაგან.

საარბიტრაჟო ხელშეკრულება გერმანიასა და პოლონეთს შორის

მეოთხე ხელშეკრულება შეიცავს გერმანია-პოლონეთის საარბიტრაჟო ხელშეკრულების პროექტს. ამ ხელშეკრულების პროექტის შესავალ ნაწილში მოყვანილია ორივე სახელმწიფოს პრეზიდენტების განცხადება, რომ საარბიტრაჟო ხელშეკრულება იდება იმის გამო, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ საერთაშორისო უფლებათა დაცვა ევალებათ საერთაშორისო სასამართლოს ინსტანციებს.

საარბიტრაჟო ხელშეკრულება გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიას შორის

მეხუთე ხელშეკრულება შეიცავს პროექტს საარბიტრაჟო ხელშეკრულებისას გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიას შორის, არაფრით არ განსხვავდება პოლონეთ-გერმანიის საარბიტრაჟო ხელშეკრულებისაგან.

განცხადება მე-16-ე მუხლის შესახებ

საერთო შესავალ ხელშეკრულების დამატებაში ნათქვამია:

„გერმანიის დელეგაციამ სურვილი გამოსთქვა მიიღოს ერთგვარი განმარტებები ერთა ლიგის მე-16-ე მუხლის შესახებ. ჩვენ არ გვაქვს უფლება გავაკეთოთ განცხადებები ერთა ლიგის სახელით. მაგრამ იმ თათბირების შემდეგ, რომლებიც შესდგა ერთა ლიგის კრებაზე და კომისიებში და აგრეთვე ერთმანეთს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ გავაცნოთ გერმანიის დელეგაციას მე-16-ე მუხლი ჩვენი გაგებით.

ამ გაგების თანახმად, ვალდებულებანი, რომელთაც აკისრებს ეს მუხლი ერთა ლიგის წევრებს, უნდა გავიგოთ ისე, რომ თვითეული სახელმწიფო, რომელიც ითვლება ერთა ლიგის წევრად, ვალდებულია გამოიჩინოს ლოიალობა და ხელი შეუწყოს ერთა ლიგის წესდებისადმი პატივისცემის განმტკიცების და წინაღუდგეს ყოველგვარ თავდასხმის ხასიათის მქონე გამოსვლას იმდენად, რამდენადაც ამას ხელს უწყობს მისი სამხედრო მდგომარეობა და გეოგრაფიული მდებარეობა".

ამ განცხადებას ხელს აწერენ მოკავშირე სახელმწიფოების ყველა გარეშე საქმეთა მინისტრები და აგრეთვე პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია.

ლოკარნოს ხელშეკრულებები
„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. „იზვესტია" მოწინავე წერილში: „ლოკარნოს ხელშეკრულებები" სწერს:

„დღეს გამოქვეყნებული ლოკარნოს კონფერენციის ხელშეკრულებები საერთოდ არაფერ ახალს არ მატებენ იმას, რაც უკვე იყო აღნიშნული პრესაში.

ჩვენმა პრესამ უკვე აღნიშნა ინგლისის თვალსაზრისის გამარჯვება ლოკარნოს კონფერენციაზე და საფრანგეთის როლის შემცირება ევროპის იმპერიალისტურ ძალთა ჭიდილში. ინგლისმა მოახერხა კავშირის გაწყვეტა საფრანგეთსა და მის აღმოსავლეთის მოკავშირეებს—პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის. ეს ამოცანა ინგლისმა შეასრულა, პირველ ყოვლისა, იმ განსაკუთრებული ფორმით, რომლითაც გადაჭრილია გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების საკითხი. საფრანგეთმა, დათმობაზე წასვლით, ბედისანაბარად მიატოვა თავისი აღმოსავლეთის მოკავშირეები. ეს გარემოება გარკვევითაა აღნიშნული საერთო დამატებით ხელშეკრულებაში, რომელიც წარმოადგენს ლოკარნოს კონფერენციის ერთ-ერთ აქტს. ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ყველა ის საკითხები, რომლებიც ეხება პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიას, მიღებული წესების მიხედვით, გადაეცემა განსახილველად ერთა ლიგას.

დამატებით ხელშეკრულებაში შეტანილია მოკავშირე სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრების წერილობითი განცხადება, რომელიც ეხება ერთა ლიგის წესდების ცნობილ მე-16 მუხლის განმარტებას. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს ჩვენი შეხედულების სისწორეს იმაზე, რომ ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლის განმარტება სრულიადაც არ წარმოადგენს რაიმე პრივილეგიას სპეციალურად გერმანიისათვის.

ძირითადი საგარანტიო ხელშეკრულება (რეინის) განსაზღვრავს ინგლისის, როგორც გადამწყვეტ არბიტრის როლს „რეინზე მშვიდობიანობის დაცვის" საკითხების გადაჭრის დროს. ერთა ლიგის საბჭო, რომელიც ამ ხელშეკრულებაში გამოყვანილია უზენაეს საგარანტიო არბიტრად, მთელი ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით წარმოადგენს მხოლოდ ინგლისის ფსევდონიმს.

რეინის ხელშეკრულების ყველა მუხლებიდან მხოლოდ ერთი—მე-9 მუხლი პირდაპირ ეხება ინგლისს. ამ მუხლში ნათქვამია, რომ „ხელშეკრულება არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს არც ერთ ინგლისის დომინიონს ან ინდოეთს". ეს ახალი გარემოება არ ყოფილა ცნობილი ამ ტექსტების გამოქვეყნებამდე. იგი დიდი მნიშვნელობის ამბავს წარმოადგენს, რადგან ეს არის ახალი ნაბიჯი ინგლისის იმპერიის ნგრევის გზაზე. დომინიონები ინგლისის პოლიტიკის ობიექტიდან თანდათან ხდებიან დამოუკიდებელ საერთაშორისო პოლიტიკის სუბიექტად.

ასეთია ლოკარნოს აქტების შინაარსი. ლოკარნომ დაგვანახვა, რომ სწარმოებს საერთაშორისო ძალების ახალი გადაჯგუფება".

ლოკარნოს კონფერენციის შემდეგ

დაპყრობილ ოლქების წარმომადგენლები შეთანხმების შესახებ

ბერლინი, 20 ოქტომბერი. რეიხსკანცლერმა ლიუტერმა და გარეშე საქმეთა მინისტრმა შტრეზემანმა მიიღეს დაპყრობილ ოლქების წარმომადგენლები, რომლებსაც გააცვნეს ლოკარნოში მიღებულ შეთანხმებათა შინაარსი.

რეინის პროვინციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რეინის პროვინციები მოითხოვენ საოკუპაციო ხელისუფლებისაგან ზომების მიღებას, რათა ცხოვრებაში გატარდეს ანტანტის დაპირებანი ლოკარნოს კონფერენციაზე. მათი აზრით გერმანიის მიერ ლოკარნოს ხელშეკრულების მიღება არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, მოჰყვება თუ არა ამ ხელშეკრულებას საგრძნობი შედეგები რეინის პროვინციებისათვის.

ჩემბერლენი კმაყოფილია

ლონდონი, 20 ოქტ. ჩემბერლენი დაბრუნდა ლონდონში.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს ჩემბერლენმა განაცხადა: „ლოკარნოში წინასწარ ხელმოწერილი ხელშეკრულებანი არავისათვის საფრთხეს არ წარმოადგენენ და არ არიან მიმართული არც ერთი ერის წინააღმდეგ. მე მახარებს ლოკარნოში შეთანხმების მიღწევა, რადგან იგი ამტკიცებს ჩვენს შერიგებას გერმანიასთან და აგრეთვე იმიტომ, რომ მშვიდობიანობის საფუძვლები განმტკიცებულია არა მარტო დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთშიაც.

ლოკარნო და პოლონეთი

ვარშავა, 20 ოქტ. ლოკარნოდან დაბრუნებულმა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ლოკარნოს კონფერენციამ დააახლოვა პოლონეთი ინგლისთან, განამტკიცა პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობა და გაადიდა პოლონეთის შანსები, რომ ის მიიღებს მუდმივ ადგილს ხალხთა ლიგის საბჭოში.

ლოკარნოს მოლაპარაკების შემდეგი ეტაპები.

ბერლინი, 20 ოქტ. ვოლფის სააგენტო იუწყება: ლოკარნოს შეთანხმების წინასწარი ხელის მოწერის შემდეგ ახლო მომავალში მოხდება ამ შეთანხმებების ხელის მოწერა. ხელის მოწერის შემდეგ მოხდება მათი რატიფიკაცია საკანონმდებლო ორგანოების მიერ უკანასკნელი ეტაპი ლოკარნოს ხელშეკრულების ძალაში შესვლისა იქნება გერმანიის შესვლა ხალხთა ლიგაში.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ჩან-ძო-ლინისა და უ-პეი-ფუს მომხრეებს შორის ბრძოლა დაიწყო

გენერლების ერთმა ჯგუფმა უღალატა ჩან-ძო-ლინს

პეკინში ჩავიდა ამერიკის დელეგაცია საბაჟო კონფერენციაზე

სამოქალაქო ომის დაწყების გამო ჩინეთში ძლიერდება ფინანსიური კრიზისი

ნანკინი იანუ-ტინის ხელშია

პეკინი, 20 ოქტ. არ არის დადასტურებული ცნობა გენერალ სუნ-ჭუან-ფანის ჯარების მიერ ნანკინის დაკავების შესახებ. მუკდენის ჯარების სტრატეგიული უკან დახევა მაინც გრძელდება. ჯარები თავს იყრიან ჩინ-კიანის გარშემო ნანკინის დასავლეთით. მოსალოდნელია ხეროიზული ბრძოლები შანხაი-ნანკინის რკინისგზაზე ნანკინიდან 10 მილის დაშორებით, სადაც მუკდენის ჯარებმა მოაწყვეს დროებითი ფრონტი და აფეთქეს რკინისგზის ხიდები.

იუწყებიან, რომ სუნ ჩუან-ფანის ჯარებმა, მტრის დევნის დროს, მიაღწიეს ტანიანის სამხრეთით მდებარე პუნქტს.

პრესის ცნობით შესაძლებელია, რომ პროვინცია ტენინი ჩათრეული იქნეს კონფლიქტში.

იანუ-ტინის მოწოდება

პეკინი, 20 ოქტ. ზოგიერთი ცნობებით იანუ ტინმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ მშვიდობიანობის ინტერესი მოითხოვს სუჩაუდან ჯარების გაყვანას ჩინკიანის მიმართულებით. იანუ-ტინი უმჯობესად სთვლის ნანკინის დატოვებას, ვიდრე შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას.

ამ მოწოდებით იანუ-ტანი ფიქრობს თავდასხმის როლში გამოიყვანოს სუნ-ჩუან-ფანი.

იუწყებიან აგრეთვე, რომ სუნ-ჩუან-ფანი არ შეაჩერებს თავის შეტევას, მაგრამ ნანკინის დაკავების დროს მოხდება ნამდვილი შეიარაღებული ბრძოლა.

ფინანსიურ კრიზის წინ.

პეკინი, 20 ოქტ. სამხედრო ოპერაციების შემდეგ შანხაის ბანკებმა და ბირჟამ მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი ოპერაციები. მოსალოდნელია ფინანსიური კრიზისი, სახელმწიფო ქაღალდების კურსი ერთბაშად დაეცა, მოთხოვნილების უქონლობის გამო.

კომუნიზმის გავლენა იზრდება

პეკინი, 20 ოქტ. ჩჟილის პროვინციის ადგილობრივი ხელისუფლება შეშინებულია კომუნიზმის გავლენის ზრდით. ხელისუფლებამ დახურა მთელი რიგი მუშათა და სტუდენტთა გამოცემები.

პოლიციის ხელისუფლებამ პეკინში გააფრთხილა გაზეთების გამომცემლობანი არ გამოაქვეყნონ ცნობები სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

მუკდენის ჯარები უცხოეთის კაპიტალის იარაღია.

პეკინი, 20 ოქტ. პრესაში გამოქვეყნებულია აშკარად შეთხზულ ცნობები, თითქოს იუ-ვეი-ჩუნს და სუ-ნიუ-ის განზრახული აქვთ გამოუშვან დეკლარაცია ნეიტრალიტეტის დაცვის და ჩჟან-ძო-ლინისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ამავე ცნობების თანახმათ დუან-ძი-ჯუი, ფინ-იუი-სიანი და ჩჟან-ძო-ლინი შეთანხმდენ იმაში, რომ დღევანდელი კონფლიქტი ჩასთვალონ ადგილობრივ კონფლიქტათ და ამგვარად თავიდან აიცილონ მომავალ საბაჟო კონფერენციის ჩაშლა.

მეორე მხრივ, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, ფინ-იუისიანსა, დუან-ძი-ჯუის და სუნ-ჩუან-ფანის შორის სწარმოებს მოლაპარაკება, პეკინის მთავრობამ ნეიტრალიტეტი დაიცვას ახლანდელ კონფლიქტში. როგორც ამბობენ, ეს კონფლიქტი გამოიწვია მუკდენის (ჩან ძო-ლინის) ჯგუფის უკმაყოფილებამ. საზოგადოებრივი აზრი მუკდენის ჯგუფს სთვლის ჩინეთში უცხოელების ბატონობის იარაღათ.

განდგომილი გენერლები

პეკინი, 20 ოქტ. უკანასკნელ ცნობების თანახმათ, 1, 3 და 4 დივიზიების კომანდირებმა (ჩჟან-ძო-ლინის არმიის ნაწილები ციან-სუში) განაცხადეს, რომ ისინი უარს ამბობენ ჩჟან ძო-ლინისათვის მხარის დაჭერაზე და მიემხრობიან სუნ-ჩუან-ფანს (უ-პეი-ფუს მომხრეს).

ბრძოლა ნანკინისათვის

პეკინი, 20 ოქტ. მიუხედავათ სწორი ცნობების უქონლობისა—დაიკავა თუ არა სუნ-ჩუან-ფანმა ნანკინი—იუწყებიან, რომ ნანკინში მდგომმა მე-4 დივიზიის სარდალმა დაიპყრო ქალაქი და გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებლათ ჩჟან-ძო-ლინის შტაბისაგან. იტყობინებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინმა გასცა ბრძანება ჯარების უკან დახევის შესახებ იან-ძე-ცანის მარცხენა ნაპირებზე. უკან დახეული ჯარები აფეთქებენ რკინისგზის ხიდებს. „ჩინ-ბაო" იუწყება, რომ ჩჟან ძოლინმა უკვე გამოიმუშავა გეგმა 200.000 ჯარის კაცის გაგზავნის შესახებ.

ამერიკის დელეგაცია საბაჟო კონფერენციაზე

პეკინი, 20 ოქტ. ამერიკის დელეგაცია საბაჟო კონფერენციაზე ჩავიდა პეკინში.

დიპლომატიურ წრეებში

პეკინი, 20 ოქტ. როგორც იტყობინებიან, იტალიის ელჩი პეკინში ჩერრუტი, რომელიც გაემგზავრა მუკდენში თავის ცოლის შესახვედრათ, ჯერ ისევ მუკდენში იმყოფება. ამბობენ, რომ მან ინახულა ჩჟან-ძოლინი და სადილადაც მასთან იყო.

ინგლისის ელჩი ჩინეთში მაკ-ლეი, რომელიც შვებულებაში იმყოფებოდა ჩავიდა შანხაიში და, როგორც ფიქრობენ, გემით გაემგზავრება ტიანძინში.

პრესა კონფლიქტის შესახებ

პეკინი, 20 ოქტ. ჩინეთის ნახევრად ოფიციალური გაზეთი „პეკინ დეილი ნიუზი" ჰკიცხავს სუნ-ჩუან-ფანს, რომელიც ხელს უშლის საბაჟო კონფერენციის მოწვევას.

„წყეულიმც იყონ ყველა ისინი, როგორც მოღალატენი, ვინც ხელს უშლის მომავალ კონფერენციის მოწვევას და ამ კონფერენციასთან დაკავშირებულ ჩინეთის ხალხის იმედების განხორციელებას.", ამბობს გაზეთი. სუნ-ჩუან-ფაზე დამოკიდებული დაცულ იქნეს მშვიდობიანობა თუ დაიწყება მღელვარება. თუ ის დაემორჩილება მთავრობის დადგენილებას და გაიყვანს ჯარებს შანხაიდან—ის იქნება პატრიოტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნება მოღალატე და თავისი ქვეყნის გამანადგურებელი."

ფიქრობენ, რომ ეს წერილი შედეგია იმ ზეგავლენის, რომელიც მუკდენის ჯგუფმა მოახდინა მთავრობაზე. ეს ჯგუფი მოითხოვს ჩუნ-ჩუ ნ ფანის გამოცხადებას მეამბოხეთ და მოღალატეთ და ოფიციალურ ბრძანების გაცემას მისი დაპატიმრების შესახებ.

იაპონია ნეიტრალიტეტს დაიცავს

პეკინი, 20 ოქტ. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ოფიციალურ ცნობას, რომ იაპონია ნეიტრალიტეტს დაიცავს ჩინეთში თუ სამოქალაქო ომი დაიწყო.

საბაჟო კონფერენცია ჩინეთში.—შეერთებული შტატები იმოქმედებენ დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად

პეკინი, 20 ოქტ. ამერიკის დელეგატი ჩინეთის საბაჟო კონფერენციაზე სტრაუნი უარყოფს ცნობას, თითქოს შეერთებულ შტატებს განზრახვა ჰქონდეთ დამოუკიდებლათ გამოვიდენ და მოითხოვონ ჩინეთისათვის საბაჟო ავტონომია, თუ სახელმწიფოთა შორის არ მოხდა შეთანხმება. სტრაუნმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები იმედოვნებენ, რომ სახელმწიფოები შეთანხმებით იმოქმედებენო.

საბჭოთა პური საფრანგეთში

პარიზი, 20 ოქტ. გავრში მივიდა ლენინგრადიდან დანიის გემი 7.200 ტონა საბჭოთა პურით. ეს პირველი ტრანსპორტია ხორბლის საბჭოთა კავშირიდან საფრანგეთში ომის გათავების შემდეგ.

ამხ. დორიოს განთავისუფლება

პარიზი, 20 ოქტ. დროებით გაანთავისუფლეს დეპუტატი კომუნისტი დორიო, რომელიც დაჭერილი იყო პოლიციასთან შეტაკების დროს მაროკოს ომის წინააღმდეგ 24 საათის საპროტესტო გაფიცვასთან დაკავშირებით.

სკშინსკის საპასუხო ვიზიტი

ვარშავა, 20 ოქტ. გაზეთების გადმოცემით სკშინსკი სამაგიერო ვიზიტს გაუკეთებს ჩიჩერინს მოსკოვში გაზაფხულზე.

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

კომინტერნის წარმომადგენლის გამოსვლა

პარიზი, 20 ოქტ. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციაზე კომინტერნის წარმომადგენელმა მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ პირველი პოლიტიკური გაფიცვის ჩატარება კომპარტიის გავლენის ზრდის მაჩვენებელიაო. საფრანგეთის კომპარტია უნდა ებრძოლოს კომუნიზმის საწინააღმდეგო გადახრას მარჯვენა ოპოზიციის მხრით, რომელიც უარყოფს იცნოს კომპარტიის ლოზუნგები, და კერძოთ ომის საკითხში. კომპარტიამ უნდა შეიმუშაოს დღევანდელ საარსებო მოთხოვნილებათა პროგრამა სამუშაო ქირის, გადასახადების და სხ. ეს საარსებო მოთხოვნილებები, რომლებიც ეხლავ უნდა იქნენ წარდგენილი, დაკავშირებული უნდა იქნენ საერთო პოლიტიკურ ხასიათის საკითხებთან. კომინტერნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის კომპარტია განიცდის დაბრკოლებებს, რომლის ძირში არის ზრდის ავადმყოფობანი. პარტიის ხელმძღვანელობა სწორი გზით მიდის. კომპარტია ძლიერდება.

გლეხთა საკითხი

კასტელმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა გლეხთა საკითხის შესახებ, ხაზი გაუსვა იმას, თუ რა ძნელია გლეხთა მასების დამორჩილება და თხოულობს, რომ შემუშავებული იქნეს ლოზუნგები გლეხების ეკონომიურ მდგომარეობასთან შეფარდებით. მარტი განმარტავს, რომ წვრილ მესაკუთრეებმა ძალაუნებურათ უნდა შეაფარონ თავი პროლეტარიატის ბანაკს. გლეხები ომის და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგი არიან. კომპარტიამ უნდა გააღრმავოს გლეხთა საკითხი, რომელიც ძლიერ რთული და ჯერ კიდევ შეუსწავლელია.

მოხსენება პროფმოძრაობაზე

შრომის უნიტარულ კონფედერაციის ბელადმა ამხ. მანმუსომ თავის მოხსენებაში პროფმოძრაობის მთლიანობაზე აღნიშნა, რომ საერთო ყრილობის (უნიტარულის და რეფორმისტულ კონფერენციის) მოწვევის ჩაშლამ შექმნა ორი მიმდინარეობა შრომის უნიტარულ კონფედერაციაში: ერთი მიმდინარეობა წინააღმდეგია მთლიანობის, მეორე კი მომხრეა შრომის უნიტარული კონფედერაცია გაითქვიფოს საერთო რეფორმისტულ კონფედერაციაში. შრომის უნიტარული კონფედერაცია ვერ მიატოვებს თავის მუშაობას მთლიანობისათვის და ვერც ლიკვიდაციას უზამს უნიტარულ კავშირებს. შრომის უნიტარულ კონფედერაციამ უნდა გააძლიეროს შრომის საერთო კონფედერაციის მემარცხენე ფრთის მუშათა მასებთან კავშირის დაკავების მიზნით, რომლებიც შემთანხმებლებთან მიდიან.

სხვადასხვა

— **ტრამვაის მუშათა გაფიცვა ფრანკფურტში-მაინზე.** ფრანკფურტის ტრამვაის მოსამსახურეებმა გამოაცხადეს გაფიცვა სამუშაო დღის 9 საათიდან 10 საათამდე გადიდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ტრამვაის მოძრაობა ქალაქში შეწყვეტილია.

— **ბურჟუაზიული გაზეთები ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის ანგარიშის შესახებ.** ლონდონის გაზეთები ეხებიან რა ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის ანგარიშს, სწერენ, რომ დელეგაციამ, რომელიც „სათანადოთ იქნა გადამუშავებული" დაინახა, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი საუცხოვოდ მიდის.

— **ჟენევა თუ ვაშინგტონი?** ამერიკის მთავრობის წრეებში უკმაყოფილო არიან ცნობით, რომ ევროპის სახელმწიფოებს განზრახული აქვთ გადასჭრან შეიარაღების შემცირების საკითხი ერთა ლიგის და არა ამერიკის საერთო ხელმძღვანელობით.

— **ოსტროუმოვი და ხორვატი.** მიღებული ცნობების თანახმად აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის ყოფილი უფროსი ოსტროუმოვი და თეთრგვარდიელთა გენერალი ხორვატი, რომლებმაც კოლჩაკის დროს გამოაცხადეს თავი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მმართველობათ გაემგზავრენ მუკდენიდან, პირველი ხარბინში, მეორე პეკინში.

— **საუბარი ვილჰელმთან.** „ობსერვერი" ათავსებს გერმანია-ამერიკის ჟურნალისტის ფირკეს საუბარს ყოფ. კაიზერ ვილჰელმთან. ვილგელმმა აღნიშნა მოახლოვებული ყვითელი საშიშროება, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება საბჭოთა კავშირის მუქარით. შეეხო რა მღელვარებას ინგლისის კოლონიებში, მაროკოში, სირიაში და სხვ. ვილჰელმმა აღნიშნა, რომ გერმანია უნდა იყოს ძლიერი და დაიკავოს ადგილი აზიურ ბოლშევიზმის თავდასხმის წინააღმდეგ შექმნილ რიგებში. შეიარაღებულ გერმანიის გარეშე, ვილგელმის სიტყვით ცივილიზაციის ფრონტი ბოლშევიზმის და ყვითელ საშიშროების წინააღმდეგ მტკიცე არ იქნება.

საბჭოთა კავშირში

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მნიშვნელობა

ამხ. კრასინის მოხსენება

ხარკოვი, 21 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს ამხ. კრასინმა გააკეთა მოხსენება საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენ ეკონომიურ პოლიტიკაში საგარეო ვაჭრობის მონოპოლია წარმოადგენდა ზღუდეს, რომელმაც საშვალება მოგვცა შეგვენარჩუნებია ეკონომიური დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში. ჩვენ არ განგვიზრახავს უკან დახევა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის საკითხში; მონოპოლიის სისტემამ საშუალება მისცა ჩვენს სასოფლო მეურნეობას და მრეწველობას დამოუკიდებლად გამოსულიყო საგარეო ბაზარზე. მხოლოდ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სხვა ეკონომიურ ღონისძიებებთან ერთად მიგვიყვანს ჩვენ სოციალიზმამდე.

საგარეო ვაჭრობის დარგში ჩვენ მთავარ პრინციპს წარმოადგენს აქტიური—სავაჭრო ბალანსის პოლიტიკა, ე. ი. ექსპორტის გადაჭარბება იმპორტზე, რაც უზრუნველჰყოფს ჩვენ ქვეყანაში ოქროს მარაგის დაგროვებას.

4 წლის განმავლობაში საგარეო ვაჭრობამ მოგვცა ჩვენ მნიშვნელოვანი შედეგები. თუ საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 1921 წელს უდრიდა ომის წინა დროის 9 პროც.-ს, 1925—26 წელს ეს ბრუნვა მიაღწევს 50 პროც.-ს.

შეეხო რა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მუშაობის ნაკლს კრასინმა სთქვა, რომ ეს ნაკლი გამოიხატება მოქნილობის უქონლობაში და ბაზრის პირობებთან შეუფარდებლობაში, მაგრამ ამის წინააღმდეგ სწარმოებს ბრძოლა.

მეორე საგლეხო სესხი

მოსკოვი, 21 ოქტ. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოუშვას პირველი ნოემბერს მეორე საგლეხო მომგებიან სესხის პირველი სერია 20 მილიონი მანეთის რაოდენობით. შემდეგი სერიები გამოშვებული იქნება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

მეორე საგლეხო მომგებიან სესხის პირველი ტირაჟი მოხდება მიმდინარე წლის 15 დეკემბერს. გათამაშებული იქნება 6.562 მოგება 250.000 მანეთის რაოდენობით.

2 მილიონ მანეთის ობლიგაციები გაგზავნილი იქნება სოფელში გასასყიდათ. 18 მილიონი მანეთის ობლიგაციები გაიყიდება საბჭოთა კავშირის ქალაქებში საჯარო ხელის მოწერის გზით. ხელისმოწერის დამთავრების შემდეგ ხელისმომწერლებს მიეცემათ ობლიგაციები; ამასთანავე თუ ხელის მოწერა გადააჭარბებს 18 მილიონ მანეთს, ხელისმომწერლები დაკმაყოფილებული იქნებიან გაწერის საშუალებით, ამასთანავე ისინი, ვინც ხელს მოაწერენ სესხზე 100 მანეთამდე, დაკმაყოფილებული იქნებიან მთლიანად.

შინაური ბაზრის გასაჯანსაღებლად

მოსკოვი, 21 ოქტ. 20 ოქტომბერს პიატაკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის ყრილობების საბჭოს პლენუმი.

სმილგამ გააკეთა მოხსენება სახალხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. სმილგას აზრით საჭიროა შინაური ბაზრის გაჯანსაღება. კარგმა მოსავალმა ვერ დასწია პურის ფასები. ეს აიხსნება სოფლის მდგომარეობის გაუმჯობესებით და სამრეწველო საქონლის ნაკლებობით, კარგი მოსავლის მოლოდინში ჩვენ გავიტანეთ პური საზღვარ-გარეთ დიდი რაოდენობით. ამით ჩვენ გავადიდეთ პურის მოთხოვნილება და ფასები. ამავე დროს გლეხი არ ჩქარობს პურის გაყიდვას.

პურის ფასების აწევის გამო არა ნორმალურად გაიზარდა ფასები საწვრილმანო ბაზარზე. ჩვენ უნდა შევსცვალოთ ჩვენი პოლიტიკა.

ამჟამად მოთხოვნილება აჭარბებს მოწოდებას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ბაზარზე. ამიტომ უნდა შევამციროთ მოთხოვნილება და შევსცვალოთ შეფარდება ფულებს და საქონელს შორის. ცოტაოდენად უნდა შევასუსტოთ სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადების ტემპი. უნდა შევამციროთ აგრეთვე კრედიტების რაოდენობა მოვაჭრე ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის.

გლეხების გაგზავნა უცხოეთში

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ ურთიერთობათა ჩეხო-სლოვაკიის ცენტრალურმა კომიტეტმა გლეხის ცენტრალურ სახლს მოსკოვში გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც გლეხთა საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახელით კომიტეტი იწვევს რუს-გლეხებს ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკაში, რათა საუკეთესოთ იქნას გამოყენებული ეს მოგზაურობა, გლეხთა ცენტრალურ სახლს წინადადება ეძლევა გამოგზავნოს სხვადასხვა გუბერნიებიდან 30 მიწის მუშა-გლეხი, რომლებსაც საშუალება ექნებათ გაეცნონ თანამედროვე მიწათმოქმედების ყველა მიღწევებს და ჩეხო-სლოვაკიის კოოპერაციის მოქმედებას.

კანონპროექტი ადგილობრივ საბჭოების საკრედიტო ოპერაციების შესახებ

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. რ. ს. ფ. ს. რ-ის მცირე სახალხო კომისართა საბჭომ წარუდგინა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად კანონპროექტი ადგილობრივ საბჭოების საკრედიტო ოპერაციების შესახებ. კანონპროექტი უფლებას აძლევს ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებს და ადგილობრივ აღმასკომებს, აგრეთვე ქალაქის და სოფლის საბჭოებს, რომელთაც აქვთ საკუთარი ბიუჯეტი, აიღონ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო დაწესებულებებისაგან, აგრეთვე კერძო პირებისაგან საბჭოთა კავშირში და უცხოეთში. სესხების მიღება შეიძლება როგორც ობლიგაციებით, ისე თამასუქებით და სხვა ვალდებულებებით. აღმასკომები პასუხს აგებენ მიღებულ სესხზე მთელი თავისი შემოსავლით და ქონებით, რომლებიც იმყოფება მათ განკარგულებაში. სესხების მიღების დროს სპეციალურ უზრუნველყოფად შეიძლება აგრეთვე ჩათვლილ იქნეს შემოსავალი ცალკე ქონებიდან და საიჯარო წყაროებიდან.

საბჭოთა კავშირისა და ლატვია-ესტონეთის სარკინიგზო კონფერენცია

მოსკოვი, 21 ოქტ. 2 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირისა და ლატვია-ესტონეთის სარკინიგზო კონფერენცია. მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ იაპონია და ჩინეთი. დღის წესრიგშია საკითხი პირდაპირი მიმოსვლის შესახებ ტოკიო-პარიზი.

საბჭოთა პარტიული პრესა

თათბირი რ. კ. პ. ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს ბეჭდვითი სიტყვის ცენტრალურ სახლში გაიხსნა ბეჭდვითი სიტყვის საგუბერნიო განყოფილებების გამგეების, დიდი გაზეთების რედაქტორების და საბჭოთა-პარტიულ გამომცემლობათა წარმომადგენლების თათბირი, რომელიც მოწვეული იყო რ. კ. პ. ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მიერ.

თათბირის პირველ სხდომაზე რ. კ. პ. ცეკას მდივანმა ამხ. მოლოტოვმა გააკეთა ვრცელი მოხსენება. მან გააშუქა ბეჭდვითი სიტყვის როლი პარტიის წინაშე არსებულ მორიგ ორგანიზაციულ-ტაქტიკურ და იდეურ-პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით.

ამხ. ვარეიკისის მოხსენება

შემდეგ სიტყვით გამოვიდა რ. კ. პ. ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ვარეიკისი, რომელმაც მოხსენება გააკეთა ბეჭდვითი სიტყვის მიღწევების და მორიგ ამოცანების შესახებ. თავის მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ 1924 წელს ჩვენ გვქონდა 517 გაზეთი, ეხლა კი ქვაქვს 595. საგრძნობლად გაიზარდა ამ ხნის განმავლობაში ტირაჟიც. ამჟამად გვაქვს მუშათა მასიური გაზეთი—58, საგლეხო—146, კომკავშირის—55.

მომხსენებლის აზრით, ამოცანად უნდა იქნეს დასახული გადასვლა კოლექტიურ ხელისმოწერიდან ინდივიდუალურზე—ეს გააძლიერებს გაზეთის კავშირს მკითხველთან.

გაზეთების მთავარ ნაკლს წარმოადგენს: ბეჭდვითი სიტყვის კვალიფიციურ მუშაკთა სიმცირე, არა საკმაო პოლიტიკური მომზადება, პარტიის პოლიტიკის მთავარ საკითხების დასმის უცოდინარობა, ზოგჯერ ბულვარული ხასიათი—„პოპულიარიზაცია", რომელიც ავნებს შინაარს.

ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის უმთავრესი მიღწევაა მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობა.

არა სრული ცნობების მიხედვით, უკვე გვყავს 216,000 კორესპონდენტი. საჭიროა გაძლიერებულ იქნეს პოლიტიკური მუშაობა და გლეხ კორესპონდენტებს შორის, მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა და მათი წამოყენება სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივ სამუშაოზე.

ნორვეგიის პროფკავშირების დელეგაცია

მოსკოვი, 21 ოქტ. 21 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა ნორვეგიის პროფკავშირთა დელეგაცია. სადგურზე დელეგაციას შეხვდენ პროფკავშირების წარმომადგენელნი, და აგრეთვე მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების დელეგატები მუსიკით და დროშებით. სადგურზე შესდგა მიტინგი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მოსკოვის პროფსაბჭოს სახელით პადოვმა, შემდეგ დელეგაციას მიესალმენ ცენტრალურ პროფკავშირების საბჭოს და რკინის გზის სახელოსნოების წარმომადგენელნი. ნორვეგიის დელეგაციის სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა ბრატველი. დელეგაციის თავმჯდომარეობს ნორვეგიის პროფკავშირების საბჭოს მდივანი და სტორტინგის მუშათა ფრაქციის თავმჯდომარე მანდსენი. დელეგატებში არიან კომპარტიის, სოციალ-დემოკრატების და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წევრნი. უმრავლესობა—უპარტიო დაზგის მუშები.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

თელავის საკრედიტო ამხანაგობა

თელავი, 20 ოქტომბერი. თელავის საკრედიტო ამხანაგობამ გამოიწერა სასოფლო-სამეურნეო ბანკის შემწეობით 30,000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები. მიღებულია დიდძალი სამყენი დანები, ბაღის მაკრატლები და ვერმორელის აპარატები. ვენახის სამსხლავი დანები, რომლებზედაც დიდი მოთხოვნილებაა კახეთში, იყიდება 1 მან. 15 კაპეიკად, შარშან კი იყიდებოდა 5—6 მანეთად.

ბრძოლა მავნეებთან

თელავი, 21 ოქტ. სასოფლო მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის ბიურომ გაგზავნა თელავის მაზრაში 3 ინსტრუქტორი სათესლე ხორბლის ფორმალინით მოსამზადებლად. ინსტრუქტორები შეუდგენ მუშაობას ალაზნის რაიონში სოფ. შილდაში.

1903 წელში დაბადებულთა გაწვევა

თელავი, 21 ოქტ. 1903 წელში დაბადებულთა გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს. გაწვეულები გამოუკლებლივ ცხადდებიან შესაკრებ პუნქტში. უვარგისად ცნობილი ახალ წვეულები შურით აცილებდენ მიღებულ ჯარის კაცებს და ეუბნებოდენ: „თქვენ ისწავლით წითელ არმიაში და დაბრუნდებით ნასწავლი სახლშიო".

მექრთამეობისათვის.

თელავი, 21 ოქტ. აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გამგის ყოფილ მოადგილს, ნატროშვილის საქმე. უკანასკნელს ბრალათ ედება ქრთამის აღება ვაჭარ ატუაშვილისაგან. შუამავლათ იყო ღვინის მოვაჭრე სიმონიშვილი. ნატროშვილს მისჯილი აქვს 4 წლის ციხე, ატუაშვილს წელიწადნახევარი სასტიკი იზოლიაციით.

რთველი.

თელავი, 21 ოქტ. ყველგან დასრულდა ყურძნის კრეფა და სიმინდის ტეხა. გლეხობა შეუდგა მიწის ხვნას. ამინდი ხელს უწყობს საშემოდგომო მუშაობას.

ქუთაისის თეატრი

ქუთაისი, 20 ოქტომბერი. დამთავრდა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის შეკეთება. ქართული დრამის სეზონი იწყება 1 ნოემბრიდან.

აჭარისტანი

სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება

ბათომი, 21 ოქტ. სექტემბრის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებამ გამოუშვა ხმარებაში ვერცხლის ფული 5.100 ჩერვონეცის რაოდენობით. სათადარიგო ფონდში გადარიცხულია—62.150 ჩერვონეცი, სარეზერვოში—12.990 ჩერვონეცი. განყოფილების პასივი გაიზარდა 46 800 ჩერვონეციდან 58.700 ჩერვონეცამდე.

ნავთის გატანა

ბათომი, 21 ოქტ. ნავთსადგურში მოელიან გემ „ტურანს", რომელიც წაიღებს სტამბოლში 34,000 ბიდონ ნავთს. ეს გემი ოქტომბრის დამლევამდე გაიტანს ბათომიდან 165,000 ბიდონ ნავთს და 30,000 ბიდონ ბენზინს.

ქარიშხალის მოლოდინში

ბათომი, 21 ოქტომბერი. მეტეოროლოგიური სადგურის ცნობებით 20—21 ოქტომბერს შავი ზღვის ნაპირებზე მოსალოდნელია ძლიერი ქარი.

საბავშვო სახლების შეკეთება.

ბათომი, 21 ოქტომბერი. საბავშვო სახლების შესაკეთებლათ ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ გადასდო 10,000 მანეთი.

ხე-ტყის დამზადება.

ბათომი, 21 ოქტომბერი. ხულოს მაზრის გლეხები ამზადებენ დიდძალ ხე-ტყეს. ხელით დახერხილ ფიცრებს გლეხები აბარებენ აჭარისტანის სატყეო სამმართველოს. უკანასკნელი თვის განმავლობაში ჩაბარებულია დაახლოვებით 15,000 ვერშოკი ხე-ტყის მასალა.

რადიო წრეები.

ბათომი, 21 ოქტ. უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში რადიოწრეების რიცხვი გაიზარდა შვიდით. მოეწყო 12 წრე ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში და სამხედრო საავადმყოფოში.

წამლები უფასოდ

ბათომი, 21 ოქტომბერი. აჭარისტანის დამზღვევ სალაროს სამკურნალო ქვე განყოფილებამ დაიწყო მედიკამენტების გაცემა დაზღვეულ ავადმყოფთათვის უშუალოდ ქალაქის ამბულატორიებიდან.

სამხრეთ-ოსეთი

ცხინვალის პედაგოგიური ტეხნიკუმი

ცხინვალი, 21 ოქტომბერი. შენობის კაპიტალური შეკეთების შემდეგ, 20 ოქტომბერს გაიხსნა ცხინვალის პედაგოგიური ტეხნიკუმი.

საბავშვო სახლი

ცხინვალი, 21 ოქტომბერი. მიმდინარე თვის დამლევს სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატი ხსნის სოფელ კურტაში მეორე სანიმუშო-საჩვენებელ საბავშვო სახლს 30 ბავშვისათვის. საბავშვო სახლში აღიზრდებიან ობლები, რომლებიც უსახლკაროთ დარჩენ 1920 წელს მენშევიკების მიერ სამხრეთ-ოსეთის დარბევის დროს. საბავშვო სახლში მიიღებიან ბავშვები 8 წლიდან 10 წლამდე 4 წლით. ბავშვები გაივლიან ოთხწლიან შრომის სკოლის პროგრამას.

გაწვევა წითელ არმიაში

ცხინვალი, 21 ოქტ. 7 ოქტომბრიდან სამხრეთ-ოსეთში დაიწყო გაწვევა წითელარმიის რიგებში. გაწვევა წარმატებით მიმდინარეობს, ახალგაზრდები უკლებლად ცხადდებიან. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ვინმე გაქცეოდა გაწვევას. გაწვეულები აცხადებენ: „ჩვენ ვიცით რომ წითელი ყაზარმა წარმოადგენს სკოლას წითელარმიელებისათვის; ფიცს ვსდებთ, რომ ყაზარმაში მიღებულ გამოცდილებას მოვახმართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ინტერესების დაცვას".

აზერბეიჯანი

მეზღვაურების გადარჩენა

ბაქო, 21 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს ამოვარდნილ ქარიშხალის დროს დაკარგული სამხედრო მეზღვაურები გადარჩენილან და გამოვიდენ ნაპირზე ნავით „სურხურ"-ით. დაიღუპა მხოლოდ საესკადრო ნაღმოსანის „მარკინი"-ს კამანდირი კრაევსკი.

კალია

ბაქო, 21 ოქტომბერი. დამტკიცდა, რომ აზერბეიჯანში მინდვრების გამანადგურებელ კალიის სამშობლო ყოფილა სპარსეთი. კალიასთან მებრძოლი ორგანიზაცია ითხოვს 14,000 მანეთს და სპარსეთის მთავრობისაგან ნებართვას, რომ ეს ბრძოლა მან აწარმოვოს თვით სპარსეთში.

ელექტროფიკაცია

ბაქო, 21 ოქტომბერი. ბაქოს საბჭო აშენებს ხიზინის რაიონში ელექტრონის სადგურს მთელ რიგ გლეხთა სოფლების გასანათებლად.

საბინაო ამშენებლობა

ბაქო. 20 ოქტ. ინჟენერების ჯგუფი შეუდგა საბინაო-საამშენებლო კოოპერატივის აშენებას, ას ბინიან სახლის ასაშენებლად.

უმუშევართა კოლექტივი

ბაქო, 20 ოქტ. შეგირდობის შორის უმუშევრობის შემცირების მიზნით შრომის სახ. კომისარიატმა მიიღო დებულება, რომლის თანახმად შეგირდობა შედის უმუშევართა კოლექტივში. შეგირდები მიღებულ იქნებიან აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოებზე.

უპატრონო ბავშვთა გადაყვანა.

ბაქო. 19 ოქტ. აზერბეიჯანის ცაკი შუამდგომლობს საბჭოთა კავშირის ცაკის წინაშე რკინის გზებზე და ზღვით უპატრონო ბავშვთა გადასაყვანად 2.000 ლიტერის გაცემის შესახებ.

ხურდა ფულის ნაკლებობა

ბაქო. 19 ოქტ. აზერბეიჯანის მაზრებში ხურდა ფულის დიდი ნაკლებობაა, რის გამოც შეფერხებულია ადგილობრივი საქონლის ბრუნვა. მიღებულია ზომები მაზრისათვის ვერცხლის და სპილენძის ფულის მისაწოდებლად.

ინჟენერების გაგზავნა ამერიკაში

ბაქო, 19 ოქტ. „აზნეფტ"-ი გზავნის ამერიკაში 20 ინჟენერს ამერიკის ნავთის მრეწველობის მიღწევების გასაცნობად.

სამრეწველოების ელექტრიფიკაცია.

ბაქო, 19 ოქტ. „აზნეფტ"-ი შეუდგა მაღალ ვოლტიან (20.000 ვოლტი) საჰაერო ხაზის გაყვანას ნავთის სამრეწველოების ელექტრიფიკაციისათვის.

თურქ მასწავლებელთა გადამზადება

ბაქო, 19 ოქტ. თურქ მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები საზაფხულო არდადეგების განმავლობაში გაიარა 703 კაცმა. ახალი თურქული ალფავიტის შესასწავლი კურსები გაიარა 685 მასწავლებელმა. შარშანდელთან შედარებით კურსებზე უფრო ფართო პროგრამა იყო. მასწავლებლობამ მიიღო საფუძვლიანი მომზადება. მკაფიოდ გამოიყო აქტივი. მასწავლებლობას ემჩნევა ძლიერი ლტოლვა თვითგანვითარებისაკენ.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

დღეს ჩამოვა თბილისში

გუშინ კავკავში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ჩეხი სოციალ-დემოკრატის [illegible] თავმჯდომარეობით. დელეგაციის შემადგენლობაში არის ორი ქალი.

დელეგაციის შესახვედრათ გუშინ საღამოს კავკავში გაემგზავრა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის ორი წევრი.

დღეს დელეგაცია ჩამოვა თბილისში საქრათველოს სამხედრო გზით.

ეკონომიური ცხოვრება

ნედლი ტყავეულის ფასები.

შინავაჭრობის სახალხო კომისარიატთან დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელსაც დაკისრებული აქვს გამოიმუშავოს და დააწესოს საორიენტაციო ფასები ნედლ ტყავეულობაზე. კომისიის შემადგენლობაში შედიან შინავაჭრობის სახ. კომისარიატის, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს რწმუნებული, საქართველოს სახ. მეურნეობის საბჭოს, „მიასოტორგ"-ის და მეტყავეთა კავშირის წარმომადგენელნი. გარდა ზემოხსენებული ამოცანისა, კომისიას დავალებული აქვს გამოიმუშავოს ღონისძიებანი, რათა დაუბრკოლებლად სწარმოებდეს ამიერ-კავკასიის სატყავო მრეწველობისათვის ნედლი ტყავეულობის მიწოდება.

ამავე კომისიას ევალება განიხილოს და შეისწავლოს თბილისის სასაკლაოს ხარჯები და გასავალი იმ მიზნით, რომ მოხდეს ხარჯების შემცირება, რაც გამოიწვევს ხორცის ფასების დაკლებას.

საქონლის შემოტანა

ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ასანთის, მარილის, სილიკატის და შინის წარმოების პროდუქციების ა.-კავკასიაში შემოზიდვის გეგმა, რომელიც დაამტკიცა ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ. გეგმის მიხედვით შემოსაზიდ საქონლის რაოდენობა ასე არის განსაზღვრული. მარილი შემოტანილი უნდა იქნეს—1.500.000 ფუთი, ასანთი 165 ვაგონი (ანუ 110 მილიონი ცალი), კალოშები—600 ათასი წყვილი, სილიკატები (საინ[illegible] სხვა ჭურჭელი)—700 ვაგონი, ქაღალდი 635 ათასი ფუთი. ა.-კ. შინავაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა გამოიმუშავოს იმ სამრეწველო საქონლის შემოზიდვის გეგმა, რომელიც ამიერ კავკასიისათვის საჭიროებას წარმოადგენს.

შავიქვის დატვირთვა ჭიათურაში.

ჭიათურიდან მოსული უკანასკნელი ცნობებით შავი ქვით ვაგონების დატვირთვა დღითი-დღე იზრდება. უკანასკნელი კვირის განმავლობაში შავი ქვის დღიური დატვირთვა 80 ვაგონიდან ავიდა 150 ვაგონამდე.

მონოპოლიის გაუქმება ნავთის ვაჭრობაზე

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო ნავთის ვაჭრობაზე მონოპოლიის სრული გაუქმება ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების ტერიტორიაზე. კომისიის დადგენილებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის ნავთის მიცემის განსაკუთრებული უფლება ისევ რჩება აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს, ამ დადგენილების სახ. კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ გამოცხადებულ იქნება ნავთით ვაჭრობის სრული თავისუფლება, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის, ისე კერძო პირებისათვის.

ამასთანავე ა | კ. საგეგმო კომისიის მიერ მიზანშეწონილად არის ცნობილი, რომ კოოპერატიულ დაწესებულებებისათვის ნავთის მიცემის დროს კოოპერაციამ უნდა მიანიჭოს ნავთით ვაჭრობის ხელსაყრელი პირობები; კოოპერაციას უნდა მიეცეს მეტი კრედიტი, ფასდაკლება და სხვა შეღავათები.

საგეგმო კომისიამ დაადგინა აგრეთვე ა | კ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიეცეს უფლება შეადგინოს გეგმა, თუ როგორ უნდა იქნეს ხელახლა გაწესრიგებული ნავთის ბაზრის ტევადობის მიხედვით ნავთის შესანახი საწყობები.

შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატსვე უნდა დაეკისროს ნავთსაცავების გაწესრიგება იმ დაწესებულებებს შორის, რომლებიც ნავთით ვაჭრობას მოისურვებენ. შინავაჭრობის სახ-კომატის მიერ შედგენილი გეგმა უნდა შეუთანხმდეს რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს.

ა | კ. საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო მომხმარების ადგილებზე ნავთის შეუფერხებელი გადატვირთვის და მიწოდების მიზნით, დაეკისროს ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოს თავის დროზე აწარმოოს ცისტერნებით ნავთის გადატან-გადმოტანა.

„კომუნისტი" ═ მიიღება ხელის მოწერა ნოემბრისათვის

ერთი თვით პროფკავშირების წევრებისათვის თბილისში და პროვინციაში 75 კ.

დანარჩენებისათვის: თბილისში 1მ. პროვინციაში—1მ. 20კ.

ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდებათ უფასოთ „კომუნისტი"-ს დამატებები „მეცნიერება და ტექნიკა" თვეში ორი ნომერი „ჩირაღდანი" იუმორისტული განყოფილებით „ეშმაკის მაზე" თვეში ორი ნომერი

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

მესამე სხდომა

ბიუჯეტის საკითხი

ბიუჯეტის საკითხის შესახებ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენებით გამოვიდა ამხ. გერმან მგალობლიშვილი. მოხსენებამ გამოიწვია ფართო კამათი, რომელმაც მომხსენებლის საბოლოო სიტყვასთან ერთად მოინდომა მთელი სხდომა. სათანადო რეზოლიუციის შედგენა პლენუმმა მიანდო ცეკას პრეზიდიუმს.

შეცდომის გასწორება. ჩვენ მიერ გუშინ გამოქვეყნებულ პარტყრილობის დღის წესრიგში შეცდომით არ არის შეტანილი საკითხი პროფკავშირების მუშაობის შესახებ, რომელსაც გაარჩევს მომავალი ყრილობა.

პოლიტსკოლების შესახებ

ჩვენ უკვე შეუდექით საღამოს ტიპის ნორმალურ და შემოკლებულ პოლიტსკოლების ქსელის გაშლას. ზოგ ალაგას სკოლებმა კიდეც დაიწყეს მეცადინეობა. მრავალი ეხლა იხსნება. მომავალში კი უფრო ფართოდ გაიშლება მათი ქსელი.

პოლიტსკოლის ამოცანა დიდია, მაგრამ ზოგი მსმენელი პოლიტსკოლას ცუდათ უყურებს და მეცადინეობას გულგრილათ ეპყრობა. არის შემთხვევები, როდესაც ამხანაგები სულ არ მოდიან სამეცადინოთ. ასეთ მდგომარეობას უნდა ვებრძოლოთ.

როგორი ამოცანები სდგას პოლიტსკოლის წინაშე?

პოლიტსკოლის მსმენელებმა უნდა მიიღონ პოლიტცოდნა.

„პოლიტცოდნა"—ეს დაწყებითი კურსია პოლიტიკურ განვითარებისათვის. პოლიტსკოლაში მსმენელი იძენს ცოდნას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეურნეობის ცხოვრებიდან. ასე, რომ ეს ცნობები მსმენელისათვის ინტერესმოკლებული არ არიან.

პოლიტცოდნა ამხანაგისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც საერთო ცოდნა (წერა-კითხვა, ანგარიში და სხ.). ამიტომაა, რომ „პოლიტცოდნა" შეტანილია ყველა სკოლების სამოსწავლო პროგრამაში, როგორც განსაკუთრებული საგანი.

უნდა გვახსოვდეს, რომ მსმენელი პოლიტსკოლაში მშრალათ კი არ იღებს პოლიტიკურ ცოდნას. ცოდნის მიღება ხდება მიზანშეწონილათ, აღმზრდელობითი თვალსაზრისით. პოლიტცოდნის მიღების შემდეგ მსმენელმა უნდა იცოდეს, თუ როგორ შეიძლება ამ მიღებულ ცოდნის გამოყენება, რომ ის აქტიურათ ჩაებას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

გარდა ამისა პოლიტსკოლებში მსმენელს ეძლევა ყოველგვარი დახმარება, რათა მან შეითვისოს ისტორია, პროგრამა და ტაქტიკა იმ პარტიის, რომლის წევრიც თვით არის და ამით ის გახდეს ნამდვილი ლენინელი.

პოლიტცოდნით დღეს მრავალნი არიან დაინტერესებულნი. ეს უნდა ავხსნათ პოლიტსკოლების ნაყოფიერი მუშაობით. იმის მტკიცება, რომ ამაში განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაინტერესებული პარტამხანაგები, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა პოლიტცოდნის მიღება, ზედმეტია.

ასეთია მოკლედ ჩვენი პოლიტსკოლების ამოცანები. მაგრამ ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა პოლიტსკოლების მეცადინეობის დროს დაცულ იქმნეს სამი ძირითადი პირობა: 1) ხელმძღვანელები უნდა იყვნენ მომზადებული, 2) მსმენელები ინტერესს უნდა იჩენდნენ მეცადინეობისადმი და 3) სკოლები ე. ი. მსმენელები და ხელმძღვანელები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ საჭირო ლიტერატურით და სამოსწავლო ნივთებით.

ალინი.

საბჭოთა უჯრედებმა უნდა გამოაცხოველონ თავისი მუშაობა

ჩვენი საბჭოთა პარტიული უჯრედები, უმრავლეს შემთხვევაში, სათანადოთ არ არიან ჩაბმული საკუთარ დაწესებულებების აღმშენებლობაში. ვფიქრობთ ინტერესს მოკლებული არ იქნება აქ ხაზი გაუსვათ იმ ძირითად დეფექტებს, რომლებიც თან ახლავს საბჭოთა უჯრედების მუშაობას.

პირველი ნაკლი: საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს და ამავე დაწესებულებებში არსებულ უჯრედებს შორის მოუწესრიგებელია ურთიერთ დამოკიდებულება. მათ შორის არ არსებობს სწორი, საქმიანი კავშირი.

მეორე ნაკლი: საბჭოთა უჯრედებში ძალზე მოისუსტებს შინა-პარტიული მუშაობა. ცხადია, თუ უჯრედებში პარტიული მუშაობა ვერ სდგას ჯეროვან სიმაღლეზე, ასეთ პირობებში შეუძლებელია დაწესებულებებზე მტკიცე პარტხელმძღვანელობის გაწევა.

მესამე ნაკლი: ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც დაწესებულებების უჯრედებს და ადგილკომებს შორისაც არანორმალური ურთიერთობა სუფევს საბჭოთა უჯრედები ასრულებენ ადგილკომების ფუნქციებს და სწევენ მათ მაგიერობას.

ყველა ამ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. საბჭოთა უჯრედები უნდა ჩამოვაყალიბოთ და განვამტკიცოთ.

გარდა ამისა საბჭოთა უჯრედები, რომლებიც უფრო ახლო დგანან დაწესებულებებთან, ვინემ სხვა ტიპის უჯრედები, უმთავრეს ამოცანად უნდა ისახავდენ საბჭოთა აპარატების მუშაობის გაუმჯობესებას, რომელზედაც მუდამ მიგვითითებდა ამხ. ლენინი. საბჭოთა აპარატების მუშაობის გაუმჯობესება კი უპირველეს ყოვლისა მიზნად უნდა ისახავდეს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი ფესვები აქვს გამდგარი ჩვენ სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებებში. აი ეს ამოცანა უნდა გადავჭრათ.

როგორ შეიძლება ამ ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა? საჭიროა საბჭოთა დაწესებულებების უჯრედების თათბირების ხშირ-ხშირად მოწყობა, რომლებზედაც განხილული იქნება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები. ამ მხრივ საჭიროა ამოძრავებული იქნას დაწესებულებების უპარტიო თანამშრომლებიც. ამასთანავე საბჭოთა უჯრედების წევრები მიზიდულ უნდა იქნენ თავიანთი დაწესებულებების სტრუქტურის შესწავლის საქმეში, მისი გამარტივების და გაჯანსაღების მიზნით.

ასეთი ღონისძიებათა გატარებით საბჭოთა უჯრედები გამოაცხოველებენ მუშაობას და მით გაამართლებენ თავიანთ არსებობასაც.

ბ—ლი.

წერილები ადგილებიდან

ქ. ოზურგეთი

ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობა.

ოზურგეთის მაზრაში რვა პარტიული რაიონია და 41 თემი. ყველა თემებში არსებობს უჯრედები, რომელთა რიცხვი აღწევს 112. ამათში 107 გლეხური უჯრედია, 3 საბჭოთა მოსამსახურეთა, 1 სატრანსპორტო და ერთიც სამხედრო; გურიის პარტორგანიზაცია აერთიანებს 1144 წევრს და 723 კანდიდატს.

საანგარიშო პერიოდში სამაზრო კომიტეტს გამომუშავებული ჰქონდა ექვსთვიანი სამუშაო გეგმა. ამ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი უპარტიოთა შორის მუშაობას. ამ მხრივ დიდ მიღწევებთანაც გვაქვს საქმე. ორგანიზაციამ მიიზიდა უპარტიო მშრომელთა მასის დიდი პროცენტი. პარტიისაკენ ლტოლვაც გაიზარდა.

სამაზრკომის ხელმძღვანელობა უჯრედებზე მოისუსტებს, რადგან მას სრულებით არა ყავს ინსტრუქტორები. თუ არ შევქმენით ინსტრუქტორთა შტატი, სოფლად პარტიული მუშაობას ვერ გავაჩაღებთ.

ბოლო უნდა მოეღოს აგრეთვე ამხანაგების სამუშაოებიდან მოხსნას და მათ გაგზავნას სხვადასხვა ქალაქებში. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში საქართველოს სხვა მაზრებიდან ჩვენს მაზრაში სამუშაოდ ჩამოვიდა 8 ახალი ამხანაგი მაშინ, როდესაც ამავე ხნის განმავლობაში ჩვენს მაზრიდან გასულია 46 ამხანაგი; ასეთი მდგომარეობა კვალს ამჩნევს უჯრედების მუშაობას, რასაც უნდა გამოეცხადოს ბრძოლა.

კოხპარელი.

ქ. ფოთი

როგორ მიმდინარეობს პარტიული მუშაობა.

ა|წ. პირველ ოქტომბრისათვის ფოთის ორგანიზაცია აერთიანებდა 15 უჯრედს 436 წევრით და 145 კანდიდატით. აქედან ქალთა რიცხვი უდრის 36-ს.

მიუხედავათ იმისა, რომ ზაფხულის პერიოდში ორგანიზაციას აკლდა მთელ რიგ პასუხისმგებელ ამხანაგების ხელმძღვანელობა, მუშაობა უჯრედებში მაინც დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. ხშირად ეწყობოდა უჯრედების ღია სხდომები, რომლებზედაც უპარტიო ამხანაგების დასწრებთა რიცხვი ძლიერ გაიზარდა. ღია სხდომებმა დიდი ნაყოფი გამოიღეს: უპარტიონი მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ უჯრედების დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევაში, გაძლიერდა უპარტიოთა ლტოლვაც პარტიისაკენ. ამ უპარტიოების პარტიაში მიღება თანდათანობით სწარმოებს. ორგანიზაცია მეტ წილად იზრდება მუშების ხარჯზე.

ორგანიზაციის წევრთა პოლიტიკური ცოდნა ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, რადგან მოისუსტებს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მუშაობა. მაგრამ ამ მხრივ მიღებულია სათანადო ზომები.

დისციპლინა ძალზე მოისუსტებს. პარტიის წევრები და კანდიდატები ხშირად ლოთობენ. მართალია, ამ ნიადაგზე პარტიიდან გარიცხული იქნა რამოდენიმე ამხანაგი, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა უფრო მკაცრი ზომები.

პარტკომის ხელმძღვანელობა როგორც უჯრედებზე, ისე საბჭოთა დაწესებულებებზე და ორგანიზაციებზე—კარგია.

მეთვალყურე.

შინამრეწველები და ოქტომბრის რევოლიუცია

ხანგრძლივი იმპერიალისტური ომით ძალღონე გამოლეული რუსეთის მრეწველობა იმდენად დასუსტდა, რომ აღარ შეეძლო მიეწოდებინა არც მრავალრიცხოვან ჯარებისათვის და არც დანარჩენ მცხოვრებლებისათვის საჭირო ნაწარმოებები. ამავე დროს რუსეთს უახლოვდებოდა ახალი სოციალური ერა: დიდი ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც მთლად გადააბრუნა შრომის და ცხოვრების ძველი ფორმები და პრინციპები.

მშრომელთა ხელისუფლებას მეტად ღარიბი მემკვიდრეობა დარჩა. ქარხანა-ფაბრიკები სდუმდნენ, ტრანსპორტი დანგრეული იყო, მთელი ხალხის ეკონომიური ძარღვი მოშლილი იყო. მოთხოვნილება კი აუარებელი იყო. კაპიტალისტურ ბლოკადით ვარშემორტყმულ საბჭოთა კავშირს თითონ უნდა გამოეძებნა თავის სახსნელი გზა, და აი სწორედ ამ დროს ეკონომიურ ასპარეზზე გამოდის ძველი, ყველასაგან დავიწყებული შინამრეწველი, თავის მამაპაპურ იარაღით, თავის ინდივიდუალურ მრეწველობით. ამ ჩუმმა შინამრეწველმა დიდი ამაგი დასდო ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების საქმეს. მშრომელთა მტრებთან განწირულ ბრძოლაში ჩაბმული წითელი არმია ფეხშიშველი და ტანშიშველი იყო. მათ შემოსვაში შინამრეწველებს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით. აუარებელი ქურქები, ნაბდები, ქალამნები, თბილი საცვალი, ხელთათმანები, ქამარ-სარტყელი, სალაშქრო ამუნიცია და იარაღიც კი მზადდებოდა შინამრეწველების მიერ და ბარდებოდა სამხედრო უწყებას. მთელი სოფლები, თემები, მაზრები განსაკუთრებით შრომობდნენ წითელარმიებისათვის და სავსებით შეასრულეს თავისი მოვალეობა ოქტომბრის წინაშე.

შინამრეწველებმა გვაჩვენეს ჩვენ, თუ რა შეუძლიან მათ ენერგიულ მუშაობას გაჭირების დროს, ეხლა, როდესაც სამხედრო გრიგალმა გადაიარა და დაიწყო მშვიდობიანი საამშენებლო მუშაობა, როდესაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში გამოცოცხლდა ტრანსპორტი, ამუშავდა გაჩუმებული ქარხნები და მრეწველობამ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მორჩენა დაიწყო, არ უნდა დავივიწყოთ შინამრეწველების მრავალი ათასეულები, დაფანტულნი კავშირის თვალგადაუწვდენელ ტერიტორიაზე, და დიდის ყურადღებით უნდა შევისწავლოთ მათი შრომის პირობები. ხელისუფლების ორგანოები მოვალენი არიან ყოველ მხრივ შეუმსუბუქონ მათ მდგომარეობა, როგორც უფლებრივი, აგრეთვე ეკონომიური. საჭიროა დაახლოვება მათთან, შეკავშირება ქალაქთან, დაარსება სამრეწველო კოოპერაციის, რომ გადაარჩინოს ესენი კერძო კაპიტალისტების კლანჭებიდან. აგრეთვე საჭიროა ნედლი მასალის მიწოდება და განაწილება მათ შორის, რომ მუშაობაში შეფერხება არ იყოს. ამისათვის უნდა გადაიდოს საჭირო კრედიტები.

ვიმეორებთ, რომ შინამრეწველებს მიუძღვით დიდი ამაგი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა თავდაცვაში და ჩვენც მოვალენი ვართ მეტი ყურადღებით მოვეპყრათ მათ.

ფილიპე გაგოშიძე

სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადება

ღვინის დამზადება

კახეთში ყურძნის შეყიდვას ღვინის დასამზადებლათ აწარმოებდენ სახალხო-მამულები. სექტემბერ-ოქტომბერში წინანდალის და მუკუზანის მამულებში ადგილობრივ მევენახე გლეხებისაგან შეიყიდეს 12 ათასს ფუთზე მეტი ყურძენი. ყოველ ფუთში მამულები აძლევდენ ექვს-ექვს აბაზს. ალაზნის გაღმა სოფლებში შილდაში, ყვარელში წელს მოსავალი იმდენად დიდი იყო, რომ მთელი მოსავლის მოსათავსებლად ქვევრები აღარ კმაროდა. გლეხებს მოწეული ყურძენი მეზობელ სოფლებში გაქონდა და უმეტეს შემთხვევაში ჰყიდდენ მას სახალხო მამულებს.

ზემო იმერეთის მევენახეობის რაიონში კვალთში, სვირში, არგვეთში საქარაში და სხვაგან დაიწყო ღვინის შეყიდვა რუსეთში გასაგზავნად. ამ რაიონში წელს ღვინის კარგი მოსავალი იყო. მიუხედავათ ამ გარემოებისა, ღვინის ფასებმა ერთი ორად იმატა. გლეხები საპალნე ღვინოში (12 ფუთი) იღებენ 55—60 მანეთს. მანამდე კი საპალნე ღვინო ფასობდა 30—35 მანეთად.

ნიგოზი

ა.-კ. კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციები ამჟამად აწარმოებდენ ნიგვზის და თხილის დამზადებას აჭარისტანში. ამ მიზნისათვის აჭარისტანის სასოფლო სამეურნეო ბანკმა მისცა დამამზადებელ ორგანიზაციებს გრძელვადიანი სესხი 50 ათასი მანეთის რაოდენობით.

ბ ა მ ბ ა

აფხაზეთის მებამბეობის კომიტეტი შეუდგა ბამბის წლევანდელი მოსავლის—ნედლი ბამბის შესყიდვა-დამზადებას. შესყიდვა სწარმოებს შემდეგ პუნქტებში: სოხუმში, ოჩემჩირეში, გალში, გაგრაში, გუდაუთში. დროებით ფასებად დაწესებულია ყოველ ფუთზე 3 მანეთიდან 5 მან. და ერთ აბაზამდე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება აჭარისტანისათვის

შინა-ვაჭრობის სახ. კ-მის ცნობებით გავლილ სამეურნეო წელს აჭარისტანისათვის დამზადებულ იქნა აჭარის სოფლებში თამბაქო 1.243 ფუთი, აფხაზეთის სოფლებში—2.870 ფუთი, დასავლეთ საქართველოში 1.135 ფუთი, ნედლი ტყავი 47.172 ცალი, ბეწეულობა 624 ცალი, მანდარინი 8.500.000 ცალი, ნიგოზი—9.375 ფ., დაფნის ფოთოლი—1.231 ფუთი, ჩაი—24.418 გირვანქა, ვაშლი—3.000 ფუთი., სიმინდი—190.000 ფუთი., არაყი 141.767 გრადუსი.

ხილის დამზადება

ქართლში და ჯავახეთში ვაშლის და სხვა ხილეულის დამზადებას აწარმოებენ წარმოკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები. აფხაზეთის სოფლებში, განსაკუთრებით პილენკოვოს რაიონში, რომელიც ახლხან შემოუერთდა აფხაზეთს, გლეხებს დამზადებული აქვთ დიდძალი ქლიავის ჩირი. ჯერ-ჯერობით არ აღმოჩნდა არც ერთი სახელმწიფო და არც კოოპერატიული ორგანიზაცია, რომ თავს ედვა დამზადებული ქლიავის შესყიდვა.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

შეღავათები გამოფენაში მონაწილეებს

ა|კ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა შეღავათები იმ ფირმებისათვის, რომელნიც მონაწილეობას იღებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების, იარაღების და მასალების გამოფენაში.

საგეგმო კომისიის მიერ მიზანშეწონილად არის ცნობილი, გამოფენაზე წარმოებული სავაჭრო ოპერაციები სავსებით განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო სარეწაო გადასახადისგან, საპატენტო და სათანაბარო ამონაკრეფისგან და ადგილობრივ გადასახადებისგან.

შემდეგ საგეგმო კომისია საჭიროდ სცნობს შემცირებულ იქნეს სარკინიგზო ტარიფი: რისთვისაც საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირს დავალებული აქვს სასწრაფოდ დაამუშაოს სპეციალური ტარიფის განაკვეთები გამოფენაზე გამოგზავნილ ექსპონატებისათვის რომელთა გადმოტვირთვა უნდა დაჯდეს დაახლოებით 25 პროცენტით ნაკლები არსებულ სატარიფო განაკვეთებთან შედარებით.

საგეგმო კომისიის დადგენილებით ა|კ. გამოფენაზე გამოგზავნილ ექსპონატებს უნდა მიეცეთ საწყლო ტრანსპორტით გადმოზიდვის დროს.

ისეთივე შეღავათები, რომელიც ეძლევა ნიჟნი ნოვგოროდის გამოფენაზე გაგზავნილ ტვირთებს ე. ი. ექსპონატები გადმოტვირთულ უნდა იქნენ 15 პროცენტის დაკლებით.

იმ საზღვარგარეთელ ფირმებს, რომელნიც მონაწილეობენ გამოფენაში, საგეგმო კომისიის დადგენილებით ეძლევათ უფლება დაუბეგრავად გაიტანონ უცხო ქვეყნების ვალიუტა, რომელსაც ისინი იღებენ გამოფენაზე შემოტანილი საქონლის განაღდების საშვალებით.

რაც შეეხება უცხოეთიდან შემოტანილ ექსპონატებზე საბაჟო გადასახადის შეწერას, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შესაძლებლად სცნო უბაჟოთ შემოშვება იმ საექსპონატო საქონლისა, რომელიც გამოგზავნილ იქნება გამოფენის მისამართით. ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ ექსპონატები გამოფენის ოფიციალური დახურვის შემდეგ ორი თვის განმავლობაში უკანვე გატანილი არ იქნება, ა|კ. საგეგმო კომისიის დადგენილებით, ფირმები იძულებული იქნებიან გამოიღონ საბაჟო გადასახადი.

დახმარება გლეხობას

მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ მაზრებს სათესი მასალის შესაძენათ მიეცემა 115000 მანეთი

ა|კავკასიის შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელმაც გაარჩია საკითხი. საქართველოში მოუსავლიანობისაგან დაზარალებულ რაიონებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

თათბირს დაესწრენ: ა|კ. სასოფ.-სამ. ბანკის, საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკის, მიწად-მოქმ. კომისარიატის, საქ. სტატისტიკურ სამმართველოს და საქ. საგეგმო კომისიის წარმომადგენლები.

თათბირმა დაზარალებულ რაიონებად სცნო მაზრები: ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოსი, გორის, დუშეთის, სიღნაღის, ოზურგეთის და შორაპნის; ამასთანავე ასეთებათ იქნა ცნობილი სვანეთი და სამხრეთოსეთი.

ყველა ამ რაიონებში საერთოდ დაზარალებული მოედანი უდრის 8 ათას დესეტინას. თათბირმა ყველა რაიონების სათეს მასალით დასაკმაყოფილებლად საჭიროდ სცნო მათთვის 75 ათასი ფუთის სათესი მასალის მიცემა.

ა|კ. სასოფ.-სამ. ბანკს წინადადება მიეცა გაუხსნას სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებს მიზნობრივი კრედიტი, გლეხებისათვის საჭირო სათესი მასალის შესაძენად.

კრედიტი უნდა განაწილდეს მაზრებზე შემდეგნაირად: ახალქალაქის მაზრას—17.600 მან. ახალციხის—10.000 მ. ბორჩალოს—12.000 მ. გორისას—10.000 მ. დუშეთისას—8400 მ. სიღნაღისას—2400 მ. ოზურგეთისას—17000 მ. და შორაპნისას—5200 მანეთი: სამხრეთოსეთს კი—26000 მანეთი. საერთოდ ყველა დაზარალებულ რაიონებს უნდა გაეხსნას კრედიტი—115000 მანეთის რაოდენობით.

ეს დადგენილება თათბირმა გადასცა დასამტკიცებლად საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

სესხი სასოფლო მეურნეობას

გუშინ ამიერ კავკასიის სასოფ.-სამ. ბანკმა გაანაწილა რესპუბლიკანურ ბანკებზე თანხა, გრძელვადიანი სესხის სახით: **აფხაზეთის სასოფ.-სამ. ბანკს მიეცა—6,000 მანეთი**—3 წლით მუშა საქონლის შესაძენად. სასეზონო მეხილეობისათვის მასვე მიეცა—5.000 მანეთი.

საქართველოს სახ.-სამ. ბანკს—50.000 მანეთი, იმ საკრედიტო ამხანაგობათა საბრუნავ თანხების შესავსებად, რომლებიც მუშაობენ მეთამბაქოობის რაიონში. ეს სესხი ბანკს მიეცა მიზნობრივი სესხის სახით ხუთი წლით.

აზერბეიჯანის ბანკს მიეცა 30.000 მანეთი 6 წლის ვადით სეზონურ მელვინეობისათვის და 20.000 მანეთი სეზონურ მეხილეობისთვის.

სომხეთის ბანკს მიეცა მელვინეობისათვის —80.000 მანეთი—6 წლით.

ა|ქ. სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხ—თა თათბირი

შაბათს, 24 ოქტომბერს ა|კავკასიის სასოფ.-სამეურნეო ბანკში მოწვეულია ა|კ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების თათბირი, სადაც განხილული იქნება საკითხები, მიმდინარე კვარტალში კრედიტების გაცემის შესახებ.

ამასთანავე თათბირის მიზანია გამონახოს საშუალებები, საბჭოთა კავშირის სასოფ. სამეურნეო ბანკებთან კორესპონდენტული დამოკიდებულების შესახებ.

თათბირზე მოწვეულნი არიან წარმომადგენლები: საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო—ბანკებისა.

საბჭოთა აღმშენებლობა

ჩვენი მიღწევები მტრებს ძილს უფრთხობენ

(ტირიფონის არხის გაყვანის გამო, გორ. მ.)

მალე ერთი წელიწადი შესრულდება, რაც ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობა პრაქტიკულად შეუდგა ტირიფონის ველის სარწყავ არხის გაყვანის საქმეს და ეს მუშაობა აღიარებულ იქნა დამკვრელ ამოცანად.

ამ ხნის განმავლობაში შესრულებულია მუშაობის დიდი ნაწილი. გათხრილია 32 ვერსის სიგრძის არხი. დარჩენილია კიდევ 18 ვერსი.

წინასწარ გამოანგარიშებით არხი ჯდება 1.500.000 მანეთამდე, თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული უკვე ჩატარებული შავი მუშაობა, რომელიც უსასყიდლოდ იყო შესრულებული ადგილობრივი გლეხობის მიერ. ტირიფონის არხმა უნდა მორწყოს 30 ათასი დესეტინა მინდორ-ველი.

მუშაობის დამთავრება განზრახულია 1926 წლის გაზაფხულისათვის. ამრიგად შესაძლებელი იქნება არხის ამუშავება მომავალ წლიდან.

აღსანიშნავია, რომ გლეხობა დიდი თანაგრძნობით ეკიდება ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს და ყოველ მხრივ სცდილობს ხელი შეუწყოს მის წარმატებით დამთავრებას.

მაგრამ ისიც ცხადია, რომ ასეთი დიდი საქმე, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება სოფლის საკეთილდღეოდ, მოსვენებას არ აძლევს აქა-იქ შერჩენილ რევოლიუციით განაწყენებულ ბნელ ძალებს.

მათ გაუვრცელებიათ გლეხობაში ხმები: თითქოს მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ტირიფონის ველის სარწყავ არხზე გაწეული ხარჯები—1,500,000 მან. ერთი წლის განმავლობაში აინაზღაუროს და თითქოს ეს ანაზღაურება უნდა მოხდეს იმ გლეხების მიერ, რომლებიც ისარგებლებენ არხით.

მათი სიტყვით არხს აქვს სპეციალური დანიშნულება, მორწყას მხოლოდ ტირიფონის ველი. რაც შეეხება დანარჩენ სოფლებს, სადაც არხი გადის, ვითომც მათ უფლება არ ექნებათ ისარგებლონ, არა თუ სარწყავი წყალით, არამედ სასმელი წყალითაც.

თქმა არ უნდა ყველა ეს ჭორები, იმიტომ დასჭირდათ ხალხის მტრებს, რომ გული აუცრუონ მშრომელ გლეხობას ხელისუფლებაზე და შეაფერხონ ის დიდი საქმე, რომელიც სწარმოებს სოფლის გასაუმჯობესებლად. ამით პროვოკატორებს სურთ მოადუნონ ის აქტიური თანამშრომლობა, რომელსაც გლეხობა უწევს ხელისუფლებას არხის გაყვანის საქმეში.

კარგათ უნდა გაუსინჯოს კბილები მშრომელ გლეხობამ ამ ჯურის პროვოკატორებს და შესაფერი ლაგამი ამოსდოს მას.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ნაკლებად იცნობს მაზრის მშრომელი გლეხკაცობა. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ახლო მომავალში მოეწყოს ექსკურსიები, რომლითაც საშუალება მიეცემა გლეხობას გაეცნოს ტირიფონის ველის არხზე წარმოებულ მუშაობას. ექსკურსიების ინიციატორებად უნდა გამოვიდნენ თვით თემის საბჭოები და თემ-ალმასკომები.

ან. ხიამაშვილი.

წითელ ჯარში

1903 წელში დაბადებულთა გაწვევა ჯარში

სიღნაღის და თელავის მაზრებში გამწვევ კომისიების მუშაობა დამთავრდა

სიღნაღის და თელავის მაზრებში ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის შემმოწმებელმა კომისიებმა მუშაობა დაიწყეს 5 ოქტომბერს. სანამ კომისიები შეუდგებოდენ მუშაობას, მაზრებში ჩატარებულ იქნა საგიტაციო კამპანია.

მაზრების მოსახლეობა ახალწვეულებს ზეიმით აცილებდა, იმართებოდა მიტინგები, წარმოდგენები და სხვა.

სიღნაღის მაზრაში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: გლეხებს მოერთოთ ტრაქტორი პლაკატებით და ბაირაღებით, მიებათ მისთვის ორი ურემი, შიგ ჩაესვათ ახალწვეულები და ასე მიიყვანეს შესაკრებ პუნქტზე.

შესაკრებ პუნქტებში გაწვევის დღეებში არ შეწყვეტილა ცეკვა-თამაში და სიმღერა.

ახალწვეულებისათვის შესაკრები პუნქტები მართავდენ წარმოდგენებს და აწყობდენ სხვა გასართობებს.

ახალწვეულების სულიერი განწყობილება სამაგალითო იყო, ყველას სურდა ჯარში წასვლა, რის გამოც ბევრი უარს აცხადებდა კუთვნილ კანონიერ შეღავათებზე. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა დამალვისა.

ჯარში სამსახურისათვის გამოუსადეგარ ახალგაზრდობის უმრავლესობა აღმოჩნდა დაავადებული ტრაქომით.

სიღნაღის მაზრაში კომისიამ დაამთავრა მუშაობა, 9 დღის განმავლობაში და თელავის მაზრაში—10 დღის განმავლობაში.

კოოპერაცია

რა ხდება კოოპერატივ „მდელოს"-ში

ზემოთ ამოწერილი სათაურით „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი („მეთვალყურე") მთელ რიგ ბრალდებებს უყენებდა ამ კოოპერატივის გამგეობას. მის საპასუხოთ ჩვენ უკვე მოვათავსეთ „კომუნისტში" ერთი წერილი. მაგრამ საბოლოოთ ვუცდიდით შედეგებს იმ კომისიის მუშაობისას, რომელსაც დავავალეთ „მდელოსი"-ს საქმეების გამოკვლევა.

გამომკვლევ კომისიაში შედიოდენ: ა. ხაინდრავა (თავმჯდომარე) წარმოკავშირიდან გ. მალაშხია (გაზეთ „კომუნისტი"-დან), ქ. გიგინეიშვილი (მუშგლეხინსპექციიდან).

კომისია მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1) თვიური ბალანსების (ოქმი № 8) დაპირისპირება და მათი ნორმალური ზრდა ამტკიცებს, კოოპერატივის საქმიანობის განვითარებას. საბოლოო ბრუტტო ბალანსის განხილვა ამტკიცებს, რომ კოოპერატივს ჰქონია 33 პროცენტი ნასესხები და 67 პროც. საკუთარი თანხა, ბალანსი დამაკმაყოფილებელია.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კოოპერატივი მუშაობს მხოლოდ ერთი წელიწადი (1924 წლის 8 ივნისიდან), ეს მუშაობა დაიწყო 15 მანეთი ნაღდი ფულით და არ ყავს აღებული საპაიო თანხებიც,—უნდა ჩავთვალოთ, რომ საქმიანობა განვითარებულია. საპაიო თანხის რაოდენობა, 6000 მან., ამჟამადაც არ არის თვალსაჩინო ბრუტტო ბალანსის (155.633 მან. 79 კ.) ჯამთან შედარებით. ამიტომ გამგეობა უნდა ჩაითვალოს უნარიან-საქმიანად. კოოპერატივის მდგომარეობა საშიშროებას არ წარმოადგენს, [illegible] მისი საქმიანობა განვითარების გზაზე ხდგას

2) თანახმად გამომკვლევ კომისიის დავალებისა გადათვალიერებული იქნა უკმაყოფილო წევრთა ანგარიშები და გამოირკვა, რომ ყოველი მათგანის ანგარიში სისწორით არის შეტანილი ბუხჰალტერიაში. 7 კაცმა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ შემოიტანეს სათანადო განცხადებები და ანგარიშწარმოებით კმაყოფილება გამოსთქვეს. კოოპერატივისათვის თავი არც ერთ წევრს არ დაუნებებია, ხოლო თუ ვინმე კოოპერატივს თავს არიდებს, რომ ვალები დროზე არ გაასწოროს და საქონელს სხვას აწვდის, კომისიას საჭიროთ მიაჩნია, რომ მათ წინააღმდეგ მიღებული იქნას ზომები, როგორც ეს დადგენილია საბჭოს მიერ (ოქმი 26 ივლისის 1925 წ. § 5) და წესდების მუხლი 10 თანახმად ასეთი წევრები 20 მან. იქნენ დაჯარიმებული.

დასკვნა

გამომკვლევმა კომისიამ, განიხილა რა გაზეთ „კომუნისტში" „მეთვალყურის" მიერ წამოყენებული ბრალდებები დაინახა, რომ „მდელოსი"-ს მუშაობა დამაკმაყოფილებელია, არავითარ ბოროტმოქმედებას, კომისიის აზრით, ადგილი არ ჰქონია, ანგარიშწარმოება სწორია. საკითხი ჩაითვალოს ამოწურულათ და დაევალოს გამგეობას, ამ ოქმების მიხედვით, გასცეს პასუხი „მეთვალყურეს".

კომისიის თავმჯდომარე
ა. ხაინდრავა.
წევრები: გ. მალაშხია, ქ. გიგინეიშვილი.
მდივანი ი. ანთაძე.

მინაწერი.

კომისიის თავმჯდომარეს, წარმოკავშირის წარმომადგენელს და მუშგლეხინის წარმომადგენელს საჭიროთ მიაჩნიათ ოქმის დასკვნას დაემატოს შემდეგი: გამგეობის მუშაობა, როგორც გამოირკვა გამოკვლევიდან, დიდათ ენერგიულია, კოოპერატიულათ სწორია და შეიძლება სხვა კოოპერატივებისათვის სამაგალითოდ ჩაითვალოს.

კომისიის თავმჯდომარე, წარმოკავშირის წარმომადგენელი
ა. ხაინდრავა.
წევრი, მუშგლეხინის წარმომადგენელი ქ. გიგინეიშვილი.
მდივანი ანთაძე.

რედაქციისაგან. ჩვენ მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ შეცდომაში ვიქენით შეყვანილი, რამდენადაც ეს ხათელჰყო კომისიის მუშაობამ.

თბილისის მუშკოოპი

დუქნების ვაჭრობა.

დუქნების ბრუნვა სექტემბრის განმავლობაში უდრის 702.000 მან., დაახლოებით იმდენსავე, როგორც აგვისტოში.

ვაჭრობა არ არის გაცხოველებული.

სექტემბერი გარდამავალი თვეა. გაცხოველება ვაჭრობას ეჩნევა დეკემბერში და იანვარში.

საქონლის ისორტიმენტი თითქმის ძველივეა. დიდი მოთხოვნილებაა მანუფაქტურაზე, აგრეთვე ფეხსაცმელებზე და ჭურჭელზე.

ცივი სასმელების გაყიდვა კლებულობს.

წარმოებებთან არსებული სავაჭროები.

წარმოებებთან არსებულ სავაჭროების ბრუნვა დაახლოებით ისევ ძველ დონეზეა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ დუქნებს, სადაც შეწყდა საქონლის წვრილ-წვრილათ ნისიათ გაცემა, მაგალითად: არსენალთან და მელითონეთა განყოფილებასთან.

საერთოდ წარმოებებთან არსებულ სავაჭროების ბრუნვა გასულ თვეებთან შედარებით საგრძნობლად დაეცა.

რძის პროდუქტები

ახლო მომავალში მოსალოდნელია ფასების დაკლება რძეზე, რადგან გარდა ორთაჭალის და კახეთის რაიონის სოფლებისა, დაიწყება რძის მიღება სომხეთიდანაც.

ამ ჟამად მყარდება ნორმალური კავშირი რძის მომწოდებლებთან.

პურის გამოცხობა

ზაფხულში პურის ცხობა, ჩვეულებრივ, შემცირებული იყო. ამჟამად მოთხოვნილება პურზე გაიზარდა. მეტი რაოდენობით ცხობა.

წევრების ხელახალი რეგისტრაცია.

ამჟამად სწარმოებს წევრების ხელახალი რეგისტრაცია, რომელიც დამთავრდება 15 ნოემბრისათვის. ამ დროისთვის გატარებული უნდა იქნეს ხელახალ რეგისტრაციაში დაახლოვებით 13000 კაცი. შემდეგ დაიწყება მუშკოოპის რწმუნებულთა არჩევნები.

წევრთა ნივთიერად დაინტერესება.

ამჟამად ირჩევა მუშკოოპის წევრთა ნივთიერად დაინტერესების საკითხი. შემოღებული იქნება პრემიების მიცემაში მარკების სისტემა.

ეს მეტად ხელსაყრელია წევრებისათვის. მუშკოოპის წევრს აღარ სჭირდება ჩეკების დაგროვება და შენახვა ნახევარ წლის დასასრულამდე, საკმარისია შეაგროვოს მიღებული მარკები ორ მანეთამდე, რომელსაც მაშინვე ანაღდებს.

ძეხვების წარმოება.

მიმდინარე წლის სექტემბერში მუშკოოპი შეუდგა ძეხვების დამზადებას. დამზადება სწარმოებს ცეკავშირის ყოფილ ფაბრიკაში.

პროფკავშირებში

საკავშირო მასაში პროფშენებამ საგრძნობლად იმატა

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთა არჩევნები ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს. მიმდინარე არჩევნები შესამჩნევად განსხვავდებიან უწინდელ არჩევნებისაგან საქართველოს პროფსაბჭოს დირექტივები, იმის შესახებ, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთა არჩევნების დროს არავითარი ძალდატანება. კანდიდატთა სიით წინასწარ წაყენებას ადგილი არ ჰქონოდა, სისწორითაა დაცული.

ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებიც მეტი კრიტიკით, მეტი მოთხოვნით უდგებიან მუშათა ორგანიზაციების დაბალ საფეხურებს. მუშა-მოსამსახურენი ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე საერთო კრებებს ესწრებიან 80 პროც. რაოდენობით. მასთან, თუ მივიღებთ მხედველობაში წინა არჩევნებისა და დღევანდელი არჩევნების პირობებს, ეს დიდ პროგრესად უნდა ჩაითვალოს.

მუშა-მოსამსახურეთა აქტივობის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ორ ფაქტს მილიციის სამმართველოს და სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომების არჩევნების შესახებ.

მილიციის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება არ გავდა წარსულ დროის საერთო კრებებს. აქ ვხედავდით მუშა-მოსამსახურეთა სწორ კრიტიკას, როგორც ადგილობრივი კომიტეტისა, აგრეთვე თვით მისი ხელმძღვანელის კავშირის ცენტრალური გამგეობისაც.

ასეთივე სურათები იხატებოდა სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ადგილობრივი კომიტეტის არჩევნებშიც.

კრება სამ-ოთხ საათს ატანს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ვითომ და კრება დღიური წესრიგით დატვირთული იყოს. არა, ეს იმიტომაა, რომ მუშა-მოსამსახურენი კამათში ებმებიან და მეტ კრიტიკას უწევენ თავიანთ არჩეულებს.

ყველაფერი კარგად—მწყობრად და ხალისიანად ტარდება არჩევნების დროს, მაგრამ საერთო კრებას ერთი შესამჩნევი ნაკლიც აქვს: ეს ის ნაკლია, რომ პასუხისმგებელ ამხანაგთა მეტი რიცხვი არ ესწრება საერთო კრებას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომის არჩევნებზე მოწვეული კრება ამ მხრივ იდეალურ კრებად უნდა ჩაითვალოს. აქ კრებას პასუხისმგებელი ამხანაგები უკლებლივ დაესწრნენ.

ზემოაღნიშნულ ორ კრებაზე კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მილიციის სამმართველოს, კრებებზე მეტწილ პასუხისმგებელ პირებს ჩვენ ვერ ვხედავდით.

შემდეგში ასეთ შემთხვევებს ადგილი არ უნდა ექნეს.

ლ—ფაძე.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფკავშირთა საბჭოში

— ურთიერთდამხმარე სალაროდან დახმარების აღმოჩენის შესახებ, პროფსაბჭოში შესდგა კავშირების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომელმაც მოისმინა საკითხი საურთიერთო დამხმარე სალაროდან ჩამოსულ კავშირის წევრთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. თათბირმა დაადგინა არ გაეწიოს დახმარება ჩამოსულ კავშირის წევრებს, სალაროს მონაწილეებს, სალაროს სახსრიდან. აგრეთვე ცნობილ იქნა დაუშვებლად საურთიერთო დამხმარე სალაროებიდან ჩამოსულ ურთიერთ დამხმარე სალაროს წევრთათვის განსაკუთრებული ფონდის დაარსება. საკითხი საბოლოო გადასაჭრელად გადატანილი იქნა პროფსაბჭოს პრეზიდიუმში.

— **სარევიზიო კომისიების საქმიანობის გამოკვლევა.** კავშირების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირმა მოისმინა მოხსენება სარევიზიო კომისიების საქმიანობის გამოკვლევის შესახებ. მიეცა წინადადება კავშირების ყველა ცენტრ. გამ. ფაბქარხადგილკომების არჩევნების შემდეგ მოიწვიოს სარევიზიო კომისიების თათბირები რის შემდეგ გამოკვლეულ უნდა იქნეს სარევიზიო კომისიების საქმიანობა.

— **საწევრო ანარიცხების შემცირების შესახებ.** კავშირის ც. გ. საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირმა მოისმინა საკითხი კავშირის წევრებისგან საწევრო ანარიცხის 2 პროც.-დე შემცირების შესახებ. ვინაიდან ზოგიერთ კავშირს საკმარისი თანხა აქვს როგორც უმუშევართა, აგრეთვე საზოგადოებრივ სამუშაოების ფონდში, თათბირმა შესაძლებლად და საჭიროდ სცნო ორი კვირის განმავლობაში შესწყვიტოს უმუშევართა ფონდის (ნახ. პროც.) ანარიცხები. მიეცა წინადადება კავშირების ყველა ცენტრ, გამგეობებს შეისწავლონ ეს საკითხი და თავისი აზრი წარმოადგინონ ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებაში,

ალმშენებელთა კავშირში

— **საქ. სამხედრო გზაზე მომუშავეთათვის.** მშენებელთა კავშირის ცენტ. გამ. მოისმინა მოხსენება საქართველოს სამხედრო გზაზე მომუშავე მუშების შესახებ. და მან სთხოვა გზატკეცილების სამმართველოს ახლო მომავალში დააკმაყოფილოს მუშები სპეც ტანისამოსით. მიეცა წინადადება ამავე გზის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ ადგილკომს გააძლიეროს მუშებს შორის კულტურული მუშაობა.

მიწა-ტყის კავშირში

ფიზკულტურის წრეების დაარსება

— მიწა-ტყის კავშირის კულტ-განყოფილებამ, თავის კავშირის წევრთა ფიზიკურად აღზრდისათვის ტფილისში გახსნა ფიზიკური სამი წრე, რომელთათვისაც შეიძინა საჭირო იარაღები.

სტუდენტები პრაქტიკულ მუშაობაზე

განყოფილებამ შუამდგომლობით მიმართა სახალხო მამულების ტრესტს, რათა მას ნება დაერთო მიწა-ტყის კავშირის წევრ სტუდენტთათვის სახალხო მამულებში პრაქტიკულ მუშაობაზე გასაგზავნად.

შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა და პრაქტიკულ მუშაობაზე გაიგზავნა 7 სტუდენტი.

უმაღლეს სასწავლებელში მსმენელთა გაგზავნა

კულტ-განყოფილებამ აღნიშნულ თვეების განმავლობაში, კავშირის სამაზრო და რაიონულ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარები, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში მსმენელთა გაგზავნის შესახებ და თვითონვე ყოველ მხრივ ხელმძღვანელობდა ამ საქმეს.

საანგარიშო თვეების განმავლობაში განყოფილებამ გადაგზავნა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში 76 კავშირის წევრები და წევრთა შვილები. საბავშვო ბაღებში გაგზავნილ იქნა 20 კავშირის წევრის შვილი.

პროფწრის დაარსება

მიწა-ტყის კავშირის კულტ-განყოფილებამ კავშირის წევრთათვის „ნაფარეულის" მამულში დაარსა პროფწრე, სადაც იკითხება ლექციები პროფესიონალურ თემებზე. მუშები წრის მუშაობას სერიოზულად ეკიდებიან.

განყოფილებამ დაახლოვა თავის პროვინციელი კავშირის წევრები გაზ. „ახალ სოფელს", რომელსაც ისინი სისტემატიურად უგზავნიან კორესპონდენციებს.

თბილისში მყოფ კავშირის წევრთათვის, განყოფილებამ შეიძინა—646 ცალი შეღავათიანი კინო-ბილეთები მათ შორის გასანაწილებლად.

კულტ კომისიების თათბირი

კულტმუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად განყოფილებამ მოიწვია თბილისის ადგილკომების კულტკომისიების თათბირი, რომელზედაც გაირჩა, კულტმუშაობის გაძლიერებისათვის აუცილებელი საჭირო საკითხები და მიღებულ იქნა სათანადო ზომები მათდა მიხედვით.

რკინისგზის პროფკავშირებში

— **საწარმოო თათბირებზე.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა მიმართა „შ.მ.ო"-ს უჯრედების ბიუროებს გააკეთონ თავიანთი მოხსენებები საწარმოო თათბირების სხდომებზე.

— **ნავთსაქერები.** ხაშურის სახელოსნოების საწარმოო თათბირმა დაადგინა მოაწყოს სხუდთან ნავთსაქერები.

რკინისგზებზე

ა.-კავკასიის რკინის გზების მდგომარეობა

ბაქო, 21 ოქტ. გასულ საოპერაციო წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რკინის გზაზე გადაცემულია 223 მილიონი ფუთი ტვირთი, ე. ი. ომის წინა დროის 80 პროც. ყველა დეპოებში შემოღებულია ნარდი სამუშაოები, რასაც დადებითი შედეგი მოჰყვა. ასე, მაგალითად, 1924 წელს კაპიტალურ რემონტის შემდეგ გამოშვებული იქნა 45 ორთქმავალი, 1925 წელს კი 50; 1924 წელს საშუალო შეკეთების შემდეგ გამოშვებული იქნა 181 ორთქმავალი, 1925 წელს 210 ორთქმავალი, რემონტის დროს ორთქმავლების გაჩერება შემცირდა პირველ შემთხვევაში 28.000 საათიდან 20.000 საათამდე, მეორე შემთხვევაში 3.000 საათიდან 2.800 საათამდე. ბაქო-ბათომს შორის დადის 75.000 ფუთიანი მოძრავი შემადგენლობა, წინეთ კი დადიოდა 45—60.000 ფუთიანი შემადგენლობა.

საუღელტეხილო გზაზე ხმარებაში აღარ არის ხელოვნური მუხრუჭები. მიღებულია ზომები, რათა მოძრავი შემადგენლობის წონა საუღელტეხილო გზაზე აყვანილი იქნას 10.000 ფუთამდე. შესაძლებელი ხდება ყოველ თვიურად გადაზიდული იქნას 5.500.000 ფუთი ნავთის პროდუქტები. 1924 წელს კი გადაზიდული იყო თვიურად 2 მილიონი ფუთი.

რკინის გზის სუსტ მხარეს შეადგენს უბედური შემთხვევები, რომელთა რიცხვი 642-დან 1924 წელს, გაიზარდა 729-დე.

საუღელტეხილო ხაზის ელექტროფიკაცია

ა / კავკასიის რკინისგზების ელექტროფიკაციის განყოფილებამ დაამთავრა მაღალ დამძაბრულობის (115.000 ვოლტი) ელექტრონის გადამცემი ხაზის პროექტის შედგენა. ხაზს ექნება სიგრძე—150 კილომეტრი და გაყვანილი იქნება „ზაჰესი"-დან სადგ. შორაპნამდე.

„ზაჰესი"-დან ენერგიის გადაცემა ამ უბანზე გათვალისწინებულია, როგორც დროებითი ზომა. მომავალში კი, როდესაც მოძრაობა ამ უბანზე უფრო განვითარდება და ამასთანავე თბილისის რაიონებში ენერგიის მოთხოვნილებაც გაიზრდება, დასავლეთ საქართველოში აგებული იქნება ახალი ელექტრონის სადგური. ორი სადგური მაღალ დამძაბრულობის ელექტრონის გადამცემი ხაზით ერთმანეთს შეუერთდება.

ხაზის ღირებულება, თუ იგი გაყვანილი იქნა სპილენძის მავთულებით, გამოანგარიშებულია 2 მილიონი მანეთის რაოდენობით, ალიუმინის მავთულებით კი—2.400.000 მანეთის რაოდენობით.

მასწავლებელთა ხელფასი

საქ. განათლების მუშაკთა კავშირში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგში:

— კავშირი ამჟამად სდებს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებს. ამ ხელშეკრულებებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა ხელფასს. უნდა ითქვას, რომ სამუშაო ხელფასის მომატების მხრივ ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები უმაღლეს და საშუალო სკოლებში და აგრეთვე იმ სკოლებშიც, რომლებიც იმყოფებიან თბილისის აღმასკომის უწყებაში.

რასაკვირველია, უმთავრესი ყურადღება ექცეოდა სახალხო მასწავლებელთა ხელფასს; თუმცა შარშანაც შესაძლებელი გახდა სახალხო მასწავლებელთა ხელფასის გადიდება, მაგრამ კავშირი წელსაც ცდილობს ახალ ხელშეკრულებებში შეიტანოს მასწავლებელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გამაუმჯობესებული პირობები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ კავშირს ელობება დიდი დაბრკოლება, რადგან განათლების სახალხო კომისარიატის ფონდი, რომელიც გადადებულია სახალხო მასწავლებელთა ხელფასისათვის, იმდენად მცირეა, რომ საშუალება არ გვაქვს ჩვენ შევიტანოთ ახალ ხელშეკრულებებში მინიმუმი—3 მანეთი, თუმცა ასეთი მოთხოვნილება ჩვენს მიერ წარდგენილი იყო განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე; უკანასკნელს შესაძლებლად მიაჩნია აიყვანოს ეს მინიმუმი 7 მან. და 20 კაპეიკამდე. ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, თუ რა შედეგები მოჰყვება ამ მოლაპარაკებას.

უმაღლეს სასწავლებლებში, სპეციალურ ტეხნიკუმებში, რკინისგზის სკოლებში, მუშფაკებში და საერთოდ საშუალო სკოლებში, კავშირს იმედი აქვს გატარებული იქნება მინიმუმი 9 მანეთი. ესევე მინიმუმი გატარებული იქნება იმ სკოლებში და საბავშვო ბაღებში, რომლებიც შედიან თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების უწყებაში. გარდა ამისა, ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილებასთან დადებ ხელშეკრულებაში შეტანილია ის გაუმჯობესება, რომ საბავშვო სახლების მასწავლებლებს ეძლევათ 1 ნახევარი თვის შვებულება, რაც წინად არ იყო.

საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლების მეტი ნაწილის იმ სამეურნეო ორგანოების ხარჯზე, რომლებისთვისაც აღნიშნულ სკოლებში მზადდებიან მოწაფეები. ამ სკოლების მასწავლებლები მიიღებენ ხელფასს იმ განაკეთის მიხედვით, რომელიც არსებობს ამა თუ იმ სამეურნეო დაწესებულებაში.

საბჭოთა-პარტიულ სკოლების მასწავლებელთა სამუშაო ხელფასი ნაანგარიშევი იქნება საათების მიხედვით. ამ კატეგორიის მასწავლებლები მიიღებენ თითო საათში—1 მან.50 კ. და ამის გარდა საშუალო ხელფასს არდადეგების დროს, რაც აქნამდე არ ეძლეოდათ.

გარდა სამუშაო ხელფასის გადიდებისა, ახალ ხელშეკრულებებში შეტანილი იქნება მუხლი, რომლითაც უმჯობესდება შვებულების, კომპენსაციის და სხვ. პირობები, მაგალითად, აქამდე მასწავლებელს, რომელსაც არ უმსახურია სრული 9 თვე, თავის ნებით წასვლის ან დათხოვნის დროს არ ეძლეოდა კომპენსაცია იმისათვის, რომ მან შვებულებით არ ისარგებლა. ჩვენ კი მოვითხოვთ, რომ ასეთ შემთხვევებში მასწავლებლებს მიეცეს თვითეულ ნამსახურ თვისათვის ჯამაგირის ერთი მესამედი.

„ამიერ-კავკასიის ექსკურსანტი"

ამჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა თბილისში ამიერ-კავკასიის სააქციონერო საზ—ბის „ამიერ-კავკასიის ექსკურსანტის" დასაარსებლად, საზ—ბის მიზანია ექსკურსიების, მოგზაურობის და სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა საბჭოთა კავშირში და აგრეთვე საზღვარგარეთ.

საზ—ბა გარდა იმისა, რომ უხელმძღვანელებს ექსკურსიებს, ამავე დროს მიიღებს ზომებს ექსკურსიებისათვის შექმნას სათანადო პირობები და კულტურული შინაარსი მისცეს მათ მუშაობას ფართე მასების ინტერესების მიხედვით.

„ამიერ-კავკასიის ექსკურსანტი", რომლის სამოქმედო ასპარეზი იქნება უპირველესად მთელი ამიერკავკასიის ტერიტორია, მჭიდროთ იქნება დაკავშირებული ა / კავკასიაში არსებულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რითაც „ექსკურსანტს" გაუადვილდება მდიდარი მასალების დაგროვება საბუნებისმეტყველო, ისტორიულ-მეცნიერების დარგში, უფრო დაახლოებით გაეცნობა ძველ ისტორიულ ძეგლებს, ისტორიას და ძველ კულტურას ამიერ-კავკასიის ხალხებისას. ამავე დროს შეისწავლის ფედერაციის თანამედროვე ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

ამ მიზნით საზ—ბა მოაწყობს ყოველგვარ ექსკურსიებს და ექსპედიციებს; კოლექციების და მასალების შეგროვებისათვის დაარსებს სადგურებს, სამეთვალყურეო პუნქტებს და სხ. ექსკურსანტებს საზ—ბა გაუწევს იმავე დროს სრულ მატერიალურ დახმარებას.

საზ—ბის ძირითადი თანხა იქნება 1,000,000 მან. ოქროთი, თითო აქცია ეღირება 50 მან.

საზ—ბა თავის მუშაობას დაიწყებს წევრთა აღრიცხვის შემდეგ.

საქართველოს სახ. კომ. საბჭოში

საუწყებო მილიციის დაარსება

სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საუწყებო მილიციის დაარსების შესახებ. დადგენილება გადაეცა დასამტკიცებლად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაარსდა პატიმართა და საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლებულთა დამხმარე კომიტეტი.

იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობა

იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, წინადადება მიეცა ა / კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს გაიღოს იუსტიციის სახ. კომისარიატის განკარგულებაში 10.000 მან. მისი ადგილობრივი ორგანოებისათვის წიგნების, ბლანკების და ფორმების დამზადების საჭიროებისათვის 1925—26 წ. ადგილობრივ ბიუჯეტის ანგარიშში.

„წერკუმს"-ის წესდების დამტკიცება

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა წერაკითხვის უცოდინარობის მებრძოლ საზოგადოების—„წერკუმს"-ის წესდება.

სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის შენობის დამთავრება

სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სავეტერინარო-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიისათვის ვაკეში არსებული შენობის დამთავრება.

წინადადება მიეცა ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს გასცეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის განკარგულებაში ზემოხსენებულ შენობის დასამთავრებლად 30.014 მან. 63 კაპ. განსაკუთრებულ სამშენებლო ფონდიდან საქართველოს 1925—26 წ. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ.

ქრონიკა

თბ. აღმასკომში

— **წ.-კ. უცოდინარობის** მოსასპობათ განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მიმდინარე წელს მაზრაში გახსნას 17 სკოლა წ.-კ. მცირეცოდნეთათვის.

— **ქუჩების გაფართოება.** თავისუფლების მოედნიდან აბანოებამდე ქუჩების გაფართოება უკვე დამთავრდა. ახლო ხანში დაიწყება ტრამვაის ხაზის გაყვანა.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **მესაქონლეობის გამოკვლევა.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა გაგზავნა სპეციალური ექსპედიცია ხევსურეთში და სამეგრელოში მესაქონლეობის მდგომარეობის ადგილობრივ გამოსაკვლევათ.

— **ცხვარის ჭირის საწინააღმდეგო** შრატს წელს დაამზადებს ოსიაურის საშრატე სადგური.

ავიოქიმი

— **პლანერების აგება.** ავიოქიმმა გადასდო 200 მან. პლანერების ასაგებათ.

— **მიწის ქიმიური სახუქი.** ავიოქიმის ქიმიურმა სექციამ დაადგინა გაზაფხულიდან შეუდგეს მიწის ქიმიურ განოყიერებისათვის პრაქტიკულ ცდებს.

დამზღვევ სალაროში

— **საზამთრო კურორტებზე** წელს სალარო გაგზავნის 120 კაცს, პროვინციების სალაროები კი 90 კაცს.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** და სალაროს ავადმყოფ წევრებს გასულ თვეში სალარომ მისცა 34,452 მან.

— **ქვრივ ობლებს** სალარომ სექტემბერში დახმარების სახით მისცა 3,747 მან.

შრომის კომისარიატში

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** თბილისში მოწყობილ შრომის კოლექტივებში ამჟამად მუშაობს 500 კაცი.

— **ახალი კოლექტივი.** შრომის კომისარიატის ხელმძღვანელობით თბილისში არსდება უმუშევარ მუსიკოსთა შრომის კოლექტივი.

სხვადასხვა

— **სესხი საბინაო ამხ-ბას.** მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა დაადგინა ქუთაისის მაუდის საქსოვ ქარხნის მუშათა საბინაო ამხ-ბას მისცეს დამატებითი სესხი (მიცემულ 10,000 მან. გარდა) 5,000 მან.

— **დაზღვეულთა საექიმო დახმარებაზე** გასულ წელს საქართველოში დაიხარჯა ერთი მილიონი მანეთი.

— **მოჯამაგირეები თემ. საბჭოებში.** სათემო და სასოფლო საბჭოებში მთელ რესპუბლიკაში წელს მუშაობს 76 მოჯამაგირე სხვადასხვა თანამდებობაზე.

— **ტელეფონის ქსელის გადაკეთება.** ფ.-ტელეგრაფის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა ახალ-სენაკსა და მის მაზრაში არსებული ერთ მავთულიანი ტელეფონის ქსელი, გადააკეთოს ორმავთულიან ქსელად.

— **გლეხთა კურორტის მოსაწყობათ** ა / კ. უმ. ეკ. საბჭომ საქ. ჯანსახკომს გადასცა 11,275 მან.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 7 საათზე ამხ. ტატულოვი და ექიმი სკოროტომოვი წაიკითხავენ მოხსენებას: „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია".

— **ტრანსპორტის მუშათა კლუბში** (ყოფილ ალექსანდრეს ბაღში) მოწვეულია უმაღლეს და ყველა მუშფაკების მსმენელ სტუდენტთა სატრანსპორტო კავშირის წევრებისა.

— **ორჯონიკიძის სახ. კლუბში** (მუშტაიდი) ამხ. ნ. სტრელეცკი წაიკითხავს ლექციას: „დედამიწის ცხოვრება". შესვლა მუშა-მოსამსახურეთათვის უფასოა.

— **იურიდიულ საზ-ბაში** 22 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ამხ. ა. მაჩაბლიშვილი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ერთიანი კასაციური სისტემის საჭიროება".

— **ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის** მუშაკელთა კლუბში პარასკევს, 23 ოქტ., მოწვეულია ყველა უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკებში მოსწავლე კომუნალურ-მეურნეობის კავშირის წევრების საერთო კრება.

ნ. ზომლეთელი

ბნელდო მრუდაძე*)

(პოემა-სურათი წარსული ცხოვრებიდან)

* *

იყო შობის დღე,
უკანასკნელი,
როცა მგზავრი, მხნე,
ქანც-დაუშრელი
მიადგა თავის
ქოხისა კარებს·
თითქმის ვერავის
ველარ ახარებს
მისვლა ასეთი
დაგვიანებით,
და ერთმანეთი
აყაყანებით
თუმც მოიკითხეს,
თან საყვედურიც
ასეთი უთხრეს:
„ჩვენ გვაკლდა პურიც
ამ კარგ დღეებში
და ყლანტიც ღვინის,
როს მეზობლებში
ბუქი სდგა ლხინის!..
აბა, ტანთსაცმელს
ვინღა სჩიოდა?!"..
და ყველა სათქმელს,
რაზეც სტკიოდა
მოხუც დედმამას
თვის ვაჟზე გული,
სუყველას ამას
აღელვებული
გრძნობით და წყენით
მოაგონებდენ,
და მწამლავ ენით
დააღონებდენ,
ისეც არ იყოს,
ისედაც დაღლილს
საბრალო სიკოს,
და შვების ადგილს,
საკუთარ ქოხში
გრძნობს რა კვლავაც თავს
ფიქრთა ორწოხში,
ენასაც ვერ სძრავს
მოზღვავდა სევდა...
ეს გულს უწყალებს
და მიაქცევდა
ქოხს ნაღვლით თვალებს:
მჭვარტლი და მური...
ობლაბუდები...
და სიბინძურის
ყველგან ხუნდები!..
მოხუცდა დედა!..
მამაც დაბერდა...
სახლის მიხედვა
მეტად გაძნელდა.
და სიკოსათვის
ცოლის მოყვანა
რომ ხსნაა მათთვის,
ვერ ხედვენ, განა?!.
და აქვთ ამაზე
ბჭობა, კამათი,
თუმც სდგას უარზე
თვით ძე ამათი,
და სილარიბეს
რა იმიზეზებს,
ყურსაც არ უგდებს
მათს დარიგებებს...
ახლაც, რა უცბათ
გადილო ნისლმა,
მშობლებს გაუტკბათ
რა შვილის მისვლა,
ძველი ადათი
არ დაივიწყეს:
შვილთან კამათი
კვლავ წამოიწყეს,
ახდენენ კვლევას
ნაცნობ საგანზე,
მაგრამ მათს რჩევას
სიკო სდებს განზე!..

* *

თოვს. მკაცრ ქარბუქში
სასტიკად ჰყინავს
და ზამთრის ქურქში
ქვეყანას სძინავს...
მეხაძის სახლში
ძლივს კერა ბჟუტავს,
სინათლეც პრაქში
თვალებსა სჭუტავს...
მჭვარტლიან ტახტზე
სნეული გმინავს,
მიმქრალს სახეზე
შუქი ძლივს ბრწყინავს,
მის ჭაღარა წვერს
ეალერსება,
ნაპრალებს და ჭერს
ქარი რომ სხლტება...
სნეულის თავთან
მთვლემს სიკოს დედა,
მომაკვდავ ქმართან,
ცოლს იპყრობს სევდა!..
და კერის პირში
ზის თითონ სიკო,
იმავ მწარს ფიქრში,
ზღვის პირს რომ იყო
ის, მრუდაძისგან
დატყვევებული,
როს ამ მხეცისგან
მან ხვედრი ფული
ვერ მიიღო და
ათია ღამე...
გულში იწოდა,
ვერ ეთქვა რამე..
დღეს აი, იჩენს
ეს მოვლენაც თავს!
რომ ებრძოლოს სენს,
ექიმი არ ჰყავს,
არცა წამალი,
ან სხვა, რაც იყოს...
და ცრემლით თვალი
აევსო სიკოს!..
ამ წუთს ახლო ჰქნას
მრუდაძის თავი,
გულში ტყვიას ჰკრავს,
და მოუკლავი
ვერ გადურჩება
ეს მხეცი გლეხსა!
და უცბათ დგება,
გადასდგამს ფეხსა,
თითქოს ფრთის ასხამს
თავის განზრახვას
და ნატრობს ამ წამს
მრუდაძის ნახვას.
მაგრამ შორს არის
ნდომის საგანი,
მას მთა და ბარის
ჰფარავს სიგანე...
ულონოთ სწევს ხელს,
ძირს ჰკიდებს თავსა,
უმზერს სარეცელს
და მომაკვდავსა...
არის დათვლილი
წუთები ამის.
ლოგინში ჩრდილი
ძლივს-ღა სჩანს მამის!
ველარ მიხედა,
ვერ რა უშველა,
გასტანჯა დედა
და ხედავს ყველა
ყმაწვილი კაცის
სრულს უსახსრობას,
რაც რომ მრუდაძის
გაუმაძღრობას
მოჰყვა სიკოსთვის
შედეგი, კრული,
და უფრო მისთვის
უკვდება გული!..
არ აპატიებს
ამას მრუდაძეს
და შურს იძიებს,
აღარ შეარჩენს...
აუხდა სიკოს
თითქოს მიზანი,
თითქოს ეს იყოს
რაღაც ნიშანი,
აქ სარეცელმა
დაიწყო ბორგვა:
სიკვდილის ცელმა,
სჩანს, სნეულს მოსდვა,
და თვისას ითხოვს,
როგორც მეხარკე!..
გარეთ ჰქრის და თოვს...
ყინულის სარკე
გადასდგმია თავს
მინდორში ჰოჭებს...
თითქოს ნისლი ნთქავს
შორს მთის ნაოჭებს...
ახალი წელი
ასე მოვიდა,
და სარეცელი
ქოხში გლოვით
აავსო, თითქოს
გლოვა და ცოდვა
მეხაძე სიკოს
არ ეყოფოდა...

* *

კუბო, ტირილი,
ძაძა-შავები.
გლოვა, დაშლილი
თმის ნაწნავები...
თეთრი სუდარა...
უსასოება...
ხვეწნა, მუდარა...
გამოთხოვება!..
კუბოზე ქვების
არახუნება...
ჭირისუფლების
შინ დაბრუნება...
ალაპის სუნით
აღსავსე ქოხი,
მნათის ფუსფუსი
და მღვდლის როხროხი...
დაქვრივებული
ოჯახის დედა...
ეზო, ვენებული,
და ქოხში სევდა!..
სარეცლის გაშლა
მზის სინათლე
და სულის ახსნა
მესამე დღეზე...
ორმოცი, ალთქმა
და დავიწყება...
დრომ ერთი შთანთქა,
კვლავ სხვა იწყება!

* *

ისევ თოვს. ქარი
მთა-ბარს აწყდება,
და ვით აფთარი
დაელეწება...
მთასა და ბარში
კვლავ დაძრწის ყინვა...
მეხაძის სახლში
კვლავ ისმის გმინვა...
სანთლის შუქს ბნელთან
კვლავ ურევს სევდა,
კვლავ სარეცელთან
ზის სიკოს დედა...
ჭუჭრუტანებში
კვლავ ძვრება ქარი...
საბნის ძონძებში
სჩანს ცოცხალ-მკვდარი,
სახე მიმქრალი
და მილეული.
თვითონ ბედ-მწყრალი
სიკო, სნეული!..
დამარხა მამა,
ჩავარდა ჭირში,
ვერ აიტანა
და მოსკდა ძირში!.
გაცივდა ვაჟი
მძიმეთ და ჩაწვა.
კაცი ხომ კაჟი
არ არის და ქვა,
რომ არ ხედავდეს
არსაით შველას,
და გაუმკლავდეს
სიძნელეს ყველას?!.
და სიკოს თავზე
ტანჯვა და ჭირი
საკუთარს თმაზე,
უფროა ხშირი!
არსაით ოხი,
არვინ დამხმარე!..
და მოსჩანს ქოხი,
როგორც სამარე...
მჭუტავი პრაქი...
მიმქრალი კერა...
კედლებში ზათქით
ქარის სიმღერა...
მტევნები მჭვარტლის...
ობლაბუდები...
და სიღატაკის
მკაცრი ხუნდები!..
მოხუცი დედა...
მამაც აღარა...
და ცივი სევდა!
ზამთრის ჭაღარა!..

. . . .

. . . .

* *

გამოზაფხულდა,
დათბა ჰაერი
და ახმაურდა
ჩიტი, თუ მწერი.
ჰაერს ჰკბენს ცხელი
მზის სხივი, ლაღი:
ამწვანდა ველი
აყვავდა ბაღი.
მთის უბეებით
მძლე და მაგარი
გადმოჰქუხს ჩქეფით
თეთრი მაჯარი!..
ჰფეთქავს ბუნება
და საქმიანობს,
ზღვა იშმუშნება
და ტყე ხმიანობს...
კაფვას, ხვნას, თესვას
შეუდგენ სოფლად,
სახნისის ლესვას
და წურვას ოფლად...
სიკოს ქოხის წინ
სდგას დიდი ცაცხვი.
აქ სხვა დროს, უწინ
პატრონი სახლის
ჯდებოდა ხშირად,
შრომით დაღლილი,
თავს ადგა გზირად
საამო ჩრდილი,
ყელს ისველებდა,
სვამდა ცივს წყალსა,
და ისვენებდა,
იკრებდა ძალსა,
რომ შემდეგ ქედი
ეზნიქა ისევ
და ასე ბედი
ეთრია თვისი...
მაგრამ ჩვენ ხომ ის
უკვე დავმარხეთ!..
უფროსად სახლის
და მეოჯახეთ
აწ დარჩა სიკო,
ოჯახის თავი!
ავად რომ იყო
და სულთ-მობრძავი,
გადურჩა სიკვდილს,
თუმცა კი ძნელად;
აწ ამ ცაცხვის ჩრდილს
მოსასვენებლად
გამოჰყავს დედას
ზოგჯერ ლოგინით...
შვილის მოხედვას
იგი ლოდინით,
უსაზღვრო თმენით
და გაჭირვებით,
რომ რთავდა, რწმენით,
გულ-მოდგინებით,
აგერ სამი თვე
თითქმის იქნება.
სნეულსაც უკვე
მომჯობინება
ზედვე ემჩნევა
და დღიდან დღითი
ხდება ეს თნევა
მოჩვენებითი!..
არ აქვს საზღვარი
მშობლის სიხარულს,
თუმც არ ჰყავს ქმარი,
მაგრამ მოსწრებულს
უმზერს თავის ვაჟს,
იმედს და სიმხნეს,
და გრძნობს მკერდში კაჟს!
შავ დღეთ არ იმჩნევს...

* *

მოდის აღდგომა,
ილევა მარხვა
და ტყეშიც შრომა
გადაითალხა:
აღარსად სჭრიან,
აღარცა სთლიან,
თავსა უყრიან
ნაშრომს და სთვლიან,
ზომვენ, აწყობენ,
სწერენ, აღრიცხვენ,
ანგარიშობენ,
ხვედრ ფულს აღნიშვენ...

* *

სიკო მეხაძის
ხვედრიც აღრიცხეს,
ნაშრომი იმ წლის,
ჯერც რომ არ მისცეს!
ნაახალწლევსაც
ველარ დაბრუნდა,
წევს თითქმის დღესაც,
ძლივს გამობრუნდა
და ხვედრ ფულს სოფლით
ითხოვს წერილით:
„ტანჯვით და ოფლით,
შიმშილ-წყურვილით
და შრომით ძნელით
რაც მანდ მერგება,
მეზობლის ხელით,
ნუ დაგზარდება,
რომ მომაწვდინო
ამ განსაცდელში,
და ამაცდინო
გაწყვეტას წელში"!..
სწერს ის მრუდაძეს
და თავს აბრალებს,
სწერს, რომ ჯერაც წევს
და იკრებს ძალებს,
რომ გადიტანა
დღეები, ძნელი
დამარხა მამა
და მასაც ხელი
მოხვია სენმა
ისე სასტიკად
რომ თვით დარჩენა
გადიქცა კითხვად!..
მაგრამ ეს ხვედრი
მან გადიტანა,
და უფრო მკვეთრი
წინ ამოცანა
უდგას სისუსტის
დაძლევის ახლა,
და, ჰა, ფულს უცდის
ის ამის სახსრად!..
და მეზობელიც,
სიკოს ერთგული,
ის, ვისიც ხელით
ითხოვა ფული,
დასძენს მრუდაძის
წინაშე მდგომი:
„მსგავსია ლანდის
ვაჟ-კაცი, ლომი!.
აღარ აქვს ღონე
და საშუალება...
რომ ნახო, სწორედ
შეგებრალება!
რაც რომ ერგება,
მიეცი ყველა,
ისემც გექნება,
სანაცვლოდ, შველა!"...
მრუდაძე ფეხის
შეუდგა თრევას
სანამ ეს გლეხის
ჰყოფნიდა თნევას,
არ უარობდა,
და ბოლოს, როცა
მოუახლოვდა
გლეხს წასვლის დროცა,
ცივი უარით
მკაცრად მიჰმართა,
ზედ საუბარიც
არ გაუმართა
გლეხს, გაოცებულს,
და ამ საგანზე
სთქვა: არ ვგზავნი ფულს!
და გადგა განზე:
„ჯერ მე თვით მიზღოს,
რაც მომცა ვნება,
და კვლავ მიიღოს,
რაც მას ერგება!"..
ბნელდომ მოუჭრა
გლეხს თავის ქნევით
და ბოლთას მოჰყვა
ზევით და ქვევით...

(დასასრული იქნება)

---

*) გაგრძელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„რიგოლეტო“.

ვერდის ოპერა „რიგოლეტო“ ჭეშმარიტად უკვდავი ოპერაა, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალურმა და კერძოდ საოპერო ფორმებმა დიდათ წინ გაუსწრეს გასულ საუკუნის ნახევრის მუსიკალურ იდეებს, იმის მიზეზი, რომ ეს ოპერა დღემდე არ გამორიცხულა რეპერტუარიდან, უნდა ვეძიოთ მის მელოდიურ და ადვილად შესათვისებელ მუსიკაში და აგრეთვე ტრაგიკულ სიუჟეტში, რომელშიაც მოცემულია საშუალო საუკუნის თვითმპყრობელობის საშინელებანი იტალიის სახელმწიფოებში. ოპერის შინაარსი აღებულია ვიქტორ ჰიუგოს დრამიდან „მეფე მხიარულობს“.

„რიგოლეტოს“ მთავარ პარტიაში (მასხარა) გამოვიდა ალექსაშინი. მსახიობის ხმა საუცხოვოდ ისმის. მან მოგვცა ბევრი ლამაზი მომენტები—პირველი დუეტი ჯილდასთან, სცენა სპარაფუჩილესთან (ავაზაკი) და ფინალური სცენა. მაგრამ სცენა მე-3-ე აქტში სასახლის კურტიზანკებთან და შემდეგ თავის ნამუსახდილ ქალიშვილთან სხვანაირად უნდა იქნეს ჩატარებული: დაწყებული უნდა იქნეს ნელი ტემპით და შემდეგ აჩქარებული ტემპერამენტის თანდათან გაძლიერებით, როგორც თამაშში, ისე სიმღერაში. გრაფ მონტერონეს ფეხქვეშ ჩავარდნა პირველ აქტში არ არის საჭირო,—ეს არ შეეფერება რიგოლეტოს სულიერ განწყობილებას, მიუხედავად იმ რისხვისა, რომელსაც თავზე ატეხს ჰერცოგს და მის მახლობლებს გრაფი მონტერონე.

დანელიანი წმინდა ლირიული მომღერალია და პარტიის ის ადგილები, სადაც სჭარბობს ლირიზმი, საუცხოვო იყო. უფრო სუსტია კოლორატურა. მსახიობმა საუცხოვოდ ჩაატარა თავისი პარტია მე-4-ე აქტის კვარტეტში, სადაც სიმღერაში აქსოვდა თავის სასოწარკვეთილებას და უსაზღვრო სიმწუხარის ნოტებს. არ შეგვიძლია არ ვუსაყვედუროთ მსახიობ ქალს სიმღერის ნაწილობრივი შეუთანხმებლობა (ფინალური სცენა) პარტიტურის ტექსტთან. ეს იყო დისონანსი სიმღერაში მით უფრო, რომ მსახიობმა აიღო უფრო მაღალი ნოტი, ვინემ პარტიტურაში იყო ნაჩვენები. გარეგნობა კარგი იყო.

კავსაძეს ემჩნევა ამ სეზონში წინსვლა პარტიის დრამატიული მხარის გადმოცემაში, მღერის მუსიკალურად, მაგრამ მასაც უნდა ვუსაყვედუროთ რაღაც ისეთ კოლორატურულ პასაჟების ჩართვა მე-4-ე აქტის შესრულებაში, რომელიც პარტიტურაში არ არის.

იტალიელ ავაზაკის სპარაფუჩილეს მხატვრულ და რეალურ სახეს იძლევა ისეცკი; მუსიკალურად მღერის და ცოცხლად ასრულებს მადალენას როლს ვოლჩანეცკაია.

ორკესტრს დირიჟორობდა მელიქ-პაშაევი, რომელმაც დაკვირვებული და მუსიკალური აკომპანიმენტის საერთო ფონზე მოგვცა რამოდენიმე უაღრესად მხატვრული მომენტი. მაგრამ სასახლის მთელი სცენის აკომპანიმენტის გაგებაში მას ვერ დავეთანხმებით: აქ ალაგ-ალაგ ზედმეტად იყო გაძლიერებული ბგერა, რაც ავნებს მელოდიური სურათის სისრულეს (პირველი სცენა). შემდეგ საჭიროა ტემპის სათანადოთ შეცვლა რიგოლეტოს სულიერ განწყობილებასთან შეფარდებით. კარგად ჩაატარა პაშაევმა ძნელი კვარტეტი და ტრიო უკანასკნელ აქტში.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **კონკურსი რევოლიუციონურ პიესაზე.** ხელოვნების მუშაკთა კავშირმა გადასწყვიტა გამოაცხადოს კონკურსი სოციალურ შინაარსის პიესაზე. მოწონებული პიესა წარმოდგენილი იქნება წითელ თეატრში.

— **პროლეტკულტთან** დაარსდა მუსიკალური ასოციაცია.

— **სტეფან ხალტურინი ეკრანზე.** კინო „პალასში“ 22 ოქტომბრიდან აჩვენებენ ახალ სურათს: „სტეფან ხალტურინი“.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება: „სევილიელი დალაქი“ პოპოვას მონაწილეობით.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** შაბათს, 24 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ხელოვნების სასახლეში (მახაბლის ქუჩა № 18) ამხ. ი. გედევანიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პროლეტარული ლიტერატურა“

— **ახალი თეატრი.** დღეს ახალი პროგრამა: სატირა, „ევგენი ონეგინი ჩვენს დროს“ და სხ.

— **პლასტიკის და რიტმის ინსტიტუტი.** ს. და ლ. აზარპეტიანების პლასტიკის და რიტმის ინსტიტუტში დაიწყო მეცადინეობა.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში.** დღეს გაიმართება მოსკოვის საავიაციო-საპროგანდო თეატრის პირველი წარმოდგენა.

— **ჩერქეზთა ხალხური მუსიკა** მოსკოვს დაბრუნდა მოსკოვის, რომელიც იმყოფებოდა ჩერქეზეთში, ჩერქეზთა ხალხური სიმღერა-მუსიკის ჩასაწერად. კომისიის მიერ შეკრებილი სიმღერები გამოცემული იქნება ცალკე.

კინო

ფრიც ლანგეს მოწვევა საქ. კინო-მრეწველობაში

საქართველოს სახელმწიფო მრეწველობის სააქციონერო საზოგადოების დირექტორმა გ. გოგიტიძემ საქართველოს კინო-მრეწველობის წარმომადგენლისგან ბერლინიდან მიიღო დეპეშა, რომ ცნობილი რეჟისორი ფრიც ლანგე—მსოფლიოში განთქმულ სურათის „ნიბელუნგების“ დამდგმელი, თანახმა არის იმუშაოს საქართველოს კინო-მრეწველობაში.

ვინაიდან რეჟისორ ფრიც ლანგეს მუშაობის მეთოდები განსაკუთრებული ხასიათის არის, საქართველოს სახ. კინო-მრეწველობის გამგეობას ექნებათ განსაკუთრებული თათბირი ფრიც ლანგეს საქართველოში მოწვევის შესახებ.

შემთხვევები

— **სამოქალაქო აქტების** ჩამწერ განყოფილებიდან (მმართ. 19 ოქტომბერს დღით მოიპარეს 800 მან. ნივთები.

— **მცირეწლოვანი ქურდები.** 20 ოქტ. დღით შეიპყრეს მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებმაც მ. ლაკების კოოპერატივის სალაროდან მოიპარეს 25 მან.

— **ქურდობა.** 20 ოქტომბერს, ბებუთოვის ქ. № 66, დღით პავლე ახობაძის ბინიდან მოიპარეს 1,000 მან. ნივთები.

— 20 ოქტ. განაპირა ქ. № 70, ნინა ობლიძის ბინიდან მისი სახლში არყოფნის დროს მოიპარეს 60 მან. ნივთები.

— ამავე დღეს, პეტრე-პავლეს ქ. № 7 გაქურდეს ისაკ დაბიაშვილის ბინა. წაიღეს 120 მან. ნივთები

— ამავე დღეს ნიკოლოზის ქ. № 36, გაქურდეს ბარბალე ჯალანიანცის ბინა.

— **ვერ მოასწრო.** 20 ოქტ. დღით, ელისაბედის ქ. № 81, პეტრე გრაფოვსკის ბინაში შეიპყრეს ლეონ შელილიანცი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა.

მუშათა ცხოვრება

წერა-კითხვის უცოდინარობა უნდა მოისპოს

(წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ორგანიზაციის კვირეულის გამო).

პირველ ნოემბრიდან შვიდამდე სრულიად საქართველოს მასშტაბით ჩატარებული იქნება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ორგანიზაციის კვირეული. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ მორიგ და საჭირბოროტო საკითხად არის გადაქცეული, განსაკუთრებით კი ჩვენი ძვირფასი მასწავლებლის ანდერძის დატოვების შემდეგ. მუშათა კლასის სწავლა-განათლებას წარსული მთავრობები საშინლად გაურბოდენ, რადგანაც მუშათა კლასის განვითარება და გათვითცნობიერება უმთავრესად დამოკიდებული იყო და დღესაც არის წერა-კითხვის ცოდნაზე და მათ სწორედ ამისი ეშინოდათ. მართალია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც ებრძვიან წერა-კითხვის უცოდინარობას, მაგრამ იქაური სახელმწიფოები წერა-კითხვის გავრცელებას საკუთარი კლასიურის მიზნებისათვის იყენებენ და არა მუშათა კლასის სასარგებლოდ.

სულ სხვა მიზანი აქვს საბჭოთა ხელისუფლებას. იგი, როგორც მუშათა და გლეხთა მთავრობა წერა-კითხვის ცოდნას მოახმარს მუშათა კლასს, ჩვენი მუშების საბოლოო გამარჯვების მიზნით. წერა-კითხვის ცოდნა არის მთავარი საძირკველი პროლეტარული კულტურისათვის, რომლის საფუძველზე უნდა აშენდეს ახალი კომუნისტური საზოგადოება.

ამ დიადს საქმეს ხელი უნდა შეუწყონ ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა. მასთან ყველა პატიოსანი მოქალაქის მოვალეობას შეადგენს, ჩაეწეროს ამ ორგანიზაციაში და შეიტანოს შეძლების დაგვარად თავისი წვლილი.

ძირს, წერა-კითხვის უცოდინარობა!

გაუმარჯოს პროლეტარულ კულტურა-განათლებას!

მუშკორი ნიკო მკერვალი.

—

მოარჯულეთ ეს ქალბატონები

მე-4-ე უბანში, მუხრანის ქ. სახლი № 28-ში სცხოვრობს ვინმე არტემა ნალბანდიანცი, დედა მისი შიჩიაკატა, და ფროლა და არფენიკა მოსვენებას არ გვაძლევენ. ამ „ქალბატონებმა“ მთელი ეზო აიკლეს. მათ ჩხუბს, ლანძღვაგინებას და აურზაურს საზღვარი არა აქვს. ხშირათ ცემა-ტყეპასაც აქვს ადგილი, როგორც ეს მოხდა „15“ ოქტომბერს, როდესაც მათ შეუტიეს და დაუწყეს ცემა მუშა ეგიაზაროვის ცოლს. მძიმეთ ნაცემი ქალი წარდგენილ იქნა რაიონის ექიმთან შესამოწმებლად.

უსაზღვრო თავხედობას იჩენენ ეს „ქალბატონები“, საჭიროა, ჭკუაზედ მოიყვანოთ.

გაზეთის დამტარებელი.

ახალი ყოფა-ცხოვრება და ჩვენი ოჯახის წევრები

ჯერ კიდევ კარგა ხანი დაგვჭირდება იმისათვის, რომ ახალ-ყოფა-ცხოვრებას შევეთვისოთ, შევაჩვიოთ ჩვენი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი მუშის ცოლები. ვერაფერს ვიტყვი ბავშვებზე, რომლებიც უკვე ეწაფებიან ახალ ცხორებას ჩვენი შრომის სკოლებში, და საბავშვო ბაღებში და ითვისებენ მას, რაც მისაღებია დღევანდელი ჩვენი ყოფა-ცხორებისათვის.

ოქტომბრის უდიდესი რევოლიუციის ქარიშხალმა ჯერ კიდევ ვერ შეიტანა დიდი ცვლილებები ჩვენ ოჯახურ ძველ ზნე-ჩვეულებებში, კიდევ, დაურჩა ბნელი კუნჭულები ხელშეუხებელი.

ხშირად გვესმის საყვედური ოჯახის წევრებისაგან, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის და ამის მიზეზეც მიგვითითებენ.

— ღმერთი თქვენ არა გწამთ და ხატი; შიშიც არავისი გაქვთ, ულმერთოდ განა შეიძლება ცხორება, ადამიანო?—ეკითხება მუშის ცოლი თავის ქმარს.

ასეთია ხშირად თითქმის ყველა მუშის შინაური ცხოვრების წინაალმდეგობანი.

ყველაფერი ეს კი გამოწვეულია მუშის ოჯახის ეკონომიური პირობებით.

ჩვენ მეუღლეს ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრებაც მუშისათვის უდიდესი მიღწევაა.

დღეს მუშები სახელმწიფოს სათავეში ვართ. და თუ გვინდა, რომ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები სამუდამოდ გავდევნოთ ჩვენი მუშური ოჯახიდან, ამისათვის საჭიროა, რომ ახალი ყოფა-ცხოვრების ლაჟვარდოვანი სხივი მეტად აშუქებდეს იმ კუნჭულებს, სადაც ჯერ კიდევ ბლომათ მოიპოვება დაბრკოლება წინსვლისა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მთელი მუშათა კლასის უმრავლესობა ცოლშვილიანია, მაშინ ჩვენ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ის, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ შინაურ, ოჯახურ კულტმუშაობას მათი ცოდნის და თვითშეგნების ასამაღლებლად.

ასეთ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ექნება ოჯახში ძველი ადათჩვეულებებთან ბრძოლაში და მათ სამუდამოდ განდევნაში. თუ ამაში დაგვეხმარებიან ჩვენი პროფორგანოები და ხელმძღვანელი ამხანაგები, მაშინ აღარ ექნება ადგილი ისეთ მახინჯ მოვლენებს მუშების ოჯახში, როგორიც არის მაგ. ქმრის მიერ ცოლის ცემა, ლოთობა, ბავშვების აწიოკება, გარყვნილება, უწმაწური სიტყვები ერთმანეთისადმი გამასპინძლება და ბევრი სხვაც, რასაც დღეს ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში.

მუშკორი ყ-ნი.

პასუხად მუშკორ მუშკოოპელს

(იხ. „კომუნისტი“-ს № 241)

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 241-შია მოთავსებული მუშკორ მუშკოოპელის წერილი შემდეგი სათაურით: „ასეთ სპეცს მუშკოოპში რაღა უნდა“. ამ წერილში მუშკოოპელი მუშკოოპის თანამშრომელს იახნინს ბრალს სდებს ბიუროკრატიზმში და მუშებისადმი უდიერად მოპყრობაში. მუშკოოპელს იახნინი გამოყვანილი ჰყავს, როგორც პურის არ საქმის მცოდნე, რომელსაც პურის საქმის არაფერი გაეგება. საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო, რომ იახნინი ჩვენთან მუშაობს 1922 წლის 14 თებერვლიდან და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ის მუშებს უდიერათ მოპყრობოდეს.

ის ითვლება საწარმოო განყოფილების საერთო ხელმძღვანელად. ეს საწარმოო განყოფილება იყოფა ნაწილებათ, როგორიცაა: საკანდიტრო, ძეხვის, პურის და სხვა, რომელთაც ჰყავთ თავ-თავისი გამგეები. აი, ამ გამგეებს ხელმძღვანელობს იახნინი. მას მუშებთან პირდაპირი კავშირის დაჭერა არ უხდება, მაშასადამე, არ შეეძლო უდიერად მოპყრობოდა მათ. რაც შეეხება პურის საქმის არა მცოდნეობას, ეგ მართალია. მან, მართლაც არ იცის პურის საქმე. იგი მოწვეულია, როგორც საწარმოო განყოფილების გამგე და არა როგორც პურის „სპეცი“.

პურის საქმეს განაგებს ამხ. სიმონია და არა იახნინი. უკეთესი იქნებოდა, რომ მუშკორი მუშკოოპელი ჯერ გაცნობოდა საქმეს და არ შეეყვანა რედაქცია შეცდომაში.

მუშკოოპის გამგეობა.

—

გაეროვნებაც ასეთი უნდა

ა. წ. აგვისტოს შუა რიცხვებში მთავარ სახელოსნოების ადმინისტრაციის მიერ იყო მოთხოვნილი მემანქანის თანამდებობაზე კაცი. კავშირიდან გადმოგზავნეს ვინმე სალარეიშვილი, რომელსაც გათავებული აქვს, როგორც საშუალო სასწავლებელი, ისე ბუხჰალტერიის კურსებიც, მაგრამ ადმინისტრაციამ არ მიიღო ის—მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მას რუსულ ენაზე დაწერილ განცხადებაში ჰქონდა გრამატიკული შეცდომები და მის ალაგას კი მიიღეს სრულიად ადგილობრივი ენის არა მცოდნე პირი.

მთავარ სახელ. ადმინისტრაციავ, რისთვის არღვევ ასე სისტემატიურად ბრძანება № 516-ის მუხ. 9—10-ს.

ადგილკომო, შენ მაინც მიაქციე ყურადღება ამას!

მუშა ხრახნი.

—

სამტრედიის დამზღვ. სალაროში

თანახმად არსებულ წესისა პენსიონერები სათბობ მასალის მისაღებად ღებულობენ ქვითარს სამტ. დამზღვ. სალაროდან. აქ სამწუხაროდ ბევრ შეცდომას აქვს ადგილი, რომელიც იწვევს უსიამოვნებას, მაგალითად, ნავთის მისაღებ ქვითარზე სწერია: ერთი მანეთი და ოთხი კაპეიკის მაგიერ მხოლოდ ერთი მანეთი, ფულის გადახდისას კი, ის იხდის ერთ მან. და ოთხ კაპეიკს.

აქ იბადება საკითხი, თუ ვინ სარგებლობს ოთხიკაპეიკით, მოვითხოვთ მიექცეს ამას ყურადღება და აწარმოონ საქმე, დაკვირვებით უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად.

ქვალონ.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **სადგურ იანეთის მოწყობა:** იანეთი წინეთ უბრალო ბაქანს წარმოადგენდა. იგი სრულებით მოუწყობელი იყო. დღეს კი ეს უბრალო ბაქანი სადგურად იქცა. ჩვენი რკინისგზელ მეცადინეობის, უანგარო და თავდადებულ მუშაობის წყალობით.

მადლობა შეგნებულ მუშებს.

მგზავრი.

—

— **მოარჯულეთ სახლის უპატრონი.** პოლოსოვის ქ. სახლი № 6-ში ცხოვრობს მუშა-ქალი, პროფკავშირის წევრი, ამხ. ვერა ნარიაშული; მას ჰყავს თავის კმაყოფაზე სამი მცირეწლოვანი ბავშვი და მოხუცი დედა. შრომის ხელფასს ამხ. ვერა იღებს 23 მანეთის რაოდენობით. სახლის პატრონი საბრალო ქალს მოსვენებას არ აძლევს, ბინის ქირას მისგან მოითხოვს ისე, როგორც კერძო ვაჭრისაგან; აწერს მას სხვადასხვაგვარ გადასახადებს და სხ.

მუშა—კარგი.

—

— **არა გვაქვს ნედლი მასალა.** ქ. გორში არის მაზრის ალმასკომის ერთი სახერხი ქარხანა, სადაც მუშაობს 90-მდე მუშა-მოსამსახურე. ქარხანაში შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში ნედლ მასალას დროზე არ გვაწვდიან. შესაძლებელია ამ გარემოებამ დასცეს ჩვენი წარმოება და ამიტომ მოვითხოვთ მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რათა ქარხანა უზრუნველყონ ნედლი მასალით თავის დროზე.

№

—

— **ეს მუშაკი დაფასების ღირსია.** ქუთაისის ფ.-ტ. კანტორაში ფოსტალიონის თანამდებობაზე მსახურობს ამხ. სტეფანე არუთინოვი. ამხ. არუთინოვი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. მას უხდება ზედმეტ საათებში და დიდ მანძილზე მუშაობა. გასამრჯელო კი ძალიან მცირე აქვს.

საჭიროა, მას ან ხელფასი მოუმატოთ, ანდა მუშაობა შეუმციროთ დამხმარე ფოსტალიონის მოწვევით.

მუშა ქუთაისელი.

—

— **მატარებელი უნდა იყოს მშრომელი ხალხისათვის.** საზამთრო მიმოსვლის ახალი ნუსხის შედგენის დროს დაშვებულია ერთი დიდი შეცდომა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. საქმე შემდეგშია: მაგ. შორაპნიდან ქუთაისკენ შუაღამისას გადის ორი მატარებელი (ერთი საათის განსხვავებით) №№ 60 და 62. დილის 7 საათზე გადის მატარებელი № 4. თბილისიდან და ბათუმ-ქუთაისიდან მომავალი მგზავრები ამ მატარებლებს ვერ უსწრებენ და მთელ 17 საათის განმავლობაში უცდიან აღნიშნულ მატარებლის დაბრუნებას.

მგზავრების მდგომარეობა აუტანელია. საჭიროა ეს შეცდომა გამოასწოროთ.

ნამგლიანი.

სოფელი

გიორგი მეიფარიანის „მოღვაწეობა“

(ორპირის თემი ქუთაისის მაზრა)

მე ვეხები ორპირის თემში, „წითელი ჯვრის“ საზოგადოების საექიმო პუნქტის ექიმ გიორგი მეიფარიანის მოქმედებას, რომელიც გამოიხატება, როგორც ხელისუფლების, ისე მშრომელთა მასის წინაშე მოღალატეობაში.

მეიფარიანმა ადგილობრივ საბჭოს მოხსენება წარუდგინა, რომ ის დღეში აკეთებს 5—6 ვიზიტს და ლაბორატორიაში სინჯავს 60—70 ავათმყოფს, ნამდვილათ კი გამოირკვა, რომ ის თვეშიდაც არ აკეთებდა 5—6 ვიზიტს.

ორპირის თემში მეიფარიანის მოღვაწეობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ შეადგინა ყალბი ცნობები; ამნაირათ მას აღწერილი აქვს 400 დე მკვდარი სული და ამ მკვდარ სულებზე გაცემული წამლები. ნამდვილათ კი წამლები ყოველ სამშაბათობით, როცა ის თავის სახლში ბრუნდებოდა, ყუთებში ჩაწყობილი მიჰქონდა. ეს ფაქტია და ყოველივე ამის დამამტკიცებელი საბუთები ამ წერილის ავტორს ხელთ უკავია. მეიფარიანს სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ივლიანე მერკვილაძე.

ალმშენებლობა კახეთში

არას დროს ალმშენებლობას კახეთში ასეთი დიდი ყურადღება არა ჰქონია მიქცეული როგორც ეხლა.

სახალხო სახლები, სკოლის შენობები, წყალსადენები და სხვა საზოგადო მშენებლობა კახეთში იშვიათი მოვლენა აღარ არის.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ალმშენებლობა უგეგმოთ მიდის. თავდაპირველად რომ ამ საქმეებისთვის მცოდნე პირთ ეხელმძღვანელათ, ლამაზი, მოწყობილი საქმე გაკეთდებოდა და შესაძლებელია ნაკლებიც დამჯდარიყო. ეს შეეხება საზოგადო მშენებლობას, რაც შეეხება კერძო მოსახლეობას, ამ მხრითაც სწრაფი ნაბიჯით მიდის ჩვენი სოფელი წინ. არ არის უბანი, რომ სულ მცირე 5—6 ახალი სახლი არ შენდებოდეს; ამ თვეში ორ-სამ სოფელში მომიხდა ყოფნა და თითო სოფელში 20-დან—30-მდე ახალი შენობა შემხვდა, გლეხმა უკუაგდო ფიცრული, ბნელი და ცივი ქოხები და იშენებს ქვითკირის სახლებს.

მაგრამ ეს მშენებლობა სწარმოებს სრულიად უგეგმოთ და უთავბოლოთ ჯერ ერთი არსად არაა დაცული გიგიენური და სანიტარული პირობები, არაა გამოკვლეული, თუ როგორი იქნება ჯანმრთელობის მხრივ ის მიდამო, სადაც ახალი უბნები შენდება. ეს ხომ ცხადია, რომ მალარიამ მთელი სოფლები ამოწყვიტა კახეთში.

აი ამ მხარეს არავითარი ყურადღება არ ექცევა. ჩვენი გლეხი არც ისეთი შეუგნებულია, რომ ის დაერიგებიათ და ვერ გაეგო თავისი სიკეთე. ეს კი ჩვენი რაიონის ექიმებს უნდა ეკისრათ, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სოფელში გზებს და ქუჩებს ყურადღება არ ექცევა. გზებს არა თუ აგანიერებენ, არამედ გზებზე აშენებენ სახლებს და ამახინჯებენ ქუჩებს.

ვან—ლი.

შეუძლებელია

ქ. ზუგდიდში, ამ ბოლო ხანებში გახშირდა საქველმოქმედო მიზნებით საღამოების გამართვა და შემოწირულებების მოგროვება. საღამოების ბილეთები წინდაწინ „საპატიოთ“ დამზადებული ეგზავნება საბჭოთა მოსამსახურეებს, ვინმე საპატიო პირების ხელით და ასეთ ბილეთებზე მოსამსახურენი ვალდებულნი არიან იხადონ 5 მანეთი და მეტი.

თუ მოსამსახურემ მოასწრო გაპარვა ხომ კარგი, მაგრამ სანამდი უნდა ემალოს. დაწესებულებას ხომ ვერ დატოვებს ცარიელს; ვინც დარჩება მასზე იყრიან მთელს ჯანს და ძალით თუ მოხერხებით მაინც აჩეჩებენ ბილეთებს. მართალია, ფრიად სიმპატიური და მნიშვნელოვანია ის საზოგადოებები, რომელთა სასარგებლოდ იმართება საღამოები და იკრიბება შემოწირულება მაგრამ მოსამსახურეების ჯიბის ბიუჯეტის მოულოდნელი და შემთხვევითი ხარჯები განსაზღვრულია და კომისიების კარნახით 5 მანეთის გაღება, შეუძლებელია. ბოლო უნდა მოეღოს მოსამსახურეების ძალით დაბეგვრას.

ვ. შ.

იუსტიციის მუშაკთა თათბირი სენაკის მაზრაში

13 ოქტომბერს სენაკის მუშათა კლუბში გაიხსნა სენაკის მაზრისა და ფოთის რაიონის იუსტიციის მუშაკთა თათბირი, ცენტრიდან თათბირს დაესწრო ამხ. ნიკ. ოკუჯავა.

თათბირზე ჩამოვიდნენ ყველა უბნიდან როგორც მოსამართლეები, ისე გამომძიებლები და დამცველთა კოლეგიის წევრები.

რევოლიუციონურ კანონიერების გატარების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ოკუჯავამ.

მოხსენების შემდეგ ამხ. ოკუჯავას მრავალი შეკითხვები მისცეს როგორც თათბირის წევრებმა, ისე საზოგადოებამ, რაზეც ამხ. ოკუჯავამ ყველას დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მეორე დღეს მოხსენებები გააკეთეს მოსამართლეებმა და გამომძიებლებმა. მოხსენებებიდან ირკვევა, რომ გარდა სენაკის გამომძიებლისა, რომელსაც თვიურად შემოუდის 15 საქმე და ასწრებს უმრავლესობის შესრულებას, სხვა რაიონებში ძლიერ დაგვიანებას აქვს ადგილი. მაგ. მარტვილის რაიონში შემოსულა 9 თვის განმავლობაში მხოლოდ 47 საქმე, გარჩეულია კი მხოლოდ 26. ასევეა ბანძის და სხვა რაიონების გამომძიებლების საქმეც.

სამწუხაროდ გამომძიებლები და მოსამართლეები ვერ ყოფილან უზრუნველყოფილნი სამგზავრო ხარჯებით და სხვა საკანც. ნივთებით.

თათბირმა გაითვალისწინა ყველა შესაძლებლობანი სოფლად რევ. კანონიერების გატარების შესახებ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები.

ბ. უჩანეიშვილი.

წერილი დილიკაურის თემიდან

შემოდგომის ღრუბლიანი დღეო...

გლეხები—ქალი და კაცი, დიდი და პატარა ყანებში მოფენილიყვნენ და ელვისებური სისწრაფით ატრიალებდენ ნამგალს. ზოგი მკიდა, ზოგი კრეფდა და ზოგი დატვირთული ურმებს სახლისკენ მიაჭრიალებდა.

მშვენიერი და ლამაზია ამ დროს ბუნება, მხიარული და უხვია ამ დროს გლეხის ქოხი.

სასიამოვნოა ამ დროს გლეხის თვალყურის დევნება, როცა გაშმაგებით გარბი-გამორბის ყანაში, აღტაცებით შეჰყურებს თავის ნათესს და სიდინჯით და დაკვირვებით აგროვებს თავის ნაოფლარს.

უფრო მშვენიერია და მხიარული გლეხის სახლი, სადაც მიუზიდია თავის რამოდენიმე თვეების განმავლობაში ნაშრომის ნაყოფი და აუვსია ეზო-ბაკე სხვადასხვა ხორბლეულობით. ამას შეჰყურებს გლეხი დიდი იმედით, არ სძინავს მას და არ სძინავს მის ჯალაბს...

აგერ სამი-ოთხი დღე გაივლის გლეხი ყანებს მორჩება, მას კიდევ სხვა საქმე გამოუჩნდება.

— ის ის იყო, დილიკაურის თემის უღარიბეს გლეხმა სიმონმა უკანასკნელად დატვირთა ჩალიანი ურემი და მის თანამგზავრ ივანეთი გაუდგა გზას.

— ბევრი არ უვლიათ და ბევრ დროსაც არ გაუვლია. რომ შავად შემოსილი ცა უფრო გაკუკუწაპეტდა, უფრო გამკაცრდა და ჭექა-ქუხილის მრისხანე ხმა დედა-მიწას რაღაც საშიშროებას უქადდა. ორ წუთს არ გაუვლია, რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ჩვენი მგზავრების ურმები ატოკდა, შეუძლებელი გახდა მგზავრობა.

სიმონმაც თავის თანამგზავრით, ერთად დააყენა ჩალიანი ურმები მოძებნა მყუდრო ადგილი, ჩიბუხი გააჩაღა და ბოლთას-ცემა დააწყებია.

კაი ხნის შემდეგ მწარედ ამოიოხრა, ყალიონი დაფერთხა და სთქვა: —ჰე! დალოცვილი ღმერთია თუ ბუნება, რაღა ჩვენთვის მოიცალა.

— მართლა, ივანე, გუშინ რო ასისთავს ჩამოევლო თავმჯდომარე მოდის და კომლზე კაცი არ დააკლდესო, ნეტა რაში იყო საქმე? მე იმ დროს ბაზარში მომიხდა წასვლა და შინ არავინ მყავდა ჩემს მაგიერი გამეგზავნა.

— რაში იყო და თავმჯდომარემ გვითხრა: „მიწის ბაჟები, რო გხდებოდათ იმის ფურცლებს დაგირიგებთ და მოკლე დროში შემოიტანეთო წინეთ, რომ ტყეზე, ორხეფზე და სხვა წვრიმალებზე გხდებოდათ გადასახადი, ეხლა ისე აღარ არისო. ეხლა მხოლოდ მოსავლიან მიწაზე გადიხდით გადასახადსო.

მართლაც და ფურცელი რო მომცეს, ჩვენი მასწავლებელს წავაკითხე და მითხრა: „ექვსი აბაზი არის გადასახდელიო“, შარშან კი 15 მანეთი გადავიხადე... მართლაც, რომ ეს ბოლშონიკები ჩვენ ჭირ-ვარამს იზიარებენ, და უნდათ ბნელეთიდან გამოგვიყვანონ.

ეგრეა, ნამდვილად ეგრეა, ჩემო ძმაო, —რიხიანად მიუგო სიმონმა.—აბა მითხარი, რომელი მთავრობა იყო რომ გლეხის ნება-სურვილზე დადიოდა, ჩვენს შვილებს ეხვეწებოდა ისწავლეთო. ასეა ჩემო ძმაო, ისინი ჩვენ გასაღონიერებლად იბრძვიან და ჩვენც მათი ერთგული და გამგონე ვიყოთ.

ბევრი რამ უნდოდათ სიმონს და ივანეს ეთქვათ, რომ ამასობაში წვიმამ გადაიღო, და სიმონაც და ივანე შინისკენ დაიძრენ.

ამბროხი ხალაძე

სვანეთი ეკრანზე

(„მეჟრაბპომ-რუს“-ის ექსპედიცია სურათ „დინა ძაძუს“ გადასაღებად)

წარსულ საუკუნეში სვანეთს დასაპყრობად მისდგომია მრავალი სამხედრო ექსპედიცია, რომლისთვის სვანეთი თავისი უზარმაზარი კლდეებით, გაუვალი ხევებით და საშინელი მღვიმეებით მუდამ მიუწდომელი რჩებოდა.

და ამ ქვეყანაში წელს თავხედური გამბედაობით შეიჭრა კინო და ეს მუნჯი ხელოვნება დაუძმობილდა სვანეთის ზვიად ბუნებას, ამ ბუნების ლაღ შვილებს—პირქუშ და სიტყვაძვირ სვანებს. სვანები კინოს შეხვდენ, როგორც ერთგულ მეგობარს და გაუზიარეს მთელი სვანეთის გულის ნადები, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გამომწყვდეული იყო ცამდე აწვდილ კლდეების ზღუდეებში.

მალე მრავალი მილიონი ხალხი იხილავს სვანეთს მისი ზღაპრული ბუნებით, მის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრების ალსავსე წარმტაცი ლეგენდებით და საოცნებო თქმულებებით.

უზარმაზარი კლდის ციცაბოები, ყინულოვანი ხევები, სივრცეში აწვდილი მთის თოვლიანი მწვერვალები, გიჟმაჟი მდინარეები, მთის ზურმუხტოვანი ველები და ბუნების ამ წიაღზე გაშლილი მთიელთა მოსახლეობა, თავის ისტორიულ ციხე-კოშკებით—მრავალი მილიონი მაყურებლის თვალს დაატყვევებს და გადისვრის კლდეებით შემოზღუდულ ზღაპრულ მხარეში.

და ამ წარმტაცი სანახაობის ხილვის დროს ბევრს დააინტერესებს, თუ რა ფასად რა წამებად დაუჯდა კინო ექსპედიციას სვანეთის „დაპყრობა“, მისი ყველასათვის სახილველ ქვეყნად გადაქცევა.

ეს დიდი და მძიმე საქმე იკისრა კინო საზოგადოებამ „მეჟრაბპომ-რუს“. მან გადასწყვიტა ერთი მომხიბლავი სვანური თქმულებისათვის ხორცი შეესხა, თვით სვანეთის ბუნების წიაღზე სვანების მონაწილეობით და დახმარებით.

21 აგვისტოს, ქართველ მსახიობთა ერთი ჯგუფი რეჟისორ ჟელიაბუჟსკის, მის თანაშემწე ნ. შენგელიას, ოპერატორ იალავოის და სვანეთის კარგად მცოდნე ეგ. გაბლიანის ხელმძღვანელობით გაემგზავრა სვანეთისაკენ.

ცაგერიდან იწყება ექსპედიციის საარაკო თავგადასავალი.

ცაგერიდან ცოტა დაშორებით ამართულია მურის კლდოვანი მთა. მთის ფერდობზე გაჭრილა ვიწრო სამგზავრო ბილიკი. ექსპედიციის 55 დატვირთული ცხენი ზედ შემსხდარი მსახიობებით და 35 გამყოლის ცხენი 24 აგვისტოს მზიან დღეს ვერსნახევრის მანძილზე ფრთხილი და ნელი ნაბიჯით მიიმართება ამ სახიფათო ბილიკზე. ზოგ ალაგს მგზავრებს ქვეითად უხდებათ სიარული.

მაგრამ ამ ბილიკზე მოგზაურობა არაფერი გამოჩნდა იმ მგზავრობასთან, რომელიც შეასრულა ექსპედიციამ ლენტეხიდან კალაში გადასვლის—ლატფარის უღელტეხილის (9,800 ფუტი სიმაღლე) გადალახვის დროს.

მაღალ კლდის დაქანებულ ფერდობზე გაჭრილია ვიწრო ბილიკი. ქვევით თვალუწვდენელი ნაპრალები, ზევით რუხი პირქუში კლდეები; ბინდდება.

რათაც არ უნდა დაჯდეს დღეს ექსპედიცია უნდა ჩავიდეს სოფელ კალაში. სხვა გამოსავალიც არ არის; იმ კლდეების ვიწრო ბილიკზე ღამის გათევა შეუძლებელია.

ყველას შიში იპყრობს. ახლოვდება ბნელი უმთვარო ღამე, რომელიც შიშის ჟრუანტელს გვრის. წინ მიდიან გამყოლები. მგზავრები გადაბმული არიან ბაწრით ერთიმეორეზე: თუ ვინიცობაა, ვისმე ნაპრალისკენ ფეხი გადაუცდა, მგზავრებზე მიბმული ბაწარი შეაკავებს. ბნელდება ისე, რომ თითს თვალთან ვერ მიიტან. რამოდენიმეს ალაგალაგ უცდება ფეხი, მაგრამ ეს ხერხი—ბაწრით გადაბმა, შველის. ყოველ ფეხის გადადგმაზე განსაცდელი და შიშისაგან ძრწოლა.

განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენენ ქალები: ფრთხილათ და კვილ-კვილით მიდიან ბილიკზე.

როგორც იყო ექსპედიცია გადაურჩა ჯოჯოხეთურ ბილიკს: ღამით 12 საათზე იგი ჩავიდა სოფელ კალაში. ხოლო 27 აგვისტოს ექსპედიციამ მიაღწია ზემო სვანეთის ცენტრს —მესტიას. ექსპედიცია დაბინავდა სკოლის შენობაში.

ექსპედიციის ჩამოსვლა დიდ ინტერესს იწვევს სვანებში. მათ იციან უცხო სტუმრების ჩამოსვლის მიზანი, იცნობენ კინოსაც.

წელს სვანეთში რამოდენიმე სურათი უჩვენა კინო—კავშირის მოძრავმა კინომ.

სვანებმა ნახეს საკვირველი ეკრანი. ახლა მათ საშინლად უნდათ მოხვდენ სურათის გადაღებაში. ყოველ დღე სკოლის ეზოში სოფლებიდან ჩამოსული აურაცხელი ხალხი იყრის თავს.

რეჟისორი ჟელიაბუჟსკი 5 დღის განმავლობაში ათვალიერებს მიდამოებს მასიური სცენების გადაღებისათვის ადგილების შესარჩევად.

მან შემოიარა გულახის, ლენჯერის და ბეჩო-ეცერის თემები. გადასაღები ადგილები გამოხატულია. მაგრამ რეჟისორი მაინც ღელავს. მას ეშინია: ვაი თუ ცდა მარცხით დამთავრდეს და კინოსთან გაუცნობელი სვანები არ გამოდგენ მასიური სცენების გადასაღებად.

შიში უსაფუძვლო გამოდგა: სვანები ჩინებული მსახიობები აღმოჩნდენ.

9 სექტემბერს დანიშნული იყო დიდი მასიური სცენის—დადიშქელიანების ციხის აღების ინსცენიროვკა.

8 სექტემბერს სოფელ მესტიაში ყველა თემებიდან გროვდება მონაწილეობის მისაღებად დაბარებული ხალხი. მოდიან 50—60 ვერსის დაშორებიდან. მოდიან ჭარმაგნი მოხუცნი და ვაჟაცები ძველებური ხაცმელობით, მუზარადით, ჩაფხუტით, ფარებით, ხმალ-სატევრებით და კაჟიანი თოფებით. 9 სექტემბერს დილით მესტია წარმოადგენს სალაშქრო ბანაკს: საბრძოლველად გამზადებულია 300 მხედარი საუკეთესო ყაბალდული ცხენებით და ერთი მეორის საწინააღმდეგოთ დაპირდაპირებული ლაშქარი—500 მებრძოლით.

სურათის გადაღების დაწყებამდე მონაწილეებს უხსნიან სცენარის შინაარს.

ეს ამბავი იმდენად ნაცნობია სვანებისათვის, რომ მთელი მასსა უცბად ითვისებს ამბის შინაარსს; მას უკვე აღარ სჭირია განმარტება, თუ როგორც უნდა მოიქცეს: ამა თუ იმ შემთხვევაში: წარსულის გამოცდილებით და ინტუიციით ხვდება ყველაფერს.

სვანები აღმოჩნდენ დისციპლინის მქონე და მშვენიერი ცოცხალი მასალა სცენების შინაარსის გადმოსაცემად.

იწყება სურათის გადაღება. სვანებს იერიში ოურიშზე მიაქვს, და გააფთრებულნი იბრძვიან, სცდილობენ აიღონ დადიშქელიანის ციხე. არა ნაკლებ სიმამაცეს იჩენენ დამხდურნი. საშინელი ხელჩართული ბრძოლაა, მზეზე ჰკიალობენ შუბები, ხმლები და სატევრები. იბრძვიან თავდავიწყებით. სვანებს ავიწყდებათ, რომ ეს არის მხოლოდ ინსცენიროვკა, ავიწყდებათ თავდაჭერ და სერიოზულად გულმოსულნი დაუზოგველად უტევენ ერთიმეორეს. მებრძოლნი ისე გამწარებულნი არიან, რომ მოსაკლავად აღარ ინდობენ ერთმანეთს, დამხდურებს არაფრის გზით არ სურთ დანებდენ. აქ უკვე ინსცენიროვკა რეალობამდე მიდის. გამოდის ნამდვილი ბრძოლა. საჭირო ხდება შეყვირება და იარაღის ხელიდან გამოგლეჯა, რომ დამხდურები დანებდენ „მტერს“.

განსაკუთრებით საინტერესო სანახაობას წარმოადგენს დადიშქელიანების ციხის აღების სურათი: ციცაბო კლდეზე აღმართულია დადიშქელიანების კოშკი. კლდის ძირში მიქუხს გიჟი ენგური. 300 მხედარი ხმალ-ხანჯლით, შუბით, და კაჟიანი თოფით შეიარაღებული 500 სვანი შეფენილია კლდის ფერდობზე და შეუპოვარი უშიშრობით, განსაცვიფრებული სიმარჯვით და სისწრაფით მოიწევს ზევით კოშკისაკენ. კოშკიდან თავზე დამცემლებს უშენენ თოფებს და აქა-იქ კანტიკუნტად ფერდობზე მოგორავენ და ენგურში ცვივიან დახოცილი ცხენები და რაინდები.

ეს მშვენიერი სურათი გადაღებულ იქნა სხვადასხვა წერტილიდან.

ხალხი იმდენად გატაცებული იყო სურათის გადაღებით, რომ დილის 5 საათიდან 12 საათამდე საჭმლის ჭამა არ გახსენებია. ამ დღეს გადაღებულ იქნა სულ 30 სცენა, რომლის საერთო სიგრძე 1200 მეტრს აღემატება.

სურათების გადაღების დამთავრების შემდეგ ექსპედიცია გაუმასპინძლდა ხალხს კარგი ვახშმით, რისთვისაც დაიკლა 6 ხარი. მონაწილეთ გასამრჯელოთ მიეცათ 1 მანეთიდან—2 მან. და 50 კაპ.

10 სექტემბრიდან—14 სექტემბრამდე სწარმოებდა სოლო-სცენების გადაღება-ეპიზოდიურ როლებს ასრულებენ სვანები.

14 სექტემბერს ექსპედიცია მიემგზავრება სოფელ უშკულში (თავისუფალ სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილშია), რომელიც მდებარეობს თოვლიან მთების მახლობლად —მდ. ენგურის სათავეებში. უშკული საინტერესოა უძველესი შენობებით და ხუროთმოძღვრების თავისებური ნაშთებით: აქ—ექსპედიცია იღებს სურათს უშკულის ისტორიულ ცხოვრებიდან „ფუთა დადიშქელიანის მკვლელობა“. უშკულის ეკლესიაში შენახულია დადიშქელიანის ტანსაცმელი, რომლის მიხედვით საგანგებოდ შეკერილ იქნა ახალი საცმელი მსახიობისათვის. შემდეგ მკვლელობის გადასაღებად საჭირო იყო მასიური სცენა 400 კაცის მონაწილეობით. მოწვეულ იქნენ სვანები უშკულის, იფარის და კალის თემებიდან. აქაც იგივე თავდაიწყება და მსახიობის ნამდვილი ექსტაზი.

იღებდენ სურათს: თავისუფალი სვანები ხოცავენ დადიშქელიანის მხლებლებს. ამ დროს ერთი უშკულელი უცაბედათ მძიმედ დასჭრის კალელ გლეხს. კალელებმა ჩასთვალეს განზრახ ჩადენილ ბოროტმოქმედებად და უნდათ სისხლის აღება. დიდი ხვეწნა მუდარისა და ადმინისტრაციის ჩარევა შეიქნა საჭირო, რომ კალელებს უარი ეთქვათ შურისძიებაზე:

უშკულში სურათის გადაღება გაგრძელდა ორ დღეს.

უშკულიდან მთელი ექსპედიცია მოეშურება ენგურის სათავისკენ შხარის მყინვარების გადასაღებად.

აქ თვალის მომჭრელი სანახაობაა. ხევებსა და ხევებს შორის გაწოლილი არიან ყინულის მთები. საშინლად ყინავს, ყინულზე სიარული სახიფათოა: ფეხს ვერ იკავებ—მიცურავს. აქ საქმე უხიფათოდ არ თავდება: მსახიობ კ. მიქაბერიძეს გადაუვარდა ცხენი, თვითონ კი ფეხ ეტკინა. ორ დღეში გადაღებულია შხარის დიდებული მყინვარები.

შხარიდან ექსპედიცია ისევ ბრუნდება მესტიაში, სადაც გადაღებულ იქნა 9 მასიური სცენა 200—300 კაცის მონაწილეობით. სურათის „დინა ძაძუს“ ეპიზოდების დამთავრების შემდეგ, გადაღებულ იქნა კვირიკეს უძველესი ტაძარი, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული სურათები და საბჭოთა აღმშენებლობა სვანეთში. ექსპედიციის მუშაობა სვანეთში დამთავრდა 25 სექტემბერს. ნაწილი ექსპედიციის ამავე დღეს გამოეშურა თბილისისაკენ, ნაწილი ჟელიაბუჟსკის და იალავოის ხელმძღვანელობით გაემგზავრა თუბერის უღელტეხილისაკენ კავკასიონის ქედის გადასაღებად.

ქართველ ხელოვანთაგან სურათ „დინა ძაძუს“ გადაღებაში მონაწილეობა მიიღეს: ვერიკო ანჯაფარიძემ, შურა თოიძემ, ერისთავ-ჟლენტისა, გ. დავითაშვილმა, აკაკი ვასაძემ, კოტე მიქაბერიძემ, ქ. გელოვანმა, ს. წითლაძემ, მურღულიამ, ვარდოშვილმა, ლელიკო ხოტევიმა.

მხატვრებად მოწვეულნი იყვნენ: პროფ. შარლემანი და ირ. თოიძე.

ვ. წ.

ზუგდიდის მაზრის სტატისტიკოს მოხალისე კორესპონდენტთა კონფერენცია

9 ოქტომბერს ქალაქ ზუგდიდში შესდგა მოხალისე კორესპონდენტთა კონფერენცია.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხალისე კორესპონდენტები და სახელმწიფო სტატისტიკა, 2) მიმდინარე სასოფლო სამეურნეო სტატისტიკის ფორმების პროგრამის განხილვა, 3) მოხალისე კორესპონდენტთა მოქმედების ასპარეზის შემოფარგვლა და 4) მიმდინარე საკითხები.

სახელმწიფო სტატისტიკის და მოხალისე კორესპონდენტების მოვალეობაზე მოხსენება გააკეთა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. შ. შენგელიამ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ იყო შეკითხვები, რომლებზეც მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა.

შემდეგ მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს, როგორც კონფერენციის წევრებმა, ისე ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელმა.

დროის უქონლობისა გამო დღის წესრიგში დასმული ზოგიერთი კითხვები ვერ იქნა განხილული. ამის გამო მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის ფორმების პროგრამის განხილვა და მოხალისე კორესპონდენტების მოქმედების ასპარეზის შემოფარგვლა მიენდო ადგილობრივ სტატ-ბიუროს გამგეს. კონფერენციაზე გამოითქვა სურვილი, რომ ასეთი კრებები ხშირად ხდებოდეს, რაც მოგვცემს საშუალებას უფრო მჭიდრო და ცოცხალი კავშირი დავიჭიროთ როგორც ადგილობრივ სტატ-ბიუროსთან, ისე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან. კონფერენცია დაიხურა იმავე დღეს.

გ. თაყაიშვილი.

წერილებიდან

ზუგდიდი.

ზუგდიდის რაიონში არის ერთი სოფელი, რომელსაც ლედგებიეს სოფელი ქვია. ამ სოფელში წინათ ცხოვრობდენ დვალიშვილები, დგებიები და ეს კუთხე ამ დვალიშვილებს ეკუთვნოდათ. აქედან ამ სოფელს დაერქვა სახელი ლე-დგებიე (მეგრულიდან რომ გადავთარგმნოთ ნიშნავს „მათი სამფლობელოს"). საჭიროა ეს ძველი სახელი შეიცვალოს და დაერქვას „ახალი სოფელი".

ლ. გაბედავა.

—

ხაშური.

ქუჩაში ცხენების ჯირითობა დაუშვებელია.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში სამი ადამიანი იქნა გატანილი ქუჩაში გაჭენებული ცხენების მიერ. ერთი მათგანი უკვე მსხვერპლი შეიქნა ამ უბედურებისა, მაგრამ ამისათვის პასუხი არავის მოუთხოვნია დამნაშავესათვის. გუშინ კიდევ მოსეირნე ქალიშვილს გადაუარა ცხენმა. საჭიროა მილიციამ მიაქციოს ყურადღება.

კ. მესხიძე.

—

ნიგოითის თემი (გურია).

სასტიკათ უნდა დაისაჯოს.

ნიგოითის თემში არის ფერშალი, რომელიც ყოველგვარ ექიმობას ეწევა. ამ ფერშალმა ბოლო დროს თავი ისახელა ქალების მოწამვლით, ვითომ მშობიარობისაგან განთავისუფლებით. ამ კვირაში ზედი-ზედ ორი ქმარშვილიანი ქალი გამოასალმა წუთისოფელს. ასეთი შემთხვევები ერთი და ორი არ ყოფილა ფერშლის პრაქტიკაში. ადგილობრივმა აღმასკომმა და ექიმმა სასტიკათ უნდა დასაჯოს ფერშალი.

გლეხი.

სოფლის ქრონიკა

— **საქონლის ჭირი.** სოფ. ალაიანში (გორის მაზრა) გაჩნდა საქონლის ჭირი.

— **ბამბის ქარხანა.** შულავერში 1 ნოემბერს ამუშავებული იქნება ბამბის საწმენდი ქარხანა.

— **ტყის გადაცემა.** სენაკის მაზრაში ითვლება 6 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომელიც გადაეცემა გლეხებს.

— **ტყის მოსაშენებლად** ბორჩალოს აღმასკომმა შეიძინა 30 ფუთი ხის თესლეულობა.

— **გორში** მოწყობილ შინამრეწველობის სახელოსნოებში ამჟამად დადგმულია 8 დაზგა და მუშაობს 36 კაცი.

— **შორაპნის** აღმასკომმა დაადგინა გლეხკომების სასადილოები ნაწილობრივ გაანთავისუფლოს გადასახადისაგან.

— **სოფ. ტობანიერის** გლეხებმა დაადგინეს თავის ხარჯით გაამაგრონ მდინარე ყუმურის ნაპირები.

— **ქუთაისის** აღმასკომმა ადგილობრივ აბანოს შესაკეთებლად გადასდო 2.051 მანეთი.

— **დახმარება ღარიბ მოწაფეებს.** ბორჩალოს აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს სახელმძღვანელოები და უფასოდ დაურიგოს ღარიბ მოწაფეებს.

— **სიღნაღის მაზრაში** ამჟამად მუშაობს ტყის მომწყობ სპეციალისტების ჯგუფი.

იურიდიული რჩევა-დარიგება

გვაქვს თუ არა უფლება მივიღოთ წილი კომლის საერთო ქონებიდან და მოვითხოვოთ მისი გაყოფა

კითხვა

მე ვცხოვრობ სოფ. წავკისში; ვარ ქვრივი და მყავს რვა წლის ქალიშვილი; ქმარი უკვე 7 წელიწადია, რაც გარდამეცვალა. ოჯახში ამჟამად ვცხოვრობთ მე ჩემი შვილით და მამამთილი.

დღიდან ჩემი მეუღლის სიკვდილისა, მამამთილი ამიხირდა, იგინება, ილანძღება და არ მაძლევს მოსვენებას.

ჩემი მამამთილი ოჯახის ქონებას ანიავებს, ჰყიდის, რაც მოხვდება ხელში და ლოთობს.

იმის შიშით, რომ ჩემს მამამთილს შეუძლია ეს საერთო ოჯახი გააცარიელოს, მე მოვთხოვე მას, რომ გამოეყო ჩემთვის და ჩემი ობლისათვის საერთო ოჯახიდან ჩვენი წილი, მაგრამ ამაზე იგი უარს მეუბნება.

იგი მეუბნება:—რაც მზითვის სახით მოგიტანია, წაიღე და წადი,—და სხვა შენ არაფერი გეკუთვნისო.

გთხოვთ განმარტებას:

1. გვეკუთვნის თუ არა მე და ჩემს ობოლ შვილს წილი კომლის საერთო ქონებიდან?

2. ზემომოყვანილ მიზეზების გამო მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მიწის და ქონების გაყოფა?

3. როგორ მოვიქცე და ვის ვთხოვო სათანადო დახმარება, რომ ერთხელ და სამუდამოთ შესწყვიტოს ჩემმა მამამთილმა ჩემი და ჩემი ობოლი შვილის ლანძღვა-გინება და ხშირათ ფიზიკური შეურაცხყოფაც?

გლეხი ქალი **ლიზა გაგნიძე.**

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 41-ის უფლება იმ მიწაზე, შენობაზე და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე (ინვენტარზე), რაც კომლის განკარგულებაშია, ეკუთვნის კომლის ყოველ წევრს ერთად, სქესისა და წლოვანების განურჩევლათ. კომლის წევრებათ კი ითვლებიან: ა) ცოლ-ქმარი; ბ) შვილები ქვრივი—კაცი და ქალი (მაშასადამე თქვენც) და გ) უდედმამო ობლები. **(იხ. იქავე მუხ. 39-ის შენიშვნა და მუხ. 40);**

რძლათ მოყვანილს (პირადათ თქვენ) აქვს იგივე უფლება კომლის საერთო მიწისა და საერთო ქონების სარგებლობაში, როგორც ძირითად წევრს. **(იხ. შენიშვნა მუხ. 40-ისა).** მიწის გაყოფა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითეულ გაყოფილს ცალკე მეურნეობის საწარმოებლად შეხვდება საკმაო მიწა (არა ნაკლებ მიწის არსებულ ნორმისა). წინააღმდეგ შემთხვევაში, გაიყოფება მხოლოდ კომლის საერთო ქონება **(იხ. მუხ. 48 და 49).** გაიყოფება მხოლოდ ის ქონება, რაც საერთო სარგებლობაშია. კომლის ცალკე წევრების მოთხოვნით გასაყოფ ქონებიდან გამოირიცხება კერძოთ შეძენილი და პირადი სარგებლობის ქონება, რომლის შესახებაც მოსარგებლე დაამტკიცებს, რომ ქონება შეძენილია მის პირად ხარჯზე.

ისინი, ვინც გაყრას აპირებენ, მიმართავენ ადგილობრივ რაიონულ აღმასკომს სარეგისტრაციო გაყოფის ფარდის წარდგენით. (იხ. მუხ. 52).

თქვენი მამამთილის ასალაგმათ თქვენ მიმართეთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ სახალხო სასამართლოს და მილიციას.

ვალდებული ვარ თუ არა ვიხადო ასეთი გადასახადები?

შეკითხვა

მე ვცხოვრობ გორის ქუჩაზე, № 32, დარაბაში, რომლის ქირას ვაძლევ ქალ. აღმასკომ. ეზოში გამოყვანილია წყალი და გაკეთებულია ახალი წყალის საზომი, რომლის ფულსაც გვახდევინებს სახლის პატრონი. ასე რომ წყალის ფულს და წყალის საზომის ფულს ვიხდი თვეში 75 კაპ.-იდან 1 მანეთამდე. ამასთან ერთად გვახდევინებენ ნაგვის ფულს თვიურად 20 კაპ.

გთხოვთ გაგვიმარტოთ, ვალდებული ვართ თუ არა გადავიხადოთ წყალ საზომის („ვოდომერ") ფული და ნაგვის ფული.

ვარ რკინის გზის კავშირის წევრი (წიგნ. № 406561).

მწონავი სადგ. თბილისი—
ი. ბირბიჩაძე.

პასუხი:

წყალ საზომის საამორტიზაციო ფულს და მის საფასურს სახლის პატრონთან ერთად იხდიან მდგმურებიც. ნაგვის გადასაყრელი ხარჯები უნდა გაიღოს მხოლოდ სახლის პატრონმა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30

საქ. სიც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი სრულიად საქართველოს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირის „ბალ-ბოსტან-კავშირი"-ს დაარსების შესახებ.

საქართველოს მეხილეობის და მებოსტნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მეხილეთა და მებოსტნეთა თვითმოქმედება და მათი გაერთიანება კოოპერატიულ ორგანიზაციების პრინციპებზე, საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს სრულიად საქართველოს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირი „ბალ-ბოსტან-კავშირი".

2. „ბალ-ბოსტან-კავშირი"-ს მიზანია:

ა) მიაწოდოს მწარმოებელს, მოკავშირე ორგანიზაციების მეშვეობით, მეხილეობისთვის და მებოსტნეობისთვის საჭირო ნერგი, თესლი, ხელსაწყო იარაღი, წამალი, ხილის შესახვევი, ჩასაწყობი და სხვა მასალა.

ბ) მოაწესრიგოს ხილის და ბოსტნეულობის დამზადება-გადამუშავება და აგრეთვე გასაღება როგორც საქართველოს, ისე სოც. საბჭ. რესპუბლ. კავშირის და საგარეო ბაზრებზე.

გ) ხელი შეუწყოს მეხილეობის და მებოსტნეობის განვითარებას სათანადო ცოდნის გავრცელებით და პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებით.

დ) ხელი შეუწყოს ადგილობრივ მეხილეობისა და მებოსტნეობის გაუმჯობესებას.

3. სპეციალურ კოოპერატიულ აღმშენებლობას მეხილეობის და მებოსტნეობის საქმეში „ბალ-ბოსტნ-კავშირი" განახორციელებს ორსაფეხურიანი სისტემის შექნით: ადგილობრივი ძირითადი კოოპერატიულ ამხანაგობა ა და ცენტრალურ ორგანოს (მათი კავშირის) მოწყობით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: „ბალ-ბოსტან-კავშირი" გააერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა ძირითად კოოპერატიულ ორგანიზაციას მეხილეობისა და მებოსტნეობის დარგში და მოაწყობს ახალ ორგანიზაციებს საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ეს ორგანიზაციები არ არსებობს.

4. ადგილობრივი კოოპერატიული ამხანაგობის მიზანია:

ა) მიაწოდოს წევრებს საჭირო მასალა—ნერგი, თესლი, ხელსაწყო იარაღი, წამალი და სხვა;

ბ) დაამზადოს თავისი წევრების ბაღბოსტნის მოსავალი, რისთვისაც მოაწყოს საჭირო საწყობები;

გ) გადაამუშაოს და გაასაღოს დამზადებული მოსავალი;

5. „ბალ-ბოსტან კავშირი"-ს ცენტრალური ორგანოს მიზანია:

ა) გაუწიოს მეხილეობას და მებოსტნეობას საერთო ხელმძღვანელობა;

ბ) მოაწესრიგოს მეხილეობის და მებოსტნეობის ნაწარმოების გადამუშავება—რეალიზაციის საქმე;

გ) მიაწოდოს მეხილე-მებოსტნეთ საჭირო ხელსაწყო და მასალა;

დ) საერთოდ, იზრუნოს საქართველოში მეხილეობისა და მებოსტნეობის განვითარებისათვის.

6. მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიულ კავშირის ორგანიზაციისათვის დაარსდება სამი პირისაგან შემდგარი საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც დაევალება ყველა წინასწარი სამუშაოს შესრულება (წესდების შედგენა და სხვა).

7. კავშირის ჩამოყალიბებამდე და წესდების საფუძველზე მმართველობის ჩვეულებრივ ორგანოთა (გამგეობა, სარევიზიო კომისია) არჩევამდე საორგანიზაციო ბიუროს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება—მას შეუძლია აწარმოოს სავაჭრო ოპერაციები და დასდოს ყოველგვარი გარიგება, კერძოთ: გაიხსნას ბანკებში კრედიტი, აიღოს სესხი, გასცეს თამასუქები, დააგიraos საქონელი, დაიქირაოს მუშა-მოსამსახურენი და საერთოდ ისარგებლოს ყველა იმ უფლებებით, რაც მინიჭებული აქვს კავშირის აღმასრულებელ ორგანოს კოოპერატიული კავშირების ნორმალური წესდების საფუძველზე. საორგანიზაციო ბიუროსვე გადაეცემა მეხილეობისათვის და მებოსტნეობისათვის დანიშნული ყველა თანხა და კრედიტი.

8. საორგანიზაციო ბიურო აწარმოებს ყველა საჭირო საორგანიზაციო მუშაობას, ვიდრე ჩამოყალიბდებოდეს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიული კავშირი, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქნეს მეხილეთა და მებოსტნეთა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც აირჩევს სრულუფლებიან გამგეობას და სხვა სათანადო ორგანოს.

9. საორგანიზაციო ბიურო ვალდებულია ჩააბაროს რწმუნებულთა ყრილობას თავისი მოქმედების ანგარიში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—ს. ჯუღელი.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—ა. ლ. სალორიძე.

1925 წ. ოქტომბრის 8
თბილისი – სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ავჭალის პარტრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 22 ოქტომბერს, საღამოს სრულ 4 საათზე, შესდგება **რაიკომის ბიუროს სხდომა.**

დღის წესრიგი:

1) მცხეთის აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენება თავისი მუშაობის შესახებ.

2) „რემედას"-ის რაისაბჭოს თავმჯდომარის ამხ. უმანკოშვილის მოხსენება.

3) მიმ დინარე საქმეები.

ავჭალის პარტრაიკომის მდივანი: **ლობჟანიძე.**

ქალ. რაიკომის აგიტპროპგანყოფილება აცხადებს, რომ დღეს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება გახსნა შემოკლებულ პოლიტსკოლებისა ქართულ ენაზე.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის, რომლებიც უნდა გამოცხადდენ თავიანთ აგიტპროპორგანიზატორების თანადასწრებით.

უჯრედი № 36 (ქალაქის აღმასკომთან): ბაქრაძე, ბუნდიაშვილი, გელაშვილი, დანელია, დვალი, ვიგორბინი, კვერცხიშვილი, [illegible], ტომაზოვა, ქოროღლიშვილი, ცაბაძე, კვანტალიანი.

უჯრედი № 33 (ა | კავ. საფ. სახ. კომისარიატთან): გაჯიევი, მინდელი.

უჯრედი № 39 (შინ. სახ. კომისარიატთან): [illegible], მარტიროსოვი, არეშავა, მაგრაქველიძე.

უჯრედი № 41 (სარკ. სავაჭ. დაწესებულებასთან): ხოგიტიშვილი, გოჩოლაიშვილი, ხუნდიაშვილი.

უჯრედი № 4 (მეორე სტამბასთან): გორდიაშვილი, პავლიაშვილი, მაჩაკოზოვი.

უჯრედი № 5 („ზარია ვოსტოკა"-ს სტამბასთან): დემუროვი, მჭედლიძე.

უჯრედი № 37 (სახკომსაბჭოსთან): გუნია, კასრაძე.

უჯრედი № 34 (იუსტიციის სახ. კომისარიატთან): კაპანაძე, ჩაჩანიძე, შახიდჟანოვი.

უჯრედი № 25 („ხლებოპროდუქტ"-თან): კრბოიანი, ჩხიკვაძე.

" № 10 (გრეხილ-ავეჯეულობათა ფაბრიკა): კაზარიანც, გაბაკოვა.

" № 17 (სახ. კავშირთან): ბერაძე, გზირიშვილი, კორინთელი, სამადაშვილი, ხიზანაშვილი, ოქროპირიძე, შავერდაშვილი.

უჯრედი № 9 (პოლიგრაფიულ ტრესტის საფაბ.-საქარ. სკოლა): რუხაძე, გოჩიტაშვილი, გორსიევი.

რაიკომის პ | მგ. მდივანი: გ. **სტურუა.**
აგიტპროპი: კუტუბიძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება საღამოს ქართული საბჭოთა პარტიული სკოლის საორგანიზაციო კრება.

სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოცხადება.

არსენალი: 1. ტოგონიძე გ., 2. ყაზახაშვილი, 3. შავერდაშვილი ს., 4. კასპაძე გ., 5. ჩოდრიშვილი ა., 6. მანგოშვილი გ., 7, რუხაძე ნიკოლოზ, 8. ხარიბეგაშვილი ი., 9. კოშკელოვი ს., 10. ჩოტინოვი ა., 11. ჩიკაძე ი., 12. ხიმშიაშვილი ა., 13. ელისაშვილი.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა: 1. ფერაძე, 2. მასხულაშვილი, 3. ბებუთაშვილი, 4. აზაროვი სოლომონ.

რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკა: 1. კომახიძე, 2. ისრაელოვი ს., 3. გუჩიტაშვილი ვ., 4. კუპავა ოლღა, 5. კასპაროვა ს., 6. ბარხუდაროვი ბ., 7. უჯერაშვილი ო. 8. გრიგორიანი გ., 9. დაიანი გ.

მდივანი: მელაძე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, 23 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში შესდგება მესამე რაიონის უჯრედთა ბიუროების კონფერენცია სამხედრო კოლექტივთა და უჯრედთა მდივნების თანადასწრებით.

დღის წესრიგშია: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში.

მდივანი: ვარტაპეტიანი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ელჩიბეკოვს (ა | კ. ფინსახკომი), ალაკპეროვს ისმაილოვს და ტიგრან აზრამიანს გამოცხადდენ დღეს, 22 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ამხ. **ასრიბეკოვთან.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საagitაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხანოვ. პრ. № 96) შესდგება ქართულ საღამოს საბჭოთა პარტიულ სკოლის საორგანიზაციო კრება.

სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოცხადება.

მთავარი საავადმყოფო: 1. კუპავა მარიამი, 2. ალავერდოვი.
პროლეტკულტი: ურუშაძე.
მუშკოოპი: 1. ძაძამია, 2. შეწირული გ., 3. სამადაშვილი, 4. თოფურია გ.
საქ. სახ. ვაჭრობის სამმართველო: კუპრიაშვილი.
თამბ. ფაბრიკა „პროლეტარი": 1. კარგარეთელი, 2. ბეზუაშვილი.
კარტონის ფაბრიკა: ბანდალოვი ივანე.
„სანტეხი": ნანეიშვილი.
სახერხი ქარხანა: გაგუა ე.
მესამე ქარხკომი: ხმალაძე შ.
„ავტოპრომტორგ"-ი: 1. ჯიგაური, 2. დოლუხაშვილი
მილიცია: 1. ბერიძე, 2. ჯვარამაშვილი.
ქიმიური ქარხნები: ეძგვერაძე.

მდივანი: **მელაძე.**

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა ოლინკა, ბებია მარინე; ძმები: ქიშვარდი, ბესარიონ და მოსე; დები: ოლღა, ესმა, ვერა, მარო, ნინო და სოლომონიდა; რძალი ნინო მასიკოს ასული; ძმისშვილები: ვალიკო, ტიკოლა, ტოტო და შამილი; ბიძა: ბექან, ყაისარ, ვატა და ირაკლი მგალობლიშვილები; ბიძაშვილები: ირაკლი, გიორგი და ვასილი ანდრიასძენი; მიხაკო, ელიაზარ და აკაკი გერასიმესძენი მეგრელიძეები; სიძე, ამბაკო ილიანესძე კალანდაძე შვილებით, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური დარგის მეორე კურსის სტუდენტი

ზაქარია (ზაქრო) როსტომის ძე მეგრელიძე,

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია, კვირა, 25 ოქტომბერი. კუბოს გამოსვენება დილის 12 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის), ვერის სასაფლაოზე.

256. 1—1.

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 22 ოქტომბერს
სევილიელი დალაქი
84 3—3

გრძელდება ხელის მოწერა
ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზე

ხელის მომწერლები ყოველთვიურად იხდიან 1 მ. 50 კ.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით: **ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 6. ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონის კანტორას.** სხვა მისამართით ფულს ვერ მივიღებთ.

ა | წ. 26 ოქტომბრიდან კანტორა გადადის ახალ ბინაზე—ლენინის ქუჩა № 6.

ნ. 265 2—1. გამომცემელი დ. თოფურიძე.

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დარსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა ტფილისში
და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.
2675 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**
კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 სათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება

აცხადებს, რომ ზაჰესის ელექტრო-დენზე გადასვლასთან დაკავშირებით ყველა ძველი დადგმულობები გადაკეთებულ უნდა იქნან ელექტრო-ტეხნიკურ ყრილობების ნორმების თანახმად. ძლიერი დენის ელექტრონის გაყვანილობებისა და დადგმულობების ნორმები და წესები იბეჭდება ქართულსა და რუსულ ენებზე და გამოვა გასასყიდათ ამ თვის დამლევს, რის შესახებ განცხადებული იქნება ცალკე.

ამის შემდეგ ყველა ახალი ელექტრონის დადგმულობები შეერთებული იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესრულებულნი იქნებიან ნორმების თანახმად.

კომუნალური განყ. გამგე ასრიევი.
რუსის გამგე ბრეგაძე. 5-4 ნ. 60

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი" (ქართულ ენაზე).
მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი
მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
14—13

„მუსმრეწ"
თბილისის განყოფილება აცხადებს, რომ
თბილისის განყოფილებასთან მოწყობილია სახელოსნო საუკეთესო ხელოსნებით, სწარმოებს როიალების, პიანინოების და სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტების შეკეთება.
მომართვა გაწმენდით ღირს 3 მანეთი
სხვა ქალაქებიდან მიღებული დაკვეთები სრულდება თავის დროზე.
ნის. 1743 2—2. მუსმრეწ.

ქ. თბილისის მე-4-ე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

ამიც აცხადებს, რომ 24 ოქტომბერს, დილის 10 საათზე რუბენ ჯაგირბეგოვის ბინაზე ეკატერინეს ქუჩა № 14, 1 საჯარო ვაჭრობით მის მიერ გაყიდული იქნება ჯაგირბეგოვის ქონება: წიგნის შკაფი, ნოხი, სასადილო მაგიდა, საპირფარეშო სარკე, რომლებიც გასაყიდათ შეფასებულია სულ 73 მანეთად.

სასამართლო აღმასრულებელი: პოტემკოვსკი.
ქვ. 2611—1.

კბილის ექიმმა
ი. გ. ბაქრაძისამ
განახლა ავადმყოფთა მიღება დ. 10—2 ს. 4—6-მდე.
ელისაბედის ქუჩა № 117.

ექიმი **ზ. ა. თარუმოვი**
დაბრუნდა აბასთუმნიდან.
ტრიბუნალის ქუჩა № 12.
31 13—1

კბილის ექიმი
ტ. ფ ა ლ ა ვ ა
ძნელაძის ქ. (საპიორნაია) № 29.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)
ჰკურნავს კბილებსა და ღრძილებს, და აკეთებს პლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.
მიღება) დილით 9—12-ს.
) საღ. 4—7-ს. 25—1

ექიმი **ბ. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 6—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**
დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება.
პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.
მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

გამოვიდა
ქრის. რაჭველიშვილის
„საქართველოს მოკლე ისტორია"

დასაბამიდან ვიდრე 1917 წლამდე, ფასი 2 მან. 50 კაპ.—რადგან განსაზღვრული რიცხვი წიგნისა გამოიცა, ხოლო მოთხოვნილება დიდია და საჭიროა ყველა სკოლები უზრუნველყოფილ იქნან ამ წიგნით, ამიტომ ვსთხოვთ ყველა სკოლების გამგეებს გვაუწყონ: თუ რამდენი წიგნი მათთვის საჭირო და ღირებულების **ერთი მესამედი** გამოუგზავნონ შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპ., 8, საექსპედიციო კანტორა; რის შემდეგ აღნიშნული რიცხვი წიგნებისა გადაეგზავნებათ ფასდადებით, (наложным платежом).

ვინც სამი კვირის განმავლობაში დღიდან ამის გამოცხადებისა შეკვეთას არ გამოგვიგზავნიან, მას წიგნი არ გაეგზავნება და არც ხელმეორედ დაიბეჭდება მიმდინარე წელში. სკოლებს ეძლევა შეღავათი 20 პროც.

ნ. 90. 3—1.

ექიმმა **შუხმანმა**
განახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში
საღამოს 6—8 საათამდე; ქალები. დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)
1—12

ექიმი **ე. ი. კალანდაძე**
ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7-დან 8 საათამდე. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5-დან 7 საათ.
მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნით (1 უბანი). 25—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინებით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კიროვის ქუჩის კუთხიდან.
25—1

დოქტორი ნევროპათოლოგიისა
სვიმონ ყიფშიძე
დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.
2423 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.
მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.
საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.
პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს" პირდაპირ.
მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.
25—1

ექიმი **ვ. ოსიპოვი**
დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება შინაგან და ბავშვთა სნეულებაში 4—6 საათამდე, ლენინის ქ. (ყოფ. ოლღას ქ.) № 7., ზემმელის აფთიაქის გვერდით.

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—23

ექიმი **ა. ს. ფუნ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
ხიფილიხი, ვენერიული და კანის ხნეულებანი
დაბრუნდა და განახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესვალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**
ალიხანოვის ქუჩა (ყოფილი წიკლოვ.) № 33,
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულება) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **მალაევი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.
თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 16 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ე. ქ. **ნ. პ. ფალაშვილი**
დაბრუნდა და განახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკასი (ტლექ-ე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7
ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

ექიმი **ვ. ს. არზუტინსკი**
ელისაბედის ქუჩა, 53.
ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი ილიკო ტოგონიძის სახელზე ჩ. გ.
1—1 ქვ. 255.

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 8098 ივანე პავლენიშვილის სახელზე ჩ. გ.
1—1 ქვ. 256.

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 16963 შიო არაქელაშვილის სახელზე ჩ. გ. 1—1 ქვ. 258.

დავკარგე პირადობის მოწმობა პროხოროვ ხანდოგინის სახელზე ჩ. გ.
1—1 260.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის წიგნაკი № 1842 გრიგოლ კირილეს ძე ასათიანის სახელზე ჩ. გ. 1—1 ქვ 263.

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი სამსონ წუწუნავას სახელზე ჩ. გ.
1—1 ქვ. 264.

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 4246 იაკობ ფეიქრიშვილის სახელზე ჩ. გ.
1—1 ქვ. 266.

დავკარგე კავშირის საწევრო წიგნაკი ნოე ოქროპირის ძე გაჩეჩილაძის სახელზე ჩ. გ. 1—1 ქვ. 267.

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 4129 ოლღა პავლეს ასული ნადირაშვილის სახელზე. ჩ. გ.
1—1 ქვ. 268.

ანგარიშების მდგომარეობა

ქარელის მომხმარებელ საზოგადოების „ოჯახი"-ს

1925 წლის 1 ოქტომბრისათვის.

აქტივი.

1. **ნაღდი საშუალებანი:**		
კასა	628—10	
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	2—32	630—42
2. **საქონელი:**		
საქონელი საწყობში	1397—65	
საქონელი მაღაზიაში	18.260—00	
საქონელი განყოფილებებში	7.280—39	26.938—04
3. **ქონება:**		
უძრავი ქონება	7.500—00	
მოძრავი ქონება	3.185—84	10.685—84
4. **დებიტორები:**		
სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	2230—82	
სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებები	1211—89	3.442—71
ბალანსი		41.697—01

პასივი.

1. **თანხები და ფონდები:**		
საპაიო თანხა	583—50	
სათადარიგო თანხა	7.500—00	
ძირითადი თანხა	2.427—91	10.511—41
2. **კრედიტორები:**		
სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	6.807—81	
ნასესხი ბანკებიდან	3.500—00	10.307—81
3. **გაცემული თამასუქები**		8.192—42
4. **დარჩენილ საქონლის მოგება**		2.539—69
5. **გასული წლის გაუნაწილებელი მოგება**		342—14
6. **წმინდა მოგება**		9.803—47
ბალანსი		41.697—01

გამგეობის თავმჯდომარე ვ. ჩიძავანი
გამგეობის წევრი ნ. ოქრუაშვილი
ბუხჰალტერი ვ. ირემაშვილი.

259 1—1

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა"-ს სამ. წულუკიძის ქუჩა № 4